„ნინო ბურჯანაძე სამხრეთ ოსეთში დაპატიმრებას პირადად მე გადავარჩინე„ -ამტკიცებს რუსი პარლამენტარი A3

კვირის TV პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    პარასკევი, 11 ოქტომბერი, 2002 წელი. №131    ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სომეხთა სპიკერი მითითებებს იძლევა

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მცდელობებმა, დელიკატურად ეგრძნობინებინა ხაჩატრიანისთვის, რომ სხვა ქვეყნის ხელისუფლებასთან "აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება" მთლად კარგი და დიპლომატიაში მიღებული ტონი არ არის, შედეგი ვერ გამოიღო.

A3

## ეკონომიკა

### რკინიგზელებს ხელფასი 30 პროცენტით მოემატათ

"საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა თანამშრომლები სასიამოვნო სიახლით გაახარა, მან ხელქვეითებს ხელფასების 30 პროცენტით გაზრდის შესახებ აუწყა.

A4

## უცხოეთი

### პარტნიორებთან ვაჭრობა ამერიკას, შეიძლება, უფრო ძვირი დაუჯდეს, ვიდრე ომი ერაყთან

*მსოფლიოს ლიდერები ერაყის საკითხზე მოლაპარაკების გადამწყვეტი რაუნდისათვის ემზადებიან. ბაღდადის ბედი უახლოეს მომავალში გაირკვევა. დასადგენი მხოლოდ ის დარჩა, თუ რა "ფასად" იყიდის შეერთებული შტატები მსოფლიოს დიდი ქვეყნების მხარდაჭერას.*

A5

## საზოგადოება

### მერია პარლამენტისგან „დამანგრეველ„ კანონს ითხოვს, პოლიციისგან - „ჩაშვებას„

სულ ცოტა ხნის წინ ქალაქის არქიტექტურის მთავარი სამსახური, არქმშენინსპექციასთან ერთად, პარლამენტში წინადადებით შევიდა და, საჯარიმო სანქციების ნაცვლად, უკანონო ნაგებობის დანგრევა მოითხოვა.

A6

## სამართალი

### ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებული პატიმრობაში დატოვეს

უკვე დადგენილია, რომ მჭედლიძის ბებიის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები, ბრალდებულის მტკიცების თანახმად, ნამდვილად რქოსანი პირუტყვისაა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 24 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 25 |
| სოხუმი | 25 |
| ფოთი | 25 |
| თელავი | 23 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 21 |
| ახმეტა | 23 |
| ჭიათურა | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.1104 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3673 |
| რუბლი | 0.0679 |

# ანტიტერორისტული ოპერაცია დაუფინანსებლობისა და ერთიანი მიდგომის არარსებობის ფონზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მათი უსახსრობა სახელმწიფოს უფრო ძვირი დაუჯდება

***საქართველო, დღემდე უცნობ ტერორიზმის საფრთხეს, ქვეყნის თავდაცვითი სისტემის მიზერული დაფინანსებითა და ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის გარეშე ხვდება. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება და ძალოვანი უწყებების პირველი პირები პანკისში მიმდინარე ანტიტერორისტულ და ანტიკრიმინალურ ოპერაციას წარმატებულს უწოდებენ, მაინც არსებობს რეალური საშიშროება, რომ, ოპერაციის დასრულების შემდეგ, ტერორიზმის პრობლემა კვლავ აქტუალური დარჩება და "პანკისის სინდრომი" ნებისმიერ წუთს შეგვახსენებს თავს.***

თამარ მჭედლიშვილი

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის გუშინდელმა სხდომამ კვლავ წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლის გადაჭრაც ომის საფრთხის წინაშე მდგარი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დატვირთვას იძენს. საქართველოს ბიუჯეტში დღემდე ვერ გამოინახა დამატებითი თანხები, რომელიც ქვეყნის თავდაცვით სისტემას გააძლიერებს. მეტიც – ძალოვანი სტრუქტურები იმ თანხასაც ვერ ღებულობენ, რაც კანონით ეკუთვნით.

გაგრძელება A3 გვერდზე

## აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციას დაუბრუნდა

*"თუ დღეს ქვეყნის კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსი არ ჩაიწერება, საქართველოს პარლამენტის რიგებს დავტოვებ და იმ საქმიანობას შევუდგები, რომელსაც აქამდე ვუჭერდი მხარს", - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა ეს განცხადება პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გააკეთა. გუშინ საღამოსვე ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ნადარეიშვილის "ულტიმატუმი" დააკმაყოფილა და სახელმწიფოს ძირითად კანონში შესაბამისი ჩანაწერი გააკეთა.*

გიორგი ასანიშვილი

არადა, ერთი შეხედვით, აფხაზეთის საკითხი პარლამენტში, გუშინ, თითქოს, შემთხვევით აგორდა: ერთ-ერთმა დეპუტატმა კოლეგებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზეთის სატრანსპორტო საშუალებები რუსეთის სანომრე ნიშნებით "ალიჭურვოს". ეს ამბავი აჟიოტაჟის დაწყების სიგნალი გახდა, რომლის მედროშეობა "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" იკისრეს და მიზანსაც მიაღწიეს - ცარიელ დარბაზში დაწყებული საკითხის განხილვა, ბოლოს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით დაგვირგვინდა.

თავად საკითხის ირგვლივ მთელი დღის განმავლობაში მიმდინარე დისკუსია რამით გამორჩეული არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მომენტს. კერძოდ, "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ მოითხოვა, რომ აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, კოდორის ხეობაში გადავიდეს და იქ განაგრძოს საქმიანობა; აქაოდა, სტატუსებს არიგებენო, ვახტანგ რჩეულიშვილმა სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის აღდგენა ისურვა; საკითხის განხილვაში მონაწილეობა

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამერიკელი ბიზნესმენები რუსეთს საქართველოს ყველაზე დიდ უბედურებად მიიჩნევენ

*"საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მშენებლობა," – გუშინ, სასტუმრო "მარიოტში," ასეთი დევიზით დაიწყო მუშაობა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მეხუთე წლიურმა კონფერენციამ. კონფერენციის მონაწილეები არიან რეგიონული ექსპერტები, საქართველოსა და აშშ-ს მთავრობათა საქმიანი წრეების წარმომადგენლები.*

ნინო ნარჩემაშვილი

აშშ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის მამუკა წერეთლის განცხადებით, კონფერენციის მიზანია, გამოინახოს ქვეყნებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ფორმა, მოხდეს კერძო ინვესტორების საქართველოთი დაინტერესება, ბიზნეს გეგმების განხორციელებისთვის ხელშეწყობა.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა სვანტე კორნელმა ისაუბრა საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგო და ბიზნესის უსაფრთხოების შესახებ და საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთა რუსეთთან მიმართებაში. მისი თქმით, საქართველოში არ არსებობს უსაფრთხოების გარანტიები, რადგან რუსეთის ზეწოლა აშკარაა. იგი უარს ამბობს კავკასიიდან ჯარების გაყვანაზე, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტის უსაფრთხოებაც. "ყოველივე ამის გათვალისწინებით, - დასძინა სვანტე კორნელმა, - აშშ-მ მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს საქართველოში უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველსაყოფად."

გაგრძელება A3 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

კონფერენციის გახსნა სასტუმრო "მარიოტში"

## კუჩმა და საქართველო - მოკავშირეობის დასასრული

*ბოლო ხანს უკრაინაში მიმდინარე პროცესები გვაფიქრებინებს, რომ უკრაინის ახლანდელი პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის ვექტორი, შეიძლება, სუუამ-იდან მოსკოვის მოკავშირეობისკენ გადაიხაროს.*

გიორგი ხელაშვილი

რუსეთი ბოლო ხანს სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ შეტევას ახორციელებს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სივრცეზე თითქმის დაკარგული კონტროლის ხელახლა მოსაპოვებლად. სამიზნეების რიგში ერთმანეთის მიყოლებით აღმოჩნდნენ უზბეკეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და უკრაინა. ყველა ეს ქვეყანა შეერთებული შტატების უშუალო ინიციატივით შექმნილი სუუამ-ის წევრია. ამ ორგანიზაციის მთავარ დანიშნულებად, მისი შექმნისას, ზუსტად 5 წლის წინ, 1997 წლის 11 ოქტომბერს, ყოფილ საბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის ზრდის შეკავება მიიჩნეოდა.

დღეს არა მარტო სუუამ-ი, არამედ მისი წევრი ქვეყნების უმეტესობაც სერიოზულ შიდა პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. შიდა პოლიტიკური კრიზისები კი, თავის მხრივ, საგარეო პოლიტიკის კორექტირებას იწვევს – ზოგჯერ რუსეთთან აშკარა დაპირისპირების (საქართველოს შემთხვევაში) ან რუსეთთან დაახლოების (მოლდოვას შემთხვევაში) სახით. მდგომარეობიდან კიდევ ერთი გამოსავალი რუსეთისა და დასავლეთის ინტერესებით ოსტატური მანიპულირებაა, რასაც ბოლო თვეებში უზბეკეთი და აზერბაიჯანი მიმართავენ.

ამგვარი მანიპულირების შესაძლებლობა კი გასული წლის 11 სექტემბრის, ანუ მას შემდეგ შეიქმნა, რაც, ერთის მხრივ, რუსეთსა და, მეორეს მხრივ, შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის დაახლოების პროცესი დაიწყო. რუსეთისა და დასავლეთის დაახლოების ტენდენცია კიდევ უფრო გააძლიერა შეერთებული შტატებისა და რუსეთის სანავთობე ინტერესების დამთხვევამ კასპიის მილსადენის კონსორციუმის გარშემო, რომელსაც ცენტრალური აზიის ნავთობი დასავლეთის ბაზრებზე გადააქვს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ვინ არის „ფოთის გემთსაშენის„ ახალი მფლობელი

### ინკოგნიტო ინვესტორის ვინაობა რამდენიმე დღეში გაირკვევა

ათი დღის შემდეგ ოფიციალურად უნდა გახდეს ცნობილი თბილისის საფონდო ბირჟაზე გაყიდული "ფოთის გემთსაშენის" აქციათა 47-პროცენტიანი პაკეტის მფლობელის ვინაობა, როგორც ამას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. ყველაზე გავრცელებული ვერსიით, აქციები იმავე ფინანსურმა ჯგუფმა შეიძინა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ "გემთსაშენის" ინვესტორად ითვლება.

გიორგი კალანდაძე

საბირჟო ვაჭრობიდან რამდენიმე დღეში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა - შპს "რეგისტრმა" სააქციო საზოგადოება "ფოთის გემთსაშენის" აქციათა განლაგებაში ცვლილებები შეიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაყიდი აქციები ჯერჯერობით ინკოგნიტო ინვესტორს უკვე გადაუფორმდა.

"რეგისტრის" ხელმძღვანელი ლაშა გოგილავა აცხადებს, რომ მან შესთავაზა როგორც "დარლინგუორთს", ასევე ინვესტორს, საზოგადოებისათვის გაეხსნათ "გემთსაშენის" დოკუმენტაცია, რაზეც ისინი არ დათანხმდნენ.

როგორც "24 საათი" წერდა, რეგისტრატორისა და მისი კლიენტის მიმართ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სერიოზული პრეტენზიები გააჩნდა. ამ უწყების სახელშეკრულებო ანალიზისა და კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარის - თემურ გოდერძიშვილის განცხადებით, 1998 წელს ქონების მართვის უწყებასა და "დარლინგუორთს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ნათლად იყო ჩაწერილი, რომ "დარლინგუორთი" ფოთის ქარხნის მესაკუთრე მხოლოდ საინვესტიციო პირობების შესრულების შემდეგ გახდებოდა. ხელშეკრულება ამ ორ სუბიექტს შორის სამწლიანი გახლდათ და მას ვადა 2001 წლის ექვს აგვისტოს გაუვიდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ნავთობპოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 კვირის TV პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## საკუთარი ნაკრების მხარდასაჭერად თბილისში გოსდუმის დეპუტატები ჩამოდიან

*10 ოქტომბერს პარტია "ლიბერალნაია როსიას" ლიდერი სერგეი იუშენკოვი, თანაპარტიელებთან ერთად, თბილისში მოფრინავს - ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. დემოკრატიული მიმართულების რუს პარლამენტართა ერთი ჯგუფის საქართველოში ვიზიტი, თავად იუშენკოვის თქმით, სახალხო დიპლომატიის ხასიათს ატარებს და მხოლოდ საფეხბურთო ქვეტექსტი აქვს.*

მკითხველს შევახსენებთ, რომ წინა დღეს ამ პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ თავისი რიგებიდან გარიცხა პარტიის სპონსორი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ბორის ბერეზოვსკი. ავი ენები რუსეთის დუმაში ამტკიცებენ, რომ ოლიგარქი შორს არ წასულა - იგი ძველებურად ეხმარება იუშენკოვს. რაც შეეხება თბილისში ვიზიტს, "24 საათისათვის" სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ "ლიბერალნაია როსიას" რამდენიმე წევრის გამომგზავრების ხარჯები რუსეთში ქართველების სათვისტომომ გაიღო.

როგორც ცნობილია, იუშენკოვს ეკუთვნის ორი ქვეყნის ვეტერანთა მატჩის გამართვის იდეა. "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში სერგეი იუშენკოვმა განაცხადა, რომ წარსულში ფეხბურთის ვეტერანთა თამაშებს დადებითი იმპულსი შეჰქონდათ ქვეყნების დაახლოებაში.

- არსებული უკმაყოფილებისა და გაუგებრობის მოსახსნელად ამჟამად ასეთი მატჩის გამართვა ხელს შეუწყობს ისტორიულად მეზობელი ორი ერის დაახლოებას. ეს აზრი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა, ქართველმა და რუსმა პოლიტიკოსებმაც უნდა აიტაცონ. ორი ქვეყნის საფეხბურთო მატჩი კარგი პასუხი იქნება იმ პოლიტიკოსებისათვის, ვინც დღესაც ომის გაჩაღებაზე ოცნებობენ და თავიანთი განცხადებებით კონფრონტაციას აღვივებენ.

**- ხომ არ გაქვთ განზრახული საქართველოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან შეხვედრა?**

- ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ კარგად არ ვიცნობ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს, მაგრამ საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული მიმართულების პარტიებს სიამოვნებით გავეცნობოდი. რუსეთში ქართველების სათვისტომო მთავაზობს, მოვინახულო არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ვნახოთ, თუ მოვასწარი. ისე კი, ჩვენს მოგზაურობას მხოლოდ საფეხბურთო ქვეტექსტი აქვს და სახალხო დიპლომატიის ხასიათს ატარებს.

**"24 საათი"**

## „ნინო ბურჯანაძე სამხრეთ ოსეთში დაპატიმრებას პირადად მე გადავარჩინე" -ამტკიცებს რუსი პარლამენტარი

*ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის წევრმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

რუსი პარლამენტარის თქმით, კიშინიოვში შევარდნაძე-პუტინის შერიგება მოჩვენებითი იყო, ისევე, როგორც, რაიმეს გაუმჯობესება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

"პუტინს შევარდნაძესთან საკმაოდ მკაცრი საუბარი ჰქონდა, რამაც შევარდნაძის მხრიდან მთელი რიგი კომპრომისული ნაბიჯები გამოიწვია," - ამტკიცებს პარლამენტარი და იქვე დასძენს, რომ ამ შეხვედრის პარალელურად საქართველოს პარლამენტის სპიკერის ცხინვალის რეგიონში ვიზიტი აშკარა პროვოკაცია იყო, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ შევარდნაძე საქართველოში მორიგი ომისათვის ემზადება, თანაც - რამდენიმე მიმართულებით.

ინკოგნიტო დეპუტატის ნაამბობით, იმ წუთებში, როცა ნინო ბურჯანაძე კეხვში მოედანზე შეკრებილი ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე გამოდიოდა, რუსეთის დუმაში ცხინვალიდან საგანგაშო სატელეფონო ზარები გაისმა. სამხრეთ ოსეთის ლიდერთან დაახლოებული პირები მოსკოვთან კონსულტაციებს მართავდნენ და ბურჯანაძის დაპატიმრებაზე ნებართვას ითხოვდნენ. **"კომიტეტის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად აუკრძალა კოკოევის თანამოაზრეებს მსგავსი რადიკალური ქმედებები და სამშობლოში ბურჯანაძის მშვიდობიანი გასტუმრების ბრძანება გასცა",** - ამბობს დეპუტატი.

გოსდუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლის მონაცემებით, ბოლო დღეებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ცხინვალში მოხალისეები მიემგზავრებიან, ხოლო სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოები ადრე მოსახლეობიდან ამოღებულ იარაღს უკან აბრუნებენ.

**"მოსახლეობა ცხინვალში უკვე ავტომატებით შეიარაღებული დადის და, ჩემი ინფორმაციით, ცხინვალში დაბრუნებული ქართული მოსახლეობა სახლ-კარს კეტავს, გასაღებს მეზობლებს უტოვებს და ჩრდილოეთ ოსეთში მიემგზავრება. ცოლ-შვილი ვლადიკავკაზში გახიზნეს აჩაბეთის, კეხვის, ტყვიავის ქართველებმაც,"** - ამტკიცებს რუსი პარლამენტარი.

კომიტეტში მოსული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის სასაზღვრო სამსახურის შინაგანი ჯარების მსხვილი შენაერთები საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე ჯეირახისა და ჯომახის ხეობებში არიან კონცენტრირებულნი და საომარი მოქმედებების დაწყების ბრძანებას ელიან. ამის შემდეგ კი დაიწყება ეთნოკონფლიქტების ესკალაცია. **"არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ რუსეთი დაინტერესებულია, მეზობლად სტაბილური საქართველო ჰყავდეს, ახალი ომი ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს დაშლის დასაწყისი იქნება,"** -აცხადებს რუსი პარლამენტარი.



*ნინო ბურჯანაძემ არ იცის რომ დაპატიმრება ემუქრება*

რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტმა ამ საგანგაშო ინფორმაციების შემდეგ კომიტეტის დახურული სხდომა გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროთა წარმომადგენლები, აგრეთვე - რუსეთის სპეცსამსახურების ექსპერტები. საქართველოს საელჩოს კი, საქართველოს საზღვარზე ბოევიკთა ახალი ჯგუფების კონცენტრაციისა და დაკავებულ ტერორისტთა ექსტრადიციის დაჩქარების თაობაზე, 10 ოქტომბერს მოსკოვში მორიგი საპროტესტო ნოტა გადასცეს.

## მოკლედ

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა არკადი ედელევმა განაცხადა, რომ რუსული სპეცსამსახურების ხელთ არსებული ინფორმაციით ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე ბოევიკთა მოსამზადებელი ბანაკები მიმდინარე წლის სექტემბრამდე განლაგებული იყო სოფლებში - დუისი და წინობანი. იქ ტარდებოდა ეტაპობრივი სწავლება დივერსიების მოსამზადებლად, მძევლების ასაყვანად და სხვ. გენერლის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ საერთაშორისო ტერორისტებს აფინანსებს უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი დაახლოებული პირი - იორდანიის მოქალაქე აბუ ხაფსი, რომელსაც კავშირი აქვს "ალ ქაიდასთან" და რომლის სანაცვლოდ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი 5 მილიონი დოლარის გაღებას აპირებს.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გავლით ავღანეთში ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანა ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით საორიენტაციოდ ნოემბრიდან დაიწყება. უკვე შეთანხმებულია ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა აზერბაიჯანთან, კვირის განმავლობაში კი შეთანხმება მიღწეული იქნება თურქმენეთთანაც. ამის შემდეგ, სატარიფო პოლიტიკა დონორ ქვეყნებს წარედგინება. საქართველოს გავლით ტრანზიტი 600-700 კილომეტრით უფრო მოკლეა რუსეთის მიმართულებაზე და ტვირთების გადაზიდვა, შესაბამისად, 10-15 პროცენტით უფრო იაფია. ავღანეთში ტვირთების ტრანზიტი საქართველოს "სერიოზულ შემოსავლებს" მოუტანს, რადგან ყოველწლიურად იგეგმება 6-დან 7 მილიონამდე ტონა ტვირთების გადატანა, - თქვა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა.

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრი ამაზბეი ქჩაჩი უარყოფს რუსეთის შს სამინისტროს მიერ აფხაზეთში რეგისტრირებული ავტოტრანსპორტისათვის რუსეთის სანომრე ნიშნების მინიჭების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. მისი მტკიცებით, სოხუმის ხელისუფლების მიერ გაცემული სანომრე ნიშნებით ავტოტრანსპორტი დსთ-ს სივრცეში უპრობლემოდ გადაადგილდება და მისთვის რუსეთის სანომრე ნიშნების მინიჭების არანაირი აუცილებლობა არ არის. აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით აფხაზეთში რუსეთის სანომრე ნიშნებიანი ავტოტრანსპორტი მართლაც მომრავლდა, მაგრამ სოხუმის ხელისუფლების შს ორგანოებს ეს მანქანები აღრიცხვაზე აჰყავთ და მათ მეპატრონეებზე აფხაზეთში გადაადგილების უფლების დროებითი საბუთი გაიცემა, - განმარტავს ქჩაჩი.

■ ■ ■

**თბილისი.** პენტაგონში "ოპტიმისტურად არიან განწყობილი" საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვისადმი, - განაცხადა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილმა. მისი თქმით, პენტაგონისთვის ცნობილია, რომ საქართველო პრაღაში ნოემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე ამ საკითხზე გარკვეული განაცხადის გაკეთებას აპირებს. "ეს სერიოზული გადაწყვეტილებაა და, სავარაუდოდ, საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა მიღებული იქნეს ნატო-ში, მაგრამ საკმაოდ ძნელია იმის პროგნოზირება, თუ როდის მოხდება ეს", - თქვა მან. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს არმიის დასავლეთის სტანდარტების შესაბამისად რეფორმირებისათვის.

■ ■ ■

**სოხუმი.** ამ დღეებში სეპარატისტული აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ რუსეთის ფედერაციის ზოგ რეგიონთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულებები გაფორმდა კრასნოდარის მხარესთან და როსტოვისა და ლიპეცკის ოლქებთან, აგრეთვე, ყარაჩაი-ჩერქეზეთთან, ჩრდილოეთ ოსეთთან, ყაბარდო-ბალყარეთთან, დაღესტანთან, ადიღესთან. მხარეები შეთანხმდნენ, ჩაატარონ მარკეტინგული გამოკვლევები, ხელი შეუწყონ ტვირთბრუნვას საშინაო და საგარეო ბაზარზე, საქმიანი პარტნიორების ძიებაში, ეკონომიკური პროგრამების და საინვესტიციო პროექტების შექმნაში, პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის განსაზღვრაში.

■ ■ ■

**მოსკოვი.** ოქტომბრის ბოლოს რუსეთში ჩავა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური დელეგაცია, რომელიც საქართველოში შექმნილი სიტუაციის გასარკვევად ჩამოყალიბდა. ამ დელეგაციის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლო სხდომაზე მიიღეს. კერძოდ, დელეგაცია პანკისის ხეობას ეწვევა. წინასწარი მონაცემებით, რუსეთიდან დელეგაციის შემადგენლობაში შევა ფედერაციის საბჭოს საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარე იური შარანდინი.

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე კოდორის ხეობის პატრულირების შედეგები განიხილეს. გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის, გენერალ-მაიორ კაზი აშფაკ აჰმედის განცხადებით, პატრულირებამ აჩვენა, რომ კოდორის ხეობაში სტაბილური ვითარებაა და იქ არავითარი მძიმე ტექნიკა და შეიარაღება არ არის. აშფაკის თქმით, პატრულირებისას ხეობაში ერთი იარაღიანი კაციც ვერ აღმოაჩინეს. შეხვედრაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი ალექსანდრ ევტეევი გამოვიდა ინიციატივით, რომ ნოემბერში ჭუბურხინჯის ერთ-ერთი ტრადიციული შეხვედრა კოდორის ხეობის პატრულირების მთელი ზაფხულის მონაცემებს მიეძღვნას.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში თურქეთის საელჩოსთან ამ ქვეყნის დროშის აუტოდაფესა და ეროვნული შუღლის გაღვივების მოწოდებისთვის უშიშროების სამინისტრომ ახსნა-განმარტებითი ჩვენებები ჩამოართვა საქართველოში ქურთების სათვისტომოს წინამძღოლს კახა კალაშოვს. არ არის გამორიცხული, ამ ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. აქციის შემდეგ ქურთების ლიდერი უშიშროების სამინისტროში დაიკითხა. თავად სათვისტომომ კი პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც შეშფოთება გამოთქვეს მათი ლიდერის დაკავების გამო.

დაკავების შესახებ ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს უშიშროების სამინისტროში. თუმცა, აღინიშნა, რომ აუტოდაფეს გამო თურქეთმა ოფიციალური ნოტა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის ეროვნული კრების დეპუტატმა ფილარეტ ბერიკიანმა განაცხადა, რომ საქართველოს "რეგიონული არასტაბილურობის გენერატორად და უმართავ ქვეყნად" მიიჩნევს, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი. მისი თქმით, სომხეთი არ უნდა იყოს დამოკიდებული საქართველოს სატრანსპორტო კორიდორზე და საკითხის ამგვარი დასმა მიუღებელია.

■ ■ ■

**თბილისი.** ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, წლეულს საქართველოში რუსეთიდან ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი გაიზარდა. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გიგი ყუფარაძის ცნობით, შარშანდელთან შედარებით წლეულს, ზაფხულის პერიოდის ჩათვლით, საქართველოში რუსეთიდან, დაახლოებით, 7 ათასი ტურისტით მეტი ჩამოვიდა. რუსეთის ფედერაციიდან ვიზიტორთა რიცხვი შარშან მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც რუსეთ-საქართველოს შორის 2000 წლის დეკემბრიდან შემოღებულმა სავიზო რეჟიმმა განაპირობა.

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ცნობა პრესისთვის, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართული მხარე პირველ ეტაპზე აპირებს საერთაშორისო ტერორისტების გამოყენებას, რომელთა საერთო რაოდენობა კოდორის ხეობაში ასამდე აღწევს. ქართული მხარის მიერ სოფელ ჩხალთიდან სამი საარტილერიო დანადგარის გატანას აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო განიხილავს, როგორც თეატრალიზებულ წარმოდგენას. "თბილისმა კოდორის ხეობაში არსებული იარაღის საწყობის ლიკვიდაცია გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა პატრულირებას სპეციალურად დაამთხვია", აღნიშნულია სამინისტროს ცნობაში. სამინისტრო ფლობს სანდო ინფორმაციას საქართველოდან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების დამატებითი ძალებისა და სხვა თანამედროვე საარტილერიო დანადგარების კოდორის ხეობის ზედა ნაწილში გადატყორცნის შესახებ.

■ ■ ■

**თბილისი**. ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების პრესცენტრის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ ალექსანდრ ლუცკევიჩის განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, სომხეთის ქალაქ გიუმრიდან, სადაც ამიერკავკასიის რუსეთის საჯარისო დაჯგუფების 102-ე ბაზაა დისლოცირებული, აჭარის მეთორმეტე ბაზაზე 130 ახალწვეულის შეყვანის ნებართვა დაუშვა. ახალწვეულებს ავტოტრანსპორტით მომავალ კვირას გადაიყვანენ.

*ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი, პრაიმ-ნიუსი, კავკას-პრესი.*




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ანტიტერორისტული ოპერაცია დაუფინანსებლობისა და ერთიანი მიდგომის არარსებობის ფონზე

პირველი გვერდიდან

თავდაცვის სამინისტრო 11 მილიონი ლარის მოლოდინშია, ხოლო სასაზღვრო უწყებას სრულად ჯერაც არ მიუღია ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები – დღეისთვის გარღვევა 800 000 ლარზე მეტია. საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების დაფინანსების თვალსაზრისით.

თუმცა, უფულობა ერთადერთი პრობლემა არ არის, რომელიც ქვეყნის სტაბილურობასა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას უშლის ხელს. საქართველოს დღემდე არ აქვს შემუშავებული უსაფრთხოების ერთიანი კონცეფცია, დოქტრინა, რომელიც ქვეყნის წინაშე არსებულ და სავარაუდო საფრთხეებს განსაზღვრავდა და ხელისუფლების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებსაც დასახავდა.

ამ ფონზე საკმაოდ რთულია საუბარი ანტიტერორისტული ოპერაციის საბოლოო წარმატებაზე, თუმცა, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ძალოვანმა მინისტრებმა მაინც დადებითად შეაფასეს, მთლიანად, ოპერაცია და, მასთან ერთად, საკუთარი უწყებების საქმიანობა.

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია:

**"მოხდა ვითარების არსებითი გარდატეხა – გრძელდება პროცესი, რომელსაც ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავს დაწყებული ოპერაცია... "**

თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე:

**"უნდა შეგვექმნა ფონი, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს გაადვილებოდა თავისი ამოცანის შესრულება, რაც გავაკეთეთ კიდეც... უნდა მოგვესინჯა ჩვენი შესაძლებლობები საზღვრის გადაკვეთის კუთხითაც. ამ მხრივაც ამოცანა შესრულებულია..."**

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს, მან ოპერაციის მსვლელობისას დაკავებული კრიმინალებისა და საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებული საბრძოლო მასალების თაობაზე ისაუბრა.

შედარებით გულახდილი ჩანდა სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი ვალერი ჩხეიძე, რომელმაც პირდაპირ განაცხადა: **"იმის მიუხედავად, რომ პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება სტაბილურია და მძიმე ფონი მოიხსნა, სახელმწიფო საზღვარზე ოპერატიული ვითარება ძნელად პროგნოზირებადია, რადგან არაფერი შეცვლილა არც გეოგრაფიულად, არც მატერიალურად... ყველაფერი ლოკალურ ღონისძიებებად დარჩება, თუკი სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკა არ ჩამოყალიბდება... "**

გუშინდელ სხდომაზე ყველაზე კრიტიკული მაინც საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი იყო, რომელმაც არ გამორიცხა **"პანკისური ავადმყოფობით ხელახლა დაავადების"** საფრთხე, ხეობიდან შინაგანი ჯარების გამოსვლის შემდეგ. მისი თქმით, **"დარჩენილი ღონისძიებები ისე არ უნდა განხორციელდეს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ იქ ჯერ კიდევ არსებული დანაშაულებრივი ჯგუფები პროვოკაციებისთვის გამოიყენოს, რაც, საბოლოოდ, ჩეჩნურ კონფლიქტში საქართველოს ჩათრევას გამოიწვევს".**


ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინდელ სხდომაზე ყველაზე კრიტიკული ირაკლი ბათიაშვილი იყო

ირაკლი ბათიაშვილისთვის მიუღებელია საქართველოს ხელისუფლების ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, თუნდაც ძალოვანი უწყებების დაფინანსების თვალსაზრისით. **"თუ შეგნებულ ობსტრუქციასთან და საბოტაჟთან გვაქვს საქმე, ესეც ვთქვათ..."** - აღშფოთებას ვერ მალავდა ბათიაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ არც ერთმა მინისტრმა არ ისაუბრა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის თაობაზე და იმ მიზეზებზე, რამაც პანკისის პრობლემა წარმოშვა. მინისტრები და პარლამენტარები არ შეხებიან არც გლობალურ პოლიტიკურ თამაშებს კავკასიის რეგიონში, რომელშიც საქართველოც არის ჩართული. შესაძლოა, ეს "დიდი პოლიტიკის საგანი" იყოს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სპეცსამსახურების უშუალო ფუნქციაში, პირველ რიგში, მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება და მისი პროფილაქტიკა შედის და მხოლოდ შემდეგ – მის გამოვლინებებთან ბრძოლა.

რაც შეეხება პანკისის ხეობას. პრობლემა, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იან წლების დასაწყისში იჩინა თავი, ხელისუფლების მიერ ბოლო წუთამდე იგნორირებული იყო. საბოლოოდ, ხეობაში შექმნილი ვითარება რთულია და თუკი სახელმწიფო და მისი სპეცსამსახურები მიზანმიმართულ პოლიტიკას არ გაატარებენ, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდები პრობლემას ვერ უშველის.

ამ მხრივ, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ანალიტიკური კვლევა, რომლის ავტორები უშიშროების სამინისტროს ანალიზის ბიუროს ხელმძღვანელები არიან. "24 საათი" უკვე დაწვრილებით წერდა ამ დოკუმენტის თაობაზე. ამჯერად მხოლოდ პანკისში შექმნილი ვითარების ციტირებით შემოვიფარგლებით:

**"პანკისის ხეობა კონფლიქტური სიტუაციის ყველა სინდრომით დამახასიათებელი რეგიონია, რომლის საქართველოსგან განზიდვის ფარული თუ აშკარა პროცესი უკვე დაწყებულია. ამასთან, კონფლიქტის გლობალიზაციის შემთხვევაში, იქმნება რელიგიურ-ეთნიკური დაპირისპირების საფრთხე. არ არის გამორიცხული, რომ ქისტებს, "მესამე ძალის" წაქეზებით, ავტონომიის მოთხოვნა გაუჩნდეთ... ხეობის თვითიზოლირების მაღალი დონის გასამართლებლად, დაინტერესებული ძალების მხრიდან იქმნება სხვადასხვა სახის ისტორიულ-რელიგიური და კულტურული თეორიები. შეინიშნება სახელმწიფო სტრუქტურების ჩანაცვლება შარიათის სასამართლოთი, უხუცესთა საბჭოებით, წესრიგის დამცველთა ჯგუფებით... გასათვალისწინებელია ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა ზოგიერთი წარმომადგენლის საქართველოში დამკვიდრების მცდელობა... ვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება ვაჰაბიზმის გააქტიურება და მისი როლის ზრდის ტენდენცია, რასაც ხელს უწყობს მუსულმანური სამყაროდან შემოსული სოლიდური ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერა... ის ფაქტი, რომ პანკისში ჩეჩენი ლტოლვილები იმყოფებიან, მნიშვნელოვნად ზრდის ჩრდილოური პროვოკაციების შანსს. რუსეთისთვის კახეთის რეგიონი საქართველოზე სერიოზული პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტი გახდა... პანკისში არსებული ვითარების შენარჩუნებით (საქართველოს იურისდიქციის იგნორირება) ჩეჩნეთის მხარეც არის დაინტერესებული. იგი ხეობას განიხილავს, როგორც რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების პლაცდარმს... ხეობაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებულნი არიან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები და პოლიტიკური ძალები..."**

და ბოლოს: ბუნებრივია, ანტიტერორისტული ოპერაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია პანკისში ვითარების გამოსასწორებლად. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო წარმატებაში უპირველესი როლი სახელმწიფოს მიზანმიმართულმა ნაბიჯებმა უნდა შეასრულოს.

# ჯორჯიისა და საქართველოს გვარდიები თანამშრომლობას გააღრმავებენ

თამარ ხორბალაძე

აშშ-ში საქართველოს სამხედრო ატაშეს - არჩილ ცინცაძის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი საქართველოს სამხედრო დახმარების პროგრამებს უახლოეს პერიოდში გაუზრდის, ერთ-ერთი დადასტურება სულ ორიოდე დღეში მოჰყვა.

გუშინ საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის მეთაური, რომელმაც ამერიკელ და ქართველ სამხედროებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ გააკეთა განცხადება.

**"განვიხილეთ ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიისა და საქართველოს ეროვნული გვარდიის შვიდწლიანი თანამშრომლობის გეგმა, ვისაუბრეთ აშშ-ს "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიღწევების შესახებ..."** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრიდან გამოსულმა ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გენერალ-ადიუტანტმა დევიდ პოიტრესმა, თუმცა, არ დააზუსტა პროგრამის ღირებულება და დეტალები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ კი განმარტა, რომ დაფინანსების ოდენობა მოლაპარაკების პროცესში დაზუსტდება.

ჯერჯერობით, ამერიკელი გენერალი აცხადებს, რომ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ვერტმფრენების მფრინავების მომზადებაზე და პირველი წლის განმავლობაში 10 მფრინავი გაივლის სწავლებას.

ამასთან, შეთანხმება გულისხმობს ერთობლივ საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოებს, რისი გამოცდილებაც 1997 წლიდან ქართველ და ამერიკელ სამხედროებს უკვე დაუგროვდათ.

# ევროსაბჭო კონფლიქტების მოგვარებაში დახმარებას გვპირდება...

*ამ დღეებში გაფორმდება კონტრაქტი ევროსაბჭოსა და ევროკომისიას შორის, რომელიც რეფორმების გატარებაში საქართველოს დახმარებას გულისხმობს. ანალოგიური პროექტი, რომელიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა დახმარების მიზნით შემუშავდა, უკვე არსებობს, მაგრამ, ამჯერად ევროსაბჭოს ყურადღების ობიექტი მხოლოდ საქართველო იქნება. ეს ინფორმაცია გუშინ საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოს პოლიტიკურ საკითხთა დირექტორატის დირექტორმა კლაუს შუმანმა ჩამოუტანა.*

თამარ ხორბალაძე

ევროსაბჭოს წარმომადგენელი გუშინ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა, განსაკუთრებულ საკითხთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრებს, გამართა შეხვედრები ეუთო-სა და გაერო-ს მისიებში.

თავად შეხვედრების ნუსხაც ნათელყოფს, რომ ვიზიტის მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების საკითხი და ამ პროცესში ევროსაბჭოს ჩართვა იყო.

საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე, პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, კლაუს შუმანმა კიდევ ერთხელ შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას ევროსაბჭოს ტრიბუნა რუსეთთან დიალოგის გასამართად. ამასთან ერთად, ევროსაბჭოს წარმომადგენელმა საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ჩეჩნების ექსტრადიციის საკითხზე. იგი შეეხო კვირას ევროპის სასამართლოს მიერ გამოგზავნილ რეკომენდაციას ჩეჩენი ეროვნების პატიმართა უფლებების შესახებ, განაცხადა, რომ რუსეთი და საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები, ვალდებულნი არიან, დაიცვან ევროპის ადამიანის უფლებათა შესახებ მოთხოვნები და, განახორციელონ ყველა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიება. აქვე მან აღნიშნა, რომ ევროპის სასამართლო ანალოგიური რეკომენდაციით რუსეთის მხარესაც მიმართავს.

ცხადია, ევროსაბჭოს წარმომადგენლის მიერ საქართველოში გამართული შეხვედრები ვერ ასცდა თურქი მესხების რეპატრიაციის საკითხზე მსჯელობას. **"ამ ადამიანებს უნდა მიეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება - დაბრუნდნენ საქართველოში ან თანაბარუფლებიანი მოქალაქეობის პრინციპით იცხოვრონ იქ, სადაც დღემდე ცხოვრობდნენ,"** - ასეთია ევროსაბჭოს წარმომადგენლის პოზიცია. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე კლაუს შუმანმა განაცხადა, რომ **"საქართველომ იკისრა ვალდებულება, მიიღოს ისინი თავის მოქალაქეებად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი. ეს ევროსაბჭოს კოლექტიური საკითხია."**

ევროსაბჭოს წარმომადგენელი საქართველოში 12 ოქტომბრამდე დაჰყოფს. დღეს იგი ბაკურიანში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ საქართველოსა და ევროსაბჭოს ურთიერთობის თემაზე გამართულ სემინარში.

# აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციას დაუბრუნდა

პირველი გვერდიდან

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამაც მიიღო, ოღონდ - პარლამენტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე...

სხვა ყველაფერი ძველებურად იყო: აფხაზეთის საკითხი, ძირითადად, პიროვნულმა დაპირისპირებებმა გადაფარა, რომლის კულმინაციადაც დიმა ჯაიანსა და ჯემალ გოგიტიძეს შორის ნარკოტიკების თემაზე წარმოშობილი კონფლიქტი იქცა. ახალი და ორიგინალური არც ის ყოფილა, რომ "აღორძინება" გულმოდგინედ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციაში აფხაზეთის სტატუსის დაფიქსირებას, რადგან ეს "ხელს შეუშლიდა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის ასლან აბაშიძის ძალისხმევას". გარდა ამისა, მათ მიერ არგუმენტად სახელდებოდა ისიც, თითქოს აფხაზეთის სტატუსის გამოკვეთის წინააღმდეგნი იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები და საქართველოს მეგობარი ქვეყნები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასწორის პინა მთელი დღის განმავლობაში მერყევ პოზიციებზე მყოფი პროშევარდნაძისტული ფრაქციების პოზიციამ გადაწონა, რომლებმაც ბოლო მომენტში გადაწყვიტეს, "გაერთიანებული დემოკრატების" წამოწყებას დათანხმებოდნენ. მათი გათვლა მეტად ბუნებრივი და პრაგმატული გახლავთ: დღეს შევარდნაძე პარლამენტის წინაშე ანგარიშით გამოდის და მის მოხსენებაში ყველაზე სუსტი წერტილი აფხაზეთია. როდესაც პრეზიდენტს შეახსენებენ, რომ მის ბიოგრაფიაში აფხაზეთი ყველაზე შავი ლაქაა, კონსტიტუციაში სტატუსის ჩაწერის შემდეგ, მას საშუალება მიეცა, განაცხადოს, რომ ამიერიდან კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში სრულიად ახალი ეტაპი იწყება...

# ამერიკელი ბიზნესმენები რუსეთს საქართველოს ყველაზე დიდ უბედურებად მიიჩნევენ

პირველი გვერდიდან

აშშ-ს მთავრობის მრჩეველმა ვლადიმირ სოკორმა განაცხადა, რომ პანკისის ხეობა არ კონტროლდება. ხეობაში არიან ჩეჩნებიც და არაბებიც. რუსეთი აქტიურად ცდილობს გავლენის შენარჩუნებას. მისი თქმით, რუსეთი, კავკასიასთან დაკავშირებით, იგნორირებას უკეთებს ეუთო-ს გადაწყვეტილებებს. "რუსეთს, როგორც დაინტერესებულ ძალას, არა აქვს უფლება, მოაგვაროს პრობლემები აფხაზეთში. რუსეთმა ხელოვნურად შექმნა პანკისის პრობლემა," - აღნიშნა ვლადიმირ სოკორმა. საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლის გრეგორი ოლმსტედის განცხადებით, დაახლოებით, 600 ათასი დოლარი უკვე იყო გამოყოფილი საქართველოდან რუსული ტექნიკის გასატანად. **"აქ შეუძლებელია უხეში ჩარევა, რადგან ეს არის ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის. აჭარის რეგიონის ხელმძღვანელობის პრორუსული განწყობილება აშკარაა და ასლან აბაშიძე ბედნიერია აჭარაში რუსული ბაზების განლაგებით. პრობლემაა ახალქალაქიც, რადგან იქაური მოსახლეობის უმრავლესობას სომხები წარმოადგენენ. ამ რეგიონებთან საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა საჭირო,"** - განაცხადა აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ. "24 საათის" შეკითხვაზე – "რას უნდა ნიშნავდეს, როცა უცხოელი ბიზნესმენები აკეთებენ ასეთ მკვეთრ განცხადებებს რუსეთის პოზიციის შესახებ?" ნინო ბურჯანაძემ უპასუხა: **"მესმის ამერიკელი ბიზნესმენების შეშფოთება. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა არ არის სტაბილური, როდესაც ქვეყანაში ორი კონფლიქტური ძალაა და როდესაც მას სერიოზული პრობლემები აქვს თავის მეზობელ ზესახელმწიფოსთან, მაშინ ნებისმიერი ბიზნესმენისათვის ასეთ ქვეყანაში შემოსვლა სარისკოა. ამერიკელებს კარგად ესმით, რომ მათი ბიზნესის წარმოება საქართველოში გარკვეული პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაა და როცა მსხვილი ინვესტიცია იდება ქვეყანაში, ინვესტორი ამით ქვეყნის სტაბილურობაზეც ზრუნავს. ამდენად, საქართველო ასე უბრალოდ ხელწამოსაკრავი აღარ იქნება".**

# სომეხთა სპიკერი მითითებებს იძლევა

*თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, სომხეთის პარლამენტის ეროვნული კრების თავმჯდომარის, არმენ ხაჩატრიანის მიერ საქართველოს პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე გაჟღერებულმა მკვეთრმა გამონათქვამებმა საკმაოდ უსიამოვნო გრძნობა დატოვა.*

გიორგი ასანიშვილი

გარეგნულად ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობების მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა იმ დონეზე ვერ განვითარდა, ამ ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს რომ ეკადრება. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს და ისინი, ალბათ, ამ სახელმწიფოების მიერ არჩეული საგარეო ორიენტაციიდან მომდინარეობს: ოფიციალური ერევანი არ მალავს, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი რუსეთია, საქართველოს ხელისუფლებას კი არაერთგზის განუცხადებია დასავლეთთან ინტეგრირებისკენ აღებული კურსის შესახებ.

ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობის თაობაზე დეკლარირებული ზოგადი ფრაზეოლოგიის მიუხედავად, აშკარაა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყველაფერი რიგზე ვერ არის და გარკვეული პრობლემები, წინააღმდეგობები და პრეტენზიები მათ შორის ნამდვილად არსებობს, რომელთა საჯაროდ გამოტანასა და აფიშირებას აქამდე ორივე მხარე ერიდებოდა.

გუშინ კი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ არმენ ხაჩატრიანმა ღიად გამოხატა უკმაყოფილება საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული საშინაო პოლიტიკური კურსის ზოგიერთი ასპექტის მიმართ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მცდელობებმა, დელიკატურად ეგრძნობინებინა ხაჩატრიანისთვის, რომ სხვა ქვეყნის ხელისუფლებასთან "აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება" მთლად კარგი და დიპლომატიაში მიღებული ტონი არ არის, შედეგი ვერ გამოიღო - რუსეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობას, ეტყობა, უკვალოდ არ ჩაუვლია და სომეხთა სპიკერი ისეთი რიხით მსჯელობდა, როგორიც მოსკოვის პოლიტიკური სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს ეკადრება.



არმენ ხაჩატრიანი და ნინო ბურჯანაძე

არმენ ხაჩატრიანი, მაგალითად, სულაც არ მორიდებია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას და საკმაოდ კატეგორიული ტონით ითხოვდა, რომ აუცილებლად უნდა აღდგეს აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალი, რადგან მისი უმოქმედობით, თურმე, სომხეთის ეკონომიკა ძალიან ზარალდება, თუმცა, ხაჩატრიანმა ვერ დაასახელა თანხა, რომელიც საქართველოს **"უგუნური სარკინიგზო პოლიტიკის"** გამო მისი ქვეყნის ბიუჯეტს აკლდება.

სტუმარს არც საქართველოს ხელისუფლების სწორ გზაზე დასაყენებელი რეკომენდაციების გაცემა დაზარებია და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის - მალხაზ კაკაბაძის ფუნქციებიც კი შეითავსა: **"აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები ისეთი ეფექტური აღარ არის, როგორიც სამი წლის წინათ იყო. აფხაზებს დღეს უკვე საკმაოდ მჭიდრო კავშირები აქვთ გარე სამყაროსთან".** რა მონაცემებით სარგებლობდა ასეთი ინფორმაციის მოწოდებისას, ხაჩატრიანს არ დაუკონკრეტებია.

როდესაც აფხაზეთის კონფლიქტზე საუბრობდა, ხაჩატრიანმა შეგვახსენა, რომ **"თუ მისი მოგვარება გვინდა, ტოლერანტობა უნდა გამოვიჩინოთ და მათ** (ალბათ, აფხაზების) **მდგომარეობაშიც შევიდეთ".** ასევე სევდიანი და გულისამაჩუყებელი იყო სტუმრის ნაამბობი იმის შესახებ, აფხაზეთის ომის დროს როგორ იცავდნენ ადგილობრივი სომხები თავიანთ სახლ-კარს, ოჯახებს, წინაპართა საფლავებს... თუმცა, სომხეთის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წყალობით, აფხაზეთიდან დევნილი 300 ათასი ქართველიც 1992-1993 წლებში იმავეს აკეთებდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ხაჩატრიანი ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები თავისი თანამემამულეების საკითხსაც შეეხო და მათთვის **"მაქსიმალური თვითმმართველობის მიცემა და სრულფასოვანი მოქალაქეობის მდგომარეობაში ჩაყენება"** მოითხოვა. **"საჭიროა ფაქიზი დამოკიდებულება ამ ხალხის მიმართ, რათა მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ თავი",** - აღნიშნა ხაჩატრიანმა, თუმცა, არ დაუსახელებია რაიმე ფაქტი, რომელმაც მას ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველი მისცა. იგი ვერ დააკმაყოფილა ნინო ბურჯანაძის პასუხმა, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული უმცირესობის შევიწროებისა და დისკრიმინაციის არც ერთი ფაქტი; რომ საქართველოს ხელისუფლებას შემუშავებული აქვს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა. სომხეთის პარლამენტის თავკაცმა საკმაოდ უხეშად შეაწყვეტინა საუბარი თავის კოლეგას: **"ამ გეგმას დაფინანსება და შესრულება სჭირდება."**

## მერია პარლამენტისგან "დამანგრეველ" კანონს ითხოვს, პოლიციისგან - "ჩაშვებას"

# ირიბარენი და სოლისი შეთანხმდნენ-თბილისი ზამთარში განათებული იქნება

სოფო კვინტრაძე

"ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს შორის შეთანხმება მიღწეულია – თბილისს ელექტროენერგია არ შეუწყდება. მოსახლეობისათვის ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც მხარეებმა, 24 სექტემბრიდან მოყოლებული, დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად მიიღეს.

ურთიერთგაგების მემორანდუმს ალბერტო სოლისმა და იგნასიო ირიბარენმა გვიან ღამით, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" მოაწერეს ხელი. ორივე მხარე აცხადებს, რომ შეთანხმება შეეხო "ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკის ზამთრის პერიოდში ამუშავებას. კერძოდ, მეცხრე ბლოკის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის საკითხს.

პირველ ეტაპზე მეცხრე ენერგობლოკისთვის 3,1 მილიონი აშშ დოლარია საჭირო. გადაწყდა, რომ თანხების ერთ მესამედს "ეი-ი-ესი" დაფარავს, ხოლო ორ მესამედს – საბითუმო ბაზარი. გარდა ამისა, ყოველთვიურად "ეი-ი-ეს თელასი" მოსახლეობიდან ამოღებული ელექტროენერგიის საფასურის 15 პროცენტს ჩარიცხავს საბითუმო ბაზრის ანგარიშზე, ეს უკანასკნელი კი ამ თანხებს მეცხრე ენერგობლოკის ექსპლოატაციაზე დახარჯავს. თავის მხრივ, საბითუმო ბაზარიც გადარიცხავს შემოსავლების 15 პროცენტს მეცხრე ბლოკის "ფონდში", ოღონდ ეს თანხა 300 000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასე რომ, იგნასიო ირიბარენი და ალბერტო სოლისი ერთობლივი ძალებით აამუშავებენ "ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკს, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ზამთარში თბილისის გასანათებლად.

მხარეებს შეთანხმების აქტზე, ჯერჯერობით, ხელი არ მოუწერიათ. ამდენად, კვლავ გაურკვეველი რჩება ვალების ბედი. როგორც ცნობილია, "ეი-ი-ეს თელასს" საბითუმო ბაზრის 26 მილიონი ლარი მართებს, ხოლო საბითუმო ბაზარს კი "ეი-ი-ეს მტკვრის" -50 მილიონი ლარი. ირიბარენისა და სოლისის ბოლო შეხვედრაზე ვალების საკითხი საერთოდ არ განხილულა.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ფინანსთა სამინისტროსგან მოითხოვა, რომ სასწრაფოდ გამოიყოს თანხები კახეთში წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ. როგორც ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ გამართულ თათბირზე განაცხადა, უახლოეს მომავალში მდინარე დურუჯის ნაპირების გასამაგრებლად უნდა გამოიყოს 100 ათასი ლარი.

ერთი თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ამ თანხის გამოყოფის შესახებ, თუმცა ფული ადრესატამდე ვერ მივიდა. წყალდიდობის გამეორების შემთხვევაში, არსებობს ყვარლის ცენტრის დატბორვის საშიშროება.

გარდა ამისა, ჯორბენაძემ ფინანსთა სამინისტროს დაავალა 300 ათასი ლარის გამოყოფა, რაც წყალდიდობის შედეგად დაზარალებულებს მოხმარდება. ამ თანხით აღადგენენ რეგიონში არსებულ ორ ხიდს და წყალსადენის სისტემას. თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ლენტეხის რაიონში ზარალის ოდენობას დაადგენს, ასევე მოიზიდავს ფინანსებს წყალდიდობის შედეგების დასაძლევად. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**ბაქო.** Grand Hotel Europe-ს საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ტელეკომუნიკაციებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების აზერბაიჯანის ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა "BAKUTEL-2002". გამოფენის ორგანიზატორები არიან ბრიტანული კომპანია ITE Group Plc-ი და მისი პარტნიორი აზერბაიჯანში Iteca Caspian Ltd-ი.

გამოფენაში მონაწილეობს 60 კომპანია მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. მათ შორის არიან: "აზერტელეკომი", AzEuroTel-ი, CATEL-ი, Siemens-ი, Nokia და სხვ. ამასთან, გამოფენაში არ მონაწილეობენ მობილური კავშირის კომპანიები Azercell-ი და Bakcell-ი.

გამოფენის ფარგლებში აზერბაიჯანის კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, "აზერტელეკომი", "საქართველოს ტელეკომი" და "საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აზერბაიჯანის ეროვნული სტარტეგიის პროგრამები" 10 ოქტომბრიდან ჩაატარებენ მრგვალ მაგიდას რეგიონის ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრიაში არსებული მიღწევების განხილვის მიზნით.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 150 სპეციალისტი აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან, ევროპიდან და აშშ-დან. გამოფენის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია სემინარებისა და კომპანიების პრეზენტაციის პროგრამა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გავლით, ავღანეთში ჰუმანიტარული ტვირთების ჩატანა, ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით, საორიენტაციოდ, უკვე ნოემბრიდან დაიწყება. ამის შესახებ "პრაიმ-ნიუსს" აცნობა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა. მისი თქმით, უკვე შეთანხმებულია ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა აზერბაიჯანთან, კვირის განმავლობაში კი შეთანხმება მიღწეული იქნება თურქმენეთთანაც. ამის შემდეგ, მერაბ ადეიშვილის თქმით, სატარიფო პოლიტიკა დონორ ქვეყნებს წარედგინება.

საქართველოს გავლით ტრანზიტი 600-700 კილომეტრით უფრო მოკლეა რუსეთის მიმართულებაზე და ტვირთების გადაზიდვა, შესაბამისად, 10-15 პროცენტით უფრო იაფია, - აღნიშნა ადეიშვილმა.

ჰუმანიტარული ტვირთების გარდა, მინისტრის ინფორმაციით, ავღანეთი მწვავედ განიცდის სამშენებლო მასალების საჭიროებას.

ავღანეთში ტვირთების ტრანზიტი საქართველოს "სერიოზულ შემოსავლებს" მოუტანს, რადგან ყოველწლიურად 6-დან 7 მილიონამდე ტონა ტვირთის გადატანა იგეგმება, - თქვა მერაბ ადეიშვილმა. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის მხარესთან მიაღწია წინასწარ შეთანხმებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის მოწოდების შესახებ. როგორც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან გამართულ თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, წინასწარ შეთანხმებას კიშინიოვში რუსეთის პრემიერ-მინისტრ მიხეილ კასიანოვთან შეხვედრის დროს მიაღწიეს.

ჯორბენაძის განცხადებით, ხელისუფლება ყველა ზომას მიმართავს, რათა ამ ზამთარს მოსახლეობამ ენერგოკრიზისი არ იგრძნოს. მისი თქმით, ზამთრის პერიოდში ქვეყნისათვის აუცილებელია ოთხი მილიარდი კილოვატი საათი ელექტროენერგია. "ადგილობრივი რესურსებით შევძლებთ სამი მილიარდი კილოვატი საათის გამომუშავებას, ერთი მილიარდი კი იმპორტის საშუალებით უნდა მივიღოთ," - განაცხადა ჯორბენაძემ.

როგორც "კავკას-პრესს" სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ნუგზარ უფლისაშვილმა აცნობა, საქართველომ უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის მოწოდების შესახებ. რუსეთს დღე-ღამეში 500 მეგავატი ელექტროენერგიის მოწოდება შეუძლია, სომხეთს - 120 მეგავატის, ხოლო აზერბაიჯანს - 50 მეგავატის.

ჯორბენაძის თქმით, ელექტროენერგიის მოწოდებასთან დაკავშირებით შეფერხებები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ წარმოიქმნება, თუ ელექტროენერგიის მომხარებელი საფასურს გადაიხდის და საქართველო დავალიანებას დათქმულ ვადებში დაფარავს. მისივე თქმით, საფასურის გადახდის შემთხვევაში, პრობლემა არც რუსული გაზის მოწოდების საკითხში იქნება. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საბითუმო ბაზარსა და „ეი-ი-ეს თელასს" შორის მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, სემეკი იუსტიციის სამინისტროდან გამოწვეული დადგენილების (რომელიც ტარიფის გაზრდას შეეხება) უკან გადაგზავნას არ ჩქარობს.

როგორც „მედია-ნიუსს" სემეკის მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტში განუცხადეს, გუშინ მიღწეული შეთანხმება ჯერ სემეკის სხდომამ უნდა განიხილოს და თუ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები მისაღები იქნება, ტარიფის შესახებ დადგენილებაც მხოლოდ მაშინ დაბრუნდება იუსტიციის სამინისტროში.

შეგახსენებთ, რომ ტარიფი თბილისში - 1.3 თეთრით (1 კვტ/სთ ელექტროენერგიაზე), ხოლო რაიონებში 0.5 თეთრით პირველი ოქტომბრიდან უნდა გაზრდილიყო.

საბითუმო ბაზარსა და „ეი-ი-ეს თელასს" შორის გაუთავებელი დავის გამო, სემეკმა უკან გაიწვია დადგენილების პროექტი იმ მიზეზით, რომ ტარიფის გაზრდის ერთ-ერთი პირობა, შედგენილი მემორანდუმის თანახმად, „ეი-ი-ეს თელასს" ავალდებულებდა, გადაეხადა საბითუმო ბაზრის დავალიანებისთვის.

ამჟამად თბილისში 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 12.4 თეთრია, ხოლო დანარჩენ საქართველოში - 8 თეთრი. **"მედია-ნიუსი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 5 - 11 ოქტომბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6401 | 0.6308 | 0.0052 |
| US$ | 1.5623 | | 0.9855 | 0.0081 |
| €uro | 1.5855 | 1.0148 | | 0.0082 |
| ¥en | 193.12 | 123.61 | 121.81 | |

### 2002 წლის 11 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1339 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3795 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4585 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1600 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3091 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1749 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0682 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4411 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2368 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0535 ლარი |

# ვინ არის "ფოთის გემთსაშენის" ახალი მფლობელი

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის მაისში ქონების მართვის სამინისტრომ "დარლინგუორთს" საინვესტიციო პირობების დარღვევისთვის, ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, სასამართლოში უჩივლა. ეს პროცესი ქუთაისის საოლქო სასამართლოში ამჟამადაც მიმდინარეობს. ლაშა გოგილავა აღნიშნავს, რომ სჯობს, ჯერ სასამართლოს განჩინებას დაველოდოთ და ამის შემდეგ იქნას ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული. **"პირადად ჩვენ ვალდებულნი ვართ, სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ცალსახად შევასრულოთ,"** - აცხადებს გოგილავა.

ამასთან, "რეგისტრის" ხელმძღვანელი ფრიად გაკვირვებულია იმით, რომ ქონების მართვის სამინისტრომ სასამართლოს არ მოსთხოვა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, "ფოთის გემთსაშენის" აქციები დაყადაღებულიყო. **"რა შემთხვევაში შემიძლია, არ შევასრულო აქციონერის განკარგულება, რომ აქციები გავიდეს სისტემაში? ეს შეიძლება მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენ უფლება არ გვქონდა, ერთ-ერთი მოდავე მხარისთვის თავისი უფლებების განხორციელებაში ხელი შეგვეშალა,"** – აღნიშნავს ლაშა გოგილავა. მართლაც, საქართველოში არსებული ნორმატიული ბაზა რეგისტრატორს არ აძლევს საშუალებას, სამ დღეზე მეტი ხნით შეაფერხოს განკარგულების შესრულების პროცესი.

ლაშა გოგილავა ადასტურებს, რომ "დარლინგუორთს" აქციათა გაყიდვისთვის საჭირო დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდა. თუმცა, ასე არ ფიქრობენ ქონების მართვის სამინისტროში. ამ უწყების წარმომადგენლებმა "24 საათთან" საუბარში განაცხადეს, რომ **"ხელშეკრულების მიხედვით, "დარლინგუორთს" არა აქვს უფლება, საწარმოს ქონება გაასხვისოს, იჯარით გასცეს და ა.შ. სანამ საინვესტიციო პირობებს არ შეასრულებს, მანამდე კომპანია საკუთრების უფლებას ვერ მიიღებს."**

როგორც "24 საათი" იუწყებოდა, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა, რომელიც "ფოთის გემთსაშენის" აქციების რეესტრს აწარმოებს, 2001 წლის რვა მაისს ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება მიიღო. იგი "გემთსაშენის" 5 636 060 ცალ აქციაზე, რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალის 99,39 პროცენტს შეადგენს, საკუთრების დადასტურებას შეეხება. ბრძანების მიხედვით, "დარლინგუორთ ლიმიტედს" უდასტურდება საკუთრება "ფოთის გემთსაშენის" 5 636 060 ცალ აქციაზე **"1998 წლის ექვს აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით."**

**"რეგისტრატორმა, "დარლინგუორდთან" დაკავშირებით, საკუთრების ცნობა ქონების მართვის სამინისტროდან ჯერ კიდევ 2001 წელს მიიღო. ვაჭრობისას დაცული იყო ყველა მოთხოვნა, რომელსაც საბირჟო ვაჭრობა ითვალისწინებს. მათ შორის, საჯაროობის მოთხოვნაც, რადგან "გემთსაშენის" აქციების ვაჭრობის შესახებ სწორედ ბირჟის მეშვეობით გახდა ცნობილი,"** – განაცხადა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა. იგი "გემთსაშენის" აქციების გაყიდვის საქმეში დამნაშავეებად არც საფონდო ბირჟას მიიჩნევს და არც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს.

**"ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს დღეს? იმ ინფორმაციით, რაც მე გამაჩნია, რეგისტრატორს "დარლინგუორთის" საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნდა,"** - აცხადებს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ლოლაძე.

**"იმ დოკუმენტებით, რაც ჩვენს ხელთ არსებობს, სრულიად კანონიერად მოვიქეცით და სხვაგვარად ვერც მოვიქცეოდით,"** – აღნიშნავს "რეგისტრის" ხელმძღვანელი ლაშა გოგილავა და დასძენს, რომ ორ სუბიექტს, ამ შემთხვევაში, ქონების მართვის სამინისტროსა და "დარლინგუორთს" შორის მიმდინარე დავამ რეგისტრატორის საქმიანობაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს.

"გემთსაშენის" აქციების გაყიდვის შესახებ საზოგადოებისთვის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის დღესვე გახდა ცნობილი. "ფოთის გემთსაშენის" აქციებთან დაკავშირებით დაიდო ერთი გარიგება. სულ გაიყიდა 2 744 300 აქცია. პაკეტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 540 627 ლარი. გამოდის, რომ ერთი აქცია გაიყიდა 20 თეთრად. სხვათა შორის, 1998 წელს ქონების მართვის სამინისტრომ "დარლინგუორთ ლიმიტედს", რომელიც მაშინ თავს სამხრეთკორეული მანქანათმშენებლობის გიგანტის - "ჰიუნდაის" "შვილობილ" კომპანიად ასახელებდა, "ფოთის გემთსაშენი" 101 ათას ლარად მიჰყიდა.



"ფოთის გემთსაშენის" ახალი მეწილის ვინაობა კვლავ უცნობია

# რკინიგზელებს ხელფასი 30 პროცენტით მოემატათ

სოფიკო ოხანაშვილი

*კომპანია "საქართველოს რკინიგზამ" გუშინ რკინიგზელთა სახლში საქართველოს რკინიგზის 130 წლის იუბილე აღნიშნა. 1872 წლის 10 ოქტომბერს ფოთიდან თბილისში პირველი მატარებელი ჩამოვიდა. სწორედ ეს დღე ითვლება ქართული რკინიგზის დაბადების დღედ.*

საზეიმო სხდომა "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ გახსნა. მან ისაუბრა შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე, რისი განხორციელებაც ამ დარგს კიდევ უფრო პერსპექტიულსა და ქვეყნის ბიუჯეტისათვის შემოსავლიანს გახდის. **"1995 წელს საქართველოს რკინიგზამ 2,5 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდა. შარშან ტვირთბრუნვა 13 მილიონ ტონამდე გავზარდეთ. წელს ეს მოცულობა 15 მილიონ ტონამდე მოიმატებს, რის შედეგადაც ბიუჯეტის შემოსავალიც გაიზრდება, რომელიც, ჩვენი აზრით, 50 მილიონ ლარს მიაღწევს",** - აღნიშნა აკაკი ჩხეიძემ.

დარგის განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმაც: **"ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ტვირთბრუნვა 45-50 მილიონ ტონამდე უნდა გაიზარდოს."**

"საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა თანამშრომლები სასიამოვნო სიახლით გაახარა, მან ხელქვეითებს ხელფასების 30 პროცენტით გაზრდის შესახებ აუწყა. **"ორი დღის წინ, დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს ხელფასების 30 პროცენტით გაზრდის შესახებ. თუ აქამდე საშუალო ხელფასი 180 ლარს შეადგენდა, ამის შემდეგ 240 ლარი იქნება",** - განაცხადა მან.

ქართველი რკინიგზელების პროფესიულ დღესასწაულს საქართველოს პრეზიდენტიც უნდა დასწრებოდა, მაგრამ მისვლა ვერ შეძლო და დარგის თანამშრომლებს მისალოცი ბარათი გაუგზავნა.

საქართველოს რკინიგზის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა კონცერტით დასრულდა. ორი დღის წინ საქართველოს რკინიგზის 130 წლის იუბილე სამტრედიაში იზეიმეს. რამდენიმე დღეში ამ დღესასწაულს ბათუმშიც აღნიშნავენ.

# „ფიატი" რვა ათასზე მეტ თანამშრომელს აძევებს

თორნიკე შარაშენიძე

ვალებში ჩავარდნილი იტალიური გიგანტი "ფიატი" კრიზისიდან გამოსასვლელად აღარაფერს ერიდება. კომპანიის ხელმძღვანელობამ, ხარჯების შემცირების მიზნით, საავტომობილო ქარხნებში დასაქმებული პერსონალის ერთი მეხუთედით შემცირება გადაწყვიტა. შეგახსენებთ, "ფიატის" საქმიანობა რამდენიმე სფეროს მოიცავს, მათ შორის საბანკოს, საგამომცემლოს და საფეხბურთოსაც კი (კომპანია აკონტროლებს ცნობილ კლუბ "იუვენტუსს"); მაგრამ მისი შემოსავლის მთავარი წყარო მაინც ავტომობილებია და, მისდა საუბედუროდ, წაგებაზე სწორედ ეს ბიზნესი მუშაობს. შესაბამისად, შემცირებაც სწორედ იქ მიმდინარეობს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ 5600 კაცი დეკემბრისათვის დატოვებს სამუშაოს. მათ მომავალი წლის ივლისში კიდევ 2000 მიჰყვება, 500-ს კი პენსიაზე ნაადრევად გაისტუმრებენ.

"ფიატის" მუშაკებმა ამ გადაწყვეტილებას უკვე ხანმოკლე გაფიცვით უპასუხეს, მაგრამ, საეჭვოა, ამან რაიმე შეცვალოს. მით უმეტეს, რომ კომპანია მთავრობისგან მხარდაჭერას ელის. "ფიატის" ხელმძღვანელობამ ხელისუფლებისაგან საგანგებო, "კრიზისული სტატუსის" მინიჭებას ითხოვს და თუკი სასწაული არ მოხდა, მას აუცილებლად მიიღებს (ამაზე ცოტა ქვემოთ). "კრიზისული სტატუსი" კომპანიებს საშუალებას აძლევს, გვერდი აუარონ შრომის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და თანამშრომლები თავად დაითხოვონ.

მთავრობისაგან ასეთი სტატუსის მინიჭების იმედი კი "ფიატს" ერთი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, გარემოების გამო უნდა ჰქონდეს. ეს არის იტალიის პრემიერის, სილვიო ბერლუსკონისა და "ფიატის" მეპატრონე ანიელების დიდი ხნის მეგობრობა. ეს მეგობრობა ბევრ რამეში გამოიხატება, თვით ფეხბურთიც კი (გულშემატკივრები არაერთხელ შეამჩნევდნენ, რომ ანიელების "იუვენტუსი" და ბერლუსკონის "მილანი" ხშირად ერთმანეთს ერთობ საეჭვოდ უწევენ ანგარიშს). როცა "ფიატს" პრობლემები შეექმნა, ბერლუსკონისგან ბევრი ელოდა კომპანიისათვის სამთავრობო დახმარებების გამოყოფას; მაგრამ პრემიერს ევროკომისიიდან მაშინვე აგრძნობინეს, რომ ამის გაკეთება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ დახმარებების გამოყოფა არ მოხდა. სამაგიეროდ, "კრიზისული სტატუსის" მინიჭებაზე ბერლუსკონის, ალბათ, ვერავინ აალებინებს ხელს.

ბევრი სპეციალისტი კი მიიჩნევს, რომ შესაძლოა ანიელებმა საერთოდ ჩაიქნიეს ხელი "ფიატზე" და აღარც აქვთ იმედი, რომ კომპანია კრიზისიდან გამოვა. ასეთ შემთხვევაში ამ ხარჯშემცირებებს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს - "ფიატს" სურს, რომ როგორმე აწიოს თავისი აქციების ფასი და რაც შეიძლება ძვირად მიეყიდოს "ჯენერალ მოტორსს," რომელიც "ფიატ ავტოს" 20 პროცენტს აკონტროლებს. თავის დროზე ორ კომპანიას შორის შეთანხმება დაიდო, რომლის თანახმადაც, "ფიატს" შეუძლია, 2004 წლამდე ამერიკულ გიგანტს დარჩენილი წილის ყიდვაც მოსთხოვოს. ასე რომ, "ფიატის" პროგრამა-მინიმუმი კიდევ ორი წლით "თავის გატანაა".

# "ფორდი" "ჩამოლაბორანტეს"

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს სიდიდით მეორე ავტომწარმოებლის, "ფორდის," აქციები ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ მაჩვენებლამდე დაეცა. ამის მიზეზი "კრედიტ სუის ფერსტ ბოსტონის" მიერ კომპანიის რეიტინგის ჩამოფასება გახდა. აქციების გარდა, მკვეთრად გაუფასურდა "ფორდის" ობლიგაციებიც. ეს ყველაზე უფრო შავი დღე იყო ამერიკული გიგანტისა და მისი თავკაცისათვის, ლეგენდარული ჰენრი ფორდის შვილთაშვილის შვილის, ბილ ფორდისათვის, მას შემდეგ რაც უკანასკნელმა ავტოგიგანტის ხელმძღვანელობა ჩაიბარა.

"კრედიტ სუისის" - ერთ-ერთი უდიდესი ბანკისა და სარეიტინგო ჯგუფის - უარყოფითი შეფასება არა მხოლოდ "ფორდმა," არამედ აშშ-ის მთელმა ავტომრეწველობამ იწვნია საკუთარ თავზე. უარყოფითი შეფასების მიზეზად იქცა ამერიკის ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობა და ავტომანქანებზე მოთხოვნილების სავარაუდო დაცემა.

მაგრამ ყველაზე მეტად "ფორდის" რეიტინგი ჩამოფასდა და სპეციალისტები ამ კომპანიას კარგ მომავალს არ უწინასწარმეტყველებენ. "ფორდის" ვალი 2001 წლის ბოლოსათვის 157 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბევრი კომპანიისთვის ეს უკვე გაკოტრების ტოლფასი იქნებოდა, მაგრამ "ფორდი" აქამდე ფეხზე იდგა და ამაში რაღაც დამსახურება კომპანიის ავტორიტეტსაც მიუძღოდა, მაგრამ ახლა ესეც აღარ "მუშაობს". 157 მილიარდი დოლარი დიდი თანხაა და ასეთი ვალის მქონე კომპანიას კარგი მომავალი ნამდვილად ვერ ექნება. გასაკვირი უფრო ისაა, რომ "ფორდის" რეიტინგი აქამდე არ ჩამოაფასეს.

ავტოგიგანტი ამ კატასტროფამდე რამდენიმე წლის განმავლობაში ჯერ იყო წაგებაზე მომუშავე ქარხნები ევროპაში, შემდეგ - "ფაიარსტოუნის" საბურავების სკანდალი (ამ საბურავებით, რომლებიც უვარგისი აღმოჩნდა და არაერთი ავარიის მიზეზად იქცა, "ფორდის" ზოგიერთი მოდელი იყო აღჭურვილი), რომელიც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დაჯდა. "ფორდი" აშკარად ჩამორჩა თავის კონკურენტებს სიახლეების მხრივაც. ფინანსური პრობლემები "ჯენერალ მოტორსსაც" აქვს, მაგრამ მისი ახალი მოდელები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

"ფორდის" კრიზისი რომ საგანგაშო ზღვარს უახლოვდებოდა, ეს ნათლად შარშან გამოჩნდა, როცა კომპანიამ გაკოტრებულ კორეულ ავტომწარმოებელ "დეუზე" გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ კი თავის შენაძენზე უარი თქვა და "დეუ" "ფორდის" უპირველეს მეტოქეს, "ჯენერალ მოტორსს" დარჩა.

ავტოგიგანტის პრობლემებს ართულებს ის გარემოებაც, რომ მას მიეკუთვნება ე.წ. "ფუფუნების მანქანების" რამდენიმე მარკა - "ვოლვო," "ლენდ როვერი" და "იაგუარი" ამ უკანასკნელებზე მოთხოვნილება (ეკონომიკური კრიზისის მიზეზით) მკვეთრად დაეცა.

მაგრამ, ჯერჯერობით, "ფორდის" ჩამოწერა მაინც ნაადრევია. ბევრი ექსპერტი და სააგენტო - მათ შორის, "სთანდარდ ენდ ფუარ" - მიიჩნევს, რომ კომპანია კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალაა და პრობლემებიდან თავის დაღწევა ჯერ კიდევ შეუძლია. გავიხსენოთ წლინახევრის წინ "დაიმლერ-კრაისლერი". იგი უფრო მძიმე დღეში იყო: კომპანია ყოველდღე 20 მილიონ დოლარს კარგავდა, მაგრამ ამას, ეფექტური ხარჯშემცირებების წყალობით, ბოლო მოეღო. "ფორდმაც" რაიმე ამგვარი უნდა იღონოს.

# პარტნიორებთან ვაჭრობა ამერიკას, შეიძლება, უფრო ძვირი დაუჯდეს, ვიდრე ომი ერაყთან

*მსოფლიოს ლიდერები ერაყის საკითხზე მოლაპარაკების გადამწყვეტი რაუნდისათვის ემზადებიან. ბაღდადის ბედი უახლოეს მომავალში გაირკვევა. დასადგენი მხოლოდ ის დარჩა, თუ რა "ფასად" იყიდის შეერთებული შტატები მსოფლიოს დიდი ქვეყნების მხარდაჭერას.*

ლევან ღირსიაშვილი

საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე უპირველეს პრობლემად კვლავ ერაყის საკითხი რჩება. მსოფლიოს ლიდერთა შორის ამ თემაზე უთანხმოება გრძელდება –აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები გაერო-სგან ახალი და მკაცრი რეზოლუციის მიღებას ითხოვენ, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. თუმცა, აშკარაა, რომ ოფიციალური მოსკოვის პოზიცია უფრო ეკონომიკური მოსაზრებებით არის განპირობებული – რუსეთს ხომ ერაყში საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები გააჩნია. გამონაკლისს არც საფრანგეთი წარმოადგენს – პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ერთის მხრივ, ერაყის ნავთობთან დაკავშირებით საფრანგეთის კომერციული ინტერესების არსებობას უსვამს ხაზს, ხოლო, მეორეს მხრივ, საფრანგეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოს, დაფიქსირებას ცდილობს და გაერო-ში ახალი რეზოლუციის ალტერნატიული პროექტის წარდგენას აპირებს.

ბოლო დღეებში საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება მოსკოვში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტისაკენ არის მიპყრობილი, რომელიც გუშინ დაიწყო. ტონი ბლერისა და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრამ ბევრ რამეს უნდა მოჰფინოს ნათელი. **"რასაკვირველია, რუსეთს ერაყში საკუთარი ეკონომიკური ინტერესები გააჩნია, მაგრამ მეჩვენება, რომ მოსკოვისათვის სხვა რამაა მთავარი: როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სრული მხარდაჭერის პირობებში. მაგრამ ეს ხომ ჩვენთვისაც მთავარია,"** – განაცხადა დიდი ბრიტანეთის ლიდერმა მოსკოვში გამგზავრების წინ, "ბი-ბი-სი"-სათვის მიცემულ ინტერვიუში. ტონი ბლერის თქმით, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები რუსეთს სრულუფლებიან პარტნიორად მიიჩნევენ და ერაყის საკითხში მოსკოვის მხარდაჭერის იმედი აქვთ. **"როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ტერორიზმის პრობლემაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი თავად იქცა ჩეჩნეთში გამაგრებული ექსტრემისტების მიერ განხორციელებული ტერორის მსხვერპლად. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობა დაცული უნდა იყოს. მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ რუსეთის თვალთახედვის გათვალისწინება აუცილებელია. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აუცილებელია ადამიანთა უფლებების დაცვაც. მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ რუსეთს თავისი კანონიერი ინტერესები გააჩნია და მან უნდა დაიცვას თავი ტერორიზმისგან და წინ უნდა აღუდგეს ექსტრემიზმს,"** – დასძინა ტონი ბლერმა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დაწყების წინ ტონი ბლერმა რუსეთის პრეზიდენტს რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებაც შეახსენა: **"რუსეთში, დაახლოებით, 400 ბრიტანული კომპანია მუშაობს. ამ ქვეყანაში, უცხოური ინვესტიციების მოცულობის მიხედვით, ბრიტანეთს მეხუთე ადგილი უკავია. რუსეთი უცხოური ინვესტიციების 10 პროცენტს დიდი ბრიტანეთისგან იღებს."**

ამდენად, დიდი ბრიტანეთის ლიდერი მოსკოვში კონკრეტული წინადადებებით ჩადის. თუ რუსეთი ერაყის წინააღმდეგ შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო კამპანიას დათანხმდება, მაშინ ლონდონი და ვაშინგტონი რუსეთის გაჭიანურებულ სამხედრო აქციაზე ჩეჩნეთში თვალს დახუჭავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დასავლეთის მხრიდან დაიწყება მოსკოვის მკვეთრი კრიტიკა ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო. ასევე საფრთხის ქვეშ დადგება დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობები. სავარაუდოა, რომ ტონი ბლერი პუტინს ერაყში რუსეთის ეკონომიკური ინტერესების დაცვასა და გათვალისწინებასაც შეჰპირდება.

**"რუსეთში არსებობს პროერაყული ლობი და გაცხადებული ინტერესები, რომელიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ალბათ შევძლებთ რუსეთის დარწმუნებას, რათა მან ჩვენი თვალთახედვა გაიზიაროს,"** - განუცხადა "ბი-ბი-სის" კორესპონდენტს ერთ-ერთმა მაღალი რანგის ბრიტანელმა დიპლომატმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. თუ რითი დასრულდება ორი ქვეყნის ლიდერთა შეხვედრა, ამას ცოტა ხანში შევიტყობთ. შედეგების შესახებ ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ის, თუ მომავალში რა პოზიციას დაიკავებს მოსკოვი ერაყთან მიმართებაში. რუსეთის შემდეგ კი, ამერიკული და ბრიტანული დიპლომატიის დღის წესრიგში საფრანგეთის და ჩინეთის დათანხმების საკითხი დადგება. თუკი მოსკოვმა ჰუსეინი გასწირა, საეჭვოა, ერაყის პრეზიდენტისათვის საფრანგეთმა და ჩინეთმა გამოიდონ თავი. ბოლოს და ბოლოს, ვაშინგტონი და ლონდონი მათი ინტერესების დაკმაყოფილებასაც შეძლებენ. თუ არა და, სადამ ჰუსეინთან ანგარიშის გასწორება არც საკუთარი ძალებით გაუჭირდებათ.

## მსოფლიოს ლიდერთა პოზიცია ერაყის შესახებ

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:** აშშ და ბრიტანეთი ცდილობენ ვეტოს უფლების მქონე დანარჩენი ქვეყნების - საფრანგეთის, რუსეთის და ჩინეთის დარწმუნებას, რომ ამ ქვეყნებმა მხარი დაუჭირონ მკაცრი რეზოლუციის მიღებას, რომელიც ერაყს ძალის გამოყენებით დაემუქრება, თუკი სადამ ჰუსეინი არ დაიწყებს მასობრივი განადგურების იარაღის დემონტაჟს.



**აშშ:** პრეზიდენტი ბუში ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციის დაწყებას აპირებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას გაერო მხარს არ დაუჭერს. გამოკითხული მოსახლეობის 53% მხარს უჭერს აშშ-ს ერაყში შეჭრას.



**დიდი ბრიტანეთი:** მოსალოდნელია, რომ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მძიმე ტექნიკის და არმიის ქვეითში გაგზავნის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება. აშშ-ს და ბრიტანეთის ომის სტრატეგები ვარაუდობენ, რომ სამხედრო ძალის დემონსტრირება ერაყში სამხედრო გადატრიალებას ან ჰუსეინის მკვლელობას გამოიწვევს. ბრიტანეთის მოსახლეობის 32% მხარს უჭერს ერაყში შეჭრას.



**საფრანგეთი:** პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მხარს უჭერს ორეტაპიანი რეზოლუციის მიღებას, რომლის თანახმადაც გაერო-მ უნდა გამოიყენოს სამხედრო ძალა, თუ ბაღდადი ჩაშლის სამხედრო ინსპექტორთა მისიას. ფრანგულ კომპანიას "ტოტალფინაელფის" ერაყში მაჯნუნის ნავთობის საბადოს ათვისების უფლება გააჩნია, როლის რეზერვიც 10 მილიარდ ბარელს შეადგენს.






**რუსეთი:** პრეზიდენტი პუტინი გაერო-ს ახალ რეზოლუციაში სამხედრო ძალის გამოყენების ჩანერის წინააღმდეგია, ვიდრე გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებს ერაყში მუშაობის შანსი აქვთ. რუსეთის კომპანია "ლუკოილს" ერაყში დასავლეთ კურნას ნავთობსაბადოში 68%-იანი წილი გააჩნია. ამ საბადოს რეზერვი 20 მილიარდ ბარელს შეადგენს. გარდა ამისა, ერაყს საბჭოთა პერიოდში იარაღის შესყიდვიდან რუსეთის ვალი- 8 მილიარდი დოლარი მართებს. პუტინს სურს გარანტიების მიღება, რომ ეს კონტრაქტები რუსეთს შეუნარჩუნდება და აუნაზღაურდება პოსტ-სადამისეულ პირობებშიც კი.



**ჩინეთი:** პრეზიდენტი ძიან ძემინი სამხედრო კამპანიის მხარს არ უჭერს. მისი სურვილია, რომ ერაყში განახლდეს სამხედრო ინსპექტორთა მისია და მან შესაძლოა, მხარი დაუჭიროს საფრანგეთის ალტერნატიულ რეზოლუციას.



**გერმანია:** არ მიიღებს მონაწილეობას ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში, თუნდაც ეს გაერო-ს ეგიდით წარიმართოს.

**თურქეთი:** ბრიტანეთს და აშშ-ს მისი სამხედრო ბაზების გამოყენების ნებას რთავს, თუმცა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციაში მონაწილეობის მიღებაზე ყოყმანობს.

**ისრაელი:** მხარს უჭერს ერაყში ჰუსეინის რეჟიმის შეცვლას.

**სირია:** აცხადებს, რომ აშშ-ს და ისარელს ერაყის სათავეში მარიონეტული ხელისუფლების მოყვანა სურთ.

**ირანი:** ოფიციალურად ეწინააღმდეგება ერაყზე სამხედრო დარტყმებს.

**იორდანია:** ერაყში სამხედრო აქციის დაწყებას ეწინააღმდეგება. მისი ნავთობის იმპორტი მთლიანად ერაყზეა დამოკიდებული.

**ქუვეითი:** როგორც აშშ-ს ახლო მოკავშირე, მხარს უჭერს სადამის დამხობას. ქუვეითში მუდმივად განთავსებულია 9000 ამერიკელი ჯარისკაცი.

**ეგვიპტე:** მხარს უჭერს ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორების დაბრუნებას. ყოველწლიურად აშშ-სგან ღებულობს 2 მილიარდი აშშ დოლარის დახმარებას.

**ყატარი:** მხარს უჭერს საკითხის დიპლომატიური მეთოდებით გადაწყვეტას – ერაყში სამხედრო დარტყმების შემთხვევაში იქცევა აშშ-ს ძირითად სამხედრო ბაზად.

**ბაჰრეინი:** აცხადებს, რომ ერაყმა უნდა შეასრულოს გაერო-ს რეზოლუციები. აქ განთავსებულია აშშ-ს მე-5 სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბ-ბინა.

**საუდის არაბეთი:** აშშ-ის გაურკვეველი მოკავშირე. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ოსამა ბინ ლადენს.

**იაპონია:** სამხედრო ძალის გამოყენებას უკიდურეს და ბოლო საშუალებად განიხილავს.

**ავსტრალია:** "სერიოზულად განიხილავს" აშშ-სთვის სამხედრო დახმარების გაწევას.

Sources: CNN/USA Today/Gallup Poll conducted Oct. 3-6; Guardian/ICM weekly war tracker survey, Reuters, UPI, Jane's Foreign Report © GRAPHIC NEWS

# პაკისტანი სამოქალაქო მმართველობას ირჩევს



სამწლიანი სამხედრო მმართველობის შემდეგ, გუშინ პაკისტანის 140-მილიონიანმა მოსახლეობამ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა,

1999 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც ახლანდელმა პრეზიდენტმა მუშარაფმა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი ხელისუფლებას ჩამოაშორა, პარლამენტის არჩევნები პირველად ტარდება. უცხოელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ გუშინდელი არჩევნები თავისუფალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია მუშარაფს ხმების მანიპულირებაში ადანაშაულებს. ხმის მიცემის პროცესმა პროვინციების უმეტესობაში მშვიდად ჩაიარა, თუმცა, ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების დროს 2 ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე ათეული დაიჭრა.

მუშარაფის მხარდამჭერი პაკისტანის მუსლიმური ლიგა არჩევნებში გამარჯვებას ეცილება პაკისტანის სახალხო პარტიას, რომელიც ქვეყნიდან გაძევებულ ყოფილ პრემიერ-მინისტრს - ბენაზირ ბჰუტოს უჭერს მხარს. თავად ბჰუტოს პაკისტანის სასამართლომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა, რამაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოპულარობა მოსახლეობაში კიდევ უფრო გაზარდა. ბენაზირ ბჰუტო არ გამორიცხავს, რომ, არჩევნებში მისი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, იგი ქვეყანაში დაბრუნდება და პოლიტიკურ მოღვაწეობას გააგრძელებს.

პაკისტანის საპარლამენტო არჩევნების შედეგები დღეს, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

# ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალმა კრიზისმა იფეთქა

ლევან ღირსიაშვილი

ლონდონში დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის პრემიერ-მინისტრების საგანგებო შეხვედრა გაიმართა. ამის მიზეზად ჩრდილოთ ირლანდიის ასამბლეის დაშლის საფრთხე იქცა. როგორც ცნობილია, ეს ორგანო ოთხი წლის წინ ჩრდილოეთ ირლანდიაში არსებული სისხლიანი კონფლიქტის მოგვარების მიზნით შეიქმნა. ამჟამინდელი კრიზისის მიზეზი ჩრდილოეთ ირლანდიის პირველი მინისტრის და უმსხვილესი პოლიტიკური პარტიის – იუნიონისტების ლიდერის დევიდ ტრიმბლის განცხადება გახდა, რომლის თანახმადაც, თუ ორგანიზაცია "შინ ფეინი" არ დატოვებს ასამბლეას, მაშინ ასეთ ნაბიჯს თავად იუნიონისტები გადადგამენ. ამ განცხადების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას" დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხთა სამინისტროში თავისი აგენტები ჰყავდა შეგზავნილი და ირლანდიის მთავრობის წინააღმდეგ ჯაშუშურ საქმიანობას აწარმოებდა. გარდა ამისა, იუნიონისტებმა "შინ ფეინს" ძალადობის პოლიტიკის გაგრძელებაში დასდეს ბრალი. "შინ ფეინი" კი "ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" პოლიტიკურ ფრთას წარმოადგენს და ირლანდიელი ნაციონალისტების ინტერესებს იცავს ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეაში.

ტონი ბლერთან შეხვედრაზე ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა განაცხადა, რომ ირლანდიის მთავრობამ, შესაძლოა, ასამბლეის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღოს, თუკი ეს ღონისძიება წარმოქმნილი კრიზისის მოგვარებას შეუწყობს ხელს. მანამდე კი, სამშაბათს, დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საკითხთა მინისტრმა ჯონ რიდმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება არ მიიღებს არანაირ გადაწყვეტილებას, ვიდრე ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციებს არ ჩაატარებს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში წარმოქმნილ კრიზისულ ვითარებას ართულებს ის ფაქტიც, რომ დუბლინში მიმდინარეობს ტერორისტული დაჯგუფების "ჭეშმარიტი ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" ერთ-ერთი ლიდერის – მაიკლ მაკევიტის სასამართლო პროცესი, რომელსაც ტონი ბლერის წინააღმდეგ ტერორისტული შეთქმულების დაგეგმვაში ედება ბრალი. მაიკლ მაკევიტმა ერთ-ერთი კერძო შეხვედრისას თანამოსაუბრეს სიტყვა-სიტყვით შემდეგი განუცხადა: **"თუ თქვენ გსურთ ტონი ბლერის სიკვდილი, ჩათვალეთ, რომ ეს საქმე შესრულებული იქნება."** როგორც გაირკვა "ირა"-ს ლიდერის თანამოსაუბრე გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი აღმოჩნდა. აღნიშნული ფაქტი, დიდი ბრიტანეთისა და "ირა"-ს პოლიტიკური ფრთის – "შინ ფეინის" ურთიერთობაზე ნეგატიურად იმოქმედებს. ასეთ შემთხვევაში კი, ჩრდილოეთ ირლანდიაში ტერორისტული აქტების სერიების განახლებაა მოსალოდნელი.

## სამშვიდობო პროცესის კრიზისი

ოლსტერის იუნიონისტები ჩრდილოეთ ირლანდიის აღმასრულებელი მთავრობიდან შინ ფეინის გარიცხვას მოითხოვენ, რის მიზეზადაც ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობაში ჯაშუშები ჰყავდა შეგზავნილი.




**ბრიტანეთის მთავრობის არჩევანი**

- ასამბლეის ბიუროს წინადადების მიღება და შინ ფეინის გარიცხვა
- ასამბლეის დაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა
- ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტების დროებით გაუქმება, რაც ადრე უკვე ორჯერ მოხდა

Source: NI Assembly © GRAPHIC NEWS

# ქუჩმა და საქართველო - მოკავშირეობის დასასრული

პირველი გვერდიდან

ამ პირობებში უზბეკეთმა და აზერბაიჯანმა მოახერხეს რუსეთისა და ამერიკის ინტერესებს შორის დროებითი (ან, შესაძლოა, ხანგრძლივი) დაზავებით ესარგებლათ და ორივე დიდი სახელმწიფოსაგან მიეღოთ ის, რისი შეთავაზებაც მათ შეუძლიათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის: ამერიკის მხრიდან - სამხედრო და ფინანსური დახმარება, ხოლო რუსეთის მხრიდან - მმართველი რეჟიმების ხელშეუხებლობის დროებითი გარანტიები.

სუუამ-ის ქვეყნებიდან, ჯერჯერობით, ყველაზე გაურკვეველი რჩება უკრაინის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ქვეყანა, რომელიც თავიდანვე სუუამ-ის მამოძრავებელ ძალად იყო მიჩნეული, დღეს საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე თითქმის მთლიანად პარალიზებულია, შიდა პოლიტიკური კრიზისის გამო. ეს ფაქტი, ბუნებრივია, უარყოფითად შეიძლება აისახოს უკრაინის მოკავშირეებზე, პირველ რიგში კი, საქართველოზე, რომელიც, რუსეთის მხრიდან ზეწოლის პირობებში, უკრაინას ერთ დროს მოსკოვის საპირწონედ განიხილავდა. შეიძლება თუ არა, რომ დღეს საქართველოს უკრაინის მოკავშირეობის იმედი ჰქონდეს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ საკითხში – რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაში?

უკრაინაში მიმდინარე ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, უკრაინისა და საქართველოს მოკავშირეობის არეალი სულ უფრო მცირდება. კიევის მიერ თბილისის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უშლის ხელს, რომელთაგან უპირველესი ლეონიდ კუჩმას მიერ თანამდებობის შენარჩუნების პრობლემაა. სექტემბრის შუა რიცხვებში, კიევის ცენტრში, უკრაინის ოპოზიციის ერთობლივმა მრავალრიცხოვანმა საპროტესტო აქციებმა დაადასტურა, რომ კუჩმას მოწინააღმდეგეებს სერიოზული ძალები გააჩნიათ. მათი პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ამ ძალების გაერთიანება და ერთობლივი ფრონტით გამოსვლაა. კუჩმასთვის კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა შექმნა შეერთებული შტატების პოზიციამ – ვაშინგტონმა კუჩმა პირადად დაადანაშაულა იარაღით უკანონოდ ვაჭრობაში, კერძოდ კი, სადამ ჰუსეინისათვის თანამედროვე შეიარაღების მიყიდვაში.

ბუნებრივია, რომ კუჩმა თავისი პოლიტიკური მდგომარეობის გადარჩენის ბოლო შანსს მიმართავდა და ასეც მოხდა – ბოლო ხანს უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტების დაახლოება, გაზის ერთიანი კონსორციუმის ჩამოყალიბება და ორმხრივ ურთიერთობებში პრობლემების ვირტუალური გაუჩინარება იმაზე მეტყველებს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა სწორება მოსკოვზე აიღო. ამას ისიც დაემატა, რომ უკრაინის ყველაზე პროდასავლური და გავლენიანი პოლიტიკოსი – იუშჩენკო საბოლოოდ გადავიდა ოპოზიციის რიგებში და პრეზიდენტს დაუპირისპირდა.

რას უქადის კუჩმას ამგვარი პოზიცია კავკასიის ქვეყნებს და საქართველოს? რა ბედი ეწევა სუუამ-ის ალიანსს, რომელსაც ერთ დროს დსთ-ს ალტერნატივადაც კი განიხილავდნენ?

საინტერესოა, რომ სუუამ-ის 5 წლისთავისადმი მიძღვნილ განცხადებაში უკრაინის პრეზიდენტმა გუშინ ხაზი გაუსვა სუუამ-ის არა სამხედრო-პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ მნიშვნელობას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის – მათ შორის სომხეთისთვისაც, რომელიც ამ ალიანსის წევრი კი არ არის, რუსეთის მოკავშირეა.

ბოლო ორი დღეა, ლეონიდ კუჩმა სომხეთში სტუმრობს. მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი ეკონომიკური, კულტურული და სამართლებრივი კავშირების განმტკიცებაა. სამხედრო თანამშრომლობა, ერთი შეხედვით, მისი ვიზიტის დღის წესრიგში მოკრძალებულ ადგილს იკავებს, მაგრამ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ სომხეთ-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობა გაფართოვდება. სომეხი კადეტები უკრაინის სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნებიან, გაიცვლება სამხედრო-სამეცნიერო ინფორმაცია. შესაძლოა, ხელი მოეწეროს შეთანხმებას საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებაც.

რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს უკრაინა-სომხეთის სამხედრო თანამშრომლობა, იგი მაინც უცნაურად გამოიყურება იმ ფაქტის ფონზე, რომ უკრაინა და სომხეთთან დაპირისპირებული აზერბაიჯანი აქამდე მოკავშირეებად ითვლებოდნენ სუუამ-ის ფარგლებში. მეტიც, ყოვნდება უკრაინის მეორე მოკავშირისათვის - საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მიწოდების შეთანხმების შესრულება. შეიძლება თუ არა აქაც მოსკოვის მხრიდან კიევზე ზეწოლის დამადასტურებელი საბუთები ვეძიოთ?

ერთი რამ ცხადი უნდა იყოს – დღეს სერიოზული კითხვის წინაშე დგას კიევისა და თბილისის მოკავშირეობა რუსეთის ზეწოლის გასანეიტრალებლად. სავარაუდოა, რომ ვითარება უახლოეს ხანში არც შეიცვლება, თუ უკრაინის ოპოზიციამ კუჩმას თანამდებობიდან გადაყენება ვერ მოახერხა. არადა, უკრაინის ოპოზიციის დაქსაქსულობის გათვალისწინებით, ამგვარი საფრთხე კუჩმას ნაკლებად ემუქრება. უკრაინის საგარეო პოლიტიკის სერიოზული ცვლილება, რასაკვირველია, სუუამზეც იქონიებს გავლენას. დღეს თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თავისი დაარსების მეხუთე წლისთავზე სუუამ-ი პარალიზებულია.

მაგრამ, ჯერჯერობით, სუუამ-ის გაუქმებას არავინ აპირებს. ეს ორგანიზაცია, შესაძლოა, ჯერ კიდევ გამოადგეთ მის შემქმნელებს, სულ უბრალო მიზეზის გამო – პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის შეკავება, შეიძლება, კვლავ დადგეს დღის წესრიგში მას შემდეგ, რაც ამერიკელები ერაყთან ომს დაასრულებენ და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცისათვის კვლავ საფუძვლიანად მოიცლიან. მოსალოდნელია, რომ ამერიკელების მიერ სუუამ-ის შესაძლო აღორძინება 2004-2005 წლებს დაემთხვევა, როდესაც საქართველოსა და უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. საკითხავი, ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა, დააცდიან თუ არა რუსეთი და შიდა ოპოზიცია პრეზიდენტებს, ბოლომდე მიიყვანონ კანონით ნაბოძები მმართველობის ვადები.

## მოკლედ

**ერაყი.** შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ავიაციამ ერაყის ტერიტორიაზე საჰაერო დარტყმები განახორციელა. ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო ძალების წარმომადგენელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, ერაყის ტელევიზიამ განაცხადა, რომ თურქეთის ტერიტორიიდან შემოჭრილმა ამერიკულმა და ბრიტანულმა თვითმფრინავებმა ერაყის პროვინცია ნინევია დაბომბეს, რის შედეგადაც ოთხი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და ათი დაიჭრა. ერაყის ტელევიზიის ინფორმაციითვე, ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებმა მტერს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს და ქვეყნის საჰაერო სივრცის დატოვება აიძულეს.

■ ■ ■

**ავსტრალია.** საერთაშორისო ტერორისტული ქსელი "ალ ქაიდა" ახალი ტერაქტების განხორციელებას ამჯერად ავსტრალიის ტერიტორიაზე გეგმავს. ამის შესახებ ტელეკომპანია "ეი-ბი-სისთვის" მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებში ექსპერტმა რონან გუნარატნამ განაცხადა. მან ეს დასკვნა "ალ ქაიდას" დაპატიმრებული მებრძოლების ჩვენებებზე და მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთა. მისი თქმით, ტერორისტების ამოცანას ავსტრალიის ტერიტორიაზე მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება წარმოადგენდა, რაც, საბოლოო ჯამში, მსხვილმასშტაბიანი ტერაქტით უნდა დასრულდეს. ექსპერტის ვარაუდით, ამ ეტაპზე, შესაძლოა, ავსტრალიის ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდეს ორი ან სამი ტერორისტი, თუმცა იმ ობიექტების დასახელება, რომელზედაც დარტყმა განხორციელდება, ჯერჯერობით შეუძლებელია.

– მკითხველის ზარის კვალდაკვალ –

## სასამართლო ერთი თვით გადაიდო

გუშინდელ ნომერში გაუწყებდით იმის შესახებ, თუ როგორი შეშფოთებით დაგვიკავშირდა ლოგინს მიჯაჭვული ლიტერატორი მიხა არაბული და დახმარება გვთხოვა. საქმე ეხაბა მისი ოჯახის კუთვნილ ეზოს, რომლის ნაწილის მითვისებას მეზობელი ცდილობს.

სასამართლო დანიშნეს, უწყება გვიან მომიტანეს, ჩემი ადვოკატი ავადაა, ახლის აყვანას ვერ ვასწრებ და რა ვილონო, არ ვიციო, - ჩიოდა ბატონი მიხა.

ჩვენ დავესწარით ვაკე-საბურთალოს სასამართლოში გამართულ პროცესს, რომელზეც, ავადმყოფობის მიუხედავად, არაბულების ადვოკატიც გამოცხადდა. ადვოკატმა მოსამართლის ობიექტურობაში ეჭვი შეიტანა, მას უნდობლობა გამოუცხადა და აცილება მისცა. მოსამართლე თემურ ტაბატაძემ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მთელი პროცესის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ადვოკატსა და მოსამართლეს ერთმანეთზე მზე და მთვარე არ ამოსდიოდათ, მაგრამ საქმე თუ ასე გამწვავდებოდა, არავის ეგონა. ხმამაღალი სიტყვებით ადვოკატმა ქეთევან გელაშვილმა მოსამართლეს ბრალი ანგარებაში დასდო და პროტესტის ნიშნად პროცესში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მერე დარბაზიდან გასვლაც დააპირა, მაგრამ მოსამართლემ არ აცალა: ქალბატონო, თქვენ ნუ შეწუხდებით, მე თვითონ გაგაძევებთო, და ჩაქუჩი მოიმარჯვა.

ჩაქუჩს ადვოკატმა დაასწრო, კვლავ სკამზე დაჯდა და გასვლა გადაიფიქრა, მაგრამ...

მოსამართლემ დაცვა გამოიძახა და უთხრა, ეს ქალბატონი რაც შეიძლება ნაზად მიაბრძანეთ აქედანო.

ამის შემდეგ დაცვის გარეშე დარჩენილმა არაბულის ოჯახმა ახალი ადვოკატის ასაყვანი დრო მოითხოვა და მიიღო კიდეც. სასამართლო ერთი თვით გადაიდო.

## ვინ აგებს პასუხს ლიფტების უსაფრთხოებაზე

ნანა ქადაგიშვილი

რამდენიმე დღის წინათ გლდანის მე-5 მიკრორაიონში ლიფტში მომხდარი უბედურების მიზეზებს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია იკვლევს. ამ შემთხვევაზე პასუხისმგებლის დადგენა კი არც ისე იოლია. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ქალაქის საცხოვრებელი სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი უწყება, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამ სფეროში სრული ქაოსი და განუკითხაობაა.

საბჭოთა პერიოდში ლიფტების მომსახურების საათივით აწყობილი მექანიზმიდან დღეს დანგრეულ-გაძარცული ლიფტები და ფუნქციებშემცირებული "თბილლიფტილა" შემორჩა. ადრე თბილისში მოქმედ ყველა ლიფტს ერთადერთი ორგანიზაცია "თბილლიფტი" ემსახურებოდა. ამის გარდა, არსებობდა სადისპეტჩეროებისა და მელიფტეების ინსტიტუტი, რომელთაც ლიფტების სისტემატური ზედამხედველობა ევალებოდა. ლიფტების პატრონობაზე მთავარი პასუხისმგებელი კი, "ლიფტების მოწყობისა და უსაფრთხოების ექსპლუატაციის წესების" თანახმად, მათი მფლობელი - ქალაქის მაშინდელი აღმასკომი გახლდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელ კორპუსებში არსებული დანადგარები კორპუსის მობინადრეთა საერთო საკუთრებაში გადავიდა. რადგან ლიფტების მოწყობა-ექსპლუატაციის 1972 წელს გამოცემული წესები დღემდე მოქმედებს, ლიფტების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობაც მათ ახალ მფლობელს უნდა დაკისრებოდა, მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის 216-ე მუხლის მიხედვით, ბინის მესაკუთრეთა ერთობლიობა იურიდიულ პირად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, პასუხისმგებელიც ვერ იქნება. ასე რომ, მრავალსართულიანი კორპუსისთვის ესოდენ საჭირო ტრანსპორტის მოვლა-პატრონობა, ფაქტობრივად, არავის ევალება. ამის გარდა, 1994 წლიდან დისპეტჩერებისა და მელიფტეების ინსტიტუტიც გაუქმდა. დარჩა მხოლოდ დღემდე მუნიციპალური უწყება "თბილლიფტი", რომელსაც მერია წელიწადში 10 000 ლარზე მეტს ვერ ურიცხავს და რომელიც ლიფტების მომსახურებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ მაშინ არის, თუკი კორპუსის მობინადრეები მასთან 50-ლარიან ხელშეკრულებას გააფორმებენ (50 ლარში შედის სრული ტექნიკური მომსახურება, ძრავის გადახვევის ღირებულებიანად). "თბილლიფტი" ამჟამად 60-მდე ობიექტს ემსახურება, ოღონდ, ძირითადად, 5-ლარიანი ხელშეკრულებით, რადგან მოსახლეობა მეტის გადახდას ვერ ახერხებს. 5 ლარში კი მხოლოდ საზედამხედველო სამუშაოები, ანუ ლიფტების ტექნიკური დათვალიერება, ტექპასპორტების წარმოება და ელექტრომექანიკოსებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება შედის. ასე რომ, ლიფტი თუ გაფუჭდა, ეს ხუთლარიანი ხელშეკრულება "თბილლიფტს" მის შეკეთებას არ ავალდებულებს.

"თბილლიფტის" გარდა, საცხოვრებელი კორპუსების ლიფტებს კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია ემსახურება. ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის მონაცემებით, ასეთი, ძირითადად, ორია: "თბილხელსაწყო" და "კომპიუტერლენდი". პირველს 200-მდე კორპუსთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, მეორეს – 60-მდე. გამოდის, რომ თბილისში არსებული 9 000-მდე ლიფტიდან, სრულად თუ ნაწილობრივ, მხოლოდ სამასიოდე მოწმდება. დანარჩენ ლიფტებში კი, რა მდგომარეობაა, კაცმა არ იცის. მერიის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებაში ასეთი ლიფტების კონტროლის გარკვეული მექანიზმი კი დევს, დადგენილების მიხედვით, "ეი-ი-ეს თელასმა" კორპუსს ლიფტის ასამუშავებლად ელექტროენერგია "თბილლიფტის" მიერ გაცემული ნებართვის გარეშე არ უნდა მიაწოდოს, მაგრამ, როგორც გლდანში მომხდარი ფაქტიდან ჩანს, შედეგი არც ამ დადგენილებას აქვს. "ეი-ი-ეს თელასის" ბიზნესცენტრის ტექნიკური მენეჯერის ლონგინოზ ალაიას განცხადებით, "თბილლიფტს" ტექნიკური გამართულობის ლიცენზია რამდენიმე წლის წინათ იმ ლიფტზეც ჰქონდა გაცემული, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა. როგორც იქაური მობინადრეები ამბობენ, მათ "თბილლიფტთან" ხელშეკრულება გააფორმეს, მაგრამ ფული ვერ გადაიხადეს და "თბილლიფტმა" მათ მომსახურებაზე უარი განაცხადა. ამიტომ, ლიფტის მდგომარეობა ველარ გაკონტროლდა.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ლიფტის მომსახურე ორგანიზაციები და ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია ერთმანეთს ექიშპებიან. 40-წლიან მონოპოლიას შეჩვეული "თბილლიფტი" კონკურენტი ორგანიზაციების ამოქმედებას გაუმართლებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ინსპექცია მათი მომრავლებით არის დაინტერესებული, რადგან ნებართვების გაცემაში ქრთამს იღებს. ინსპექციას კი გასამართლებელ საბუთად მოაქვს მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ კანონი, რომელიც კონკურენციის შეზღუდვას კრძალავს. "ამ ორგანიზაციებმა ლიფტების მომსახურებაზე ნებართვის გასაცემად საჭირო ყველა საბუთი წარმოადგინეს. მართალია, მათი მომსახურება ძვირია, მაგალითად, "კომპიუტერლენდთან" ხელშეკრულების დადება 100 ლარი ჯდება. აქედან 10 ლარი ლიფტის მდგომარეობის შემოწმების საფასურია, 90 კი – აპარატის დაყენების. ეს ჩვეულებრივი ტელეფონის აპარატია, რომელიც ლიფტზეა მიერთებული და ლიფტით სარგებლობა მხოლოდ ამ აპარატში 5-10 თეთრის ჩაგდების შემდეგ შეიძლება. მგზავრობის ღირებულებას მთლიანად "კომპიუტერლენდი" იღებს და ლიფტის შეკეთებას ახმარს. ეს, მართლაც, ძვირი ჯდება. სამაგიეროდ, პასუხისმგებლობასაც მეტს იღებენ და ლიფტებისა და სადარბაზოების განათების ხარჯების გადახდასაც თავობენ," – აცხადებს ინსპექცია.

საუკეთესო გამოსავალი საქართველოს კანონმდებლობის შეცვლა და თბილისის მთავრობის მხრიდან მეტი ყურადღების გამოჩენაა. იუსტიციის სამინისტრო კი აცხადებს, რომ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება მისი კომპეტენცია არ არის, მერია კი, რომელსაც, იურიდიული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ამ პრობლემით დაინტერესებას მამასახლისის ინსტიტუტის შექმნაზე საუბრით გამოხატავს.

### მოკლედ

**თბილისი.** „თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას ცნობით, ისნის რაიონში 5 თვის წინათ მომხდარი ავარიის ლიკვიდაციისათვის საჭირო თანხა, დაახლოებით 50 ათასი ლარი, „თბილგაზმა" მთლიანად მიიღო. მისივე თქმით, სამუშაოები მოსკოვის გამზირზე, ავარიის ადგილას, მთელი ინტენსივობით მიმდინარეობს და სავარაუდოდ, ერთ კვირაში დასრულდება.

გაზსადენის მცირეხნიანი გამოცდის შემდეგ კი მოსახლეობა ბუნებრივ აირს მიიღებს. დიღმის მასივისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება კი დღეს დილით მესამე კვარტლიდან დაიწყო. ვახტანგ ცაავას განცხადებით, ამ უბანში გაზსადენის მთლიანად დატვირთვას ორი დღე დასჭირდება. ხვალ დილიდან კი ბუნებრივი აირის მიწოდება წყნეთსაც აღუდგება.

■ ■ ■

**ნინოწმინდა.** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ სამიოდე წლის წინათ ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში მცხოვრები დუხობორებისაგან, ხუთწლიანი კონტრაქტის საფუძველზე, 34 ბინა შეიძინა.

დუხობორებს უფლება აქვთ 2004 წლამდე თავიანთ ბინაში იცხოვრონ, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ 34 ბინაში ქართული ოჯახები შესახლდებიან, რაც ხელს შეუწყობს სოფელ გორელოვკაში კიდევ ერთი ქართული დასახლების შექმნას.

საქართველოს რეგიონული განვითარების ასოციაციის ინფორმაციით, დღეისათვის ნინოწმინდის რაიონში მცხოვრები 103 ქართული ოჯახიდან 16 ქალაქ ნინოწმინდაში ცხოვრობს, 69 - სოფელ სპასოვკაში, 5 - სოფელი სამებაში, 10 – გორელოვკაში და 3 – ორლოვკაში.

■ ■ ■

**გორი**. გორის რაიონის სოფელ ბერბუკეთში საბავშვო ბაღის შენობაში მცხოვრები ცხინვალიდან დევნილები შენობის მეპატრონემ ადგილობრივმა ფერმერმა გივი აბალაკმა დევნილები შენობიდან, სასამართლოს აღმასრულებლებისა და იუსტიციის სამინისტროს სპეცრაზმელთა დახმარებით, გამოასახლა. მცირეწლოვანი ბავშვებით ქუჩაში დარჩენილი დევნილები ხელისუფლებისგან დაცვასა და თავშესაფარს ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო კანცელარიის წინ კარვების გაშლით იმუქრებიან.

*მედია-ნიუსი, ინტერ-პრესი*

## თურმე, დიდ ფასებს პატარა ბაზარი განაპირობებს

### ჰომეოპათებს შორის შავმა კატამ - "ველედამ" გაირბინა

*ფარმაცევტული ბაზარი, დაურეგისტრირებელი თუ ფალსიფიცირებული წამლები გუშინ, აჭარის წარმომადგენლობაში გამართული მორიგი პრესკონფერენციის თემა გახდა. ამ საკითხზე უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, სიახლის გაგონებას აღარავინ ელოდა. მაგრამ, როგორც გუშინ გამოჩნდა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურისტები სათანადო სიმაღლეზე ვერ მდგარან.*

მაკა ჭაიანი

ასეთი დასკვნა ლოგიკურად გაჩნდა მას შემდეგ, რაც ხსენებული სამინისტროს სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექციის უფროსის მოადგილის, ქეთევან ბარამიძის ჩივილს, (ჩვენი კომპეტენციები არალიცენზირებული აფთიაქების დაჯარიმების თაობაზე სარჩელის შეტანით სრულდება და იმასაც აღარავინ გვატყობინებს, რამდენი გადაწყვეტილება იქნა სისრულეში მოყვანილიო), დამსწრე იურისტებმა ვრცელი განმარტება მოაყოლეს. თურმე, საპროცესო კოდექსი სამინისტროს არა მარტო იმის გაგების უფლებას აძლევს, როგორ აღსრულდა მისი სარჩელის პასუხად გამოტანილი გადაწყვეტილება, არამედ, როგორც მომჩივან მხარეს, აღსრულებაზე ზრუნვასაც ავალდებულებს.

კიდევ ის გავიგეთ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, შემოტანილი წამლები საქართველოში ძვირად ფასობს, რადგან, ჩვენდა საუბედუროდ, დიდი ბაზარი არა გვაქვს. ხომ უცნაურია? მაგრამ ფაქტია! ამასთანავე, სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის კონტროლის ინსპექცია იმას უფრო შეურიგდება, ლიცენზირებულ აფთიაქში დაურეგისტრირებული წამალი იყიდებოდეს, ვიდრე იმას, სადმე ულიცენზიო აფთიაქი ფუნქციონირებდეს. მოტივი - ლიცენზირებულ აფთიაქებში ფარმაცევტები მუშაობენ და ფალსიფიცირებული, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში წამლის გაყიდვას ისინი არაფრით დაუშვებენ, არალეგალური აფთიაქები და სავაჭრო დახლები კი, რას ჰყიდიან, თავადაც არ უწყიან.

ამ კონტექსტში მეტად საინტერესოდ გაიჟღერა მედიკოსთა და პაციენტთა ღირსების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის, სულხან ქემოკლიძის განცხადებამ, ბაზრობებზე ისეთი წამლები იყიდება, ქილერებმა რომ იცოდნენ, იარაღს ხელსაც არ ახლებდნენ, ერთი ინექციაა საჭირო და ადამიანი ცოცხალი აღარ იქნებაო. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ამაში მათთვის ახალი არაფერი იყო. სამაგიეროდ, სიახლე აღმოჩნდა ის, რომ ადამიანებს ეჭვი აქვთ, საქართველოში მწარმოებელ ქვეყანაშიც კი დაურეგისტრირებელი წამლები შემოაქვთ, რომ აქ აპრობაცია გაიარონო. ფარმკომიტეტის თავმჯდომარე ნიკო გონგაძე ამ მოსაზრებას აბსურდულს უწოდებს.

კიდევ ერთი რამ გაირკვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე - საქართველოში მოქმედი ჰომეოპათები ჩვენს პატარა ბაზარს ვერ იყოფენ. გასაკვირი ამაში, თითქოს, არაფერია, თუმცა, აქამდე, ჰომეოპათიური საქმიანობის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე თინათინ თოფურია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ დიდი პრეტენზიებით არ გამოსულა. სამინისტროს წამლისა და წამალწარმოების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ალეკო თომაძე დღესაც აცხადებს, ამ საბჭოს დასკვნის გარეშე, ქვეყანაში ვერც ერთი ჰომეოპათიური პრეპარატი ვერ გაიყიდებაო, მაგრამ კულუარებში საუბრობენ, ამ ორს შორის შავმა კატამ გაირბინა და იმ კატას ზურგზე ფირმა "ველედა" ეწერაო.

ეს ის ფირმა გახლავთ, რომლის მიერ შემოტანილი მალამო თინათინ თოფურიას მხრიდან სერიოზული კრიტიკის მიზეზი გახდა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტში თოფურიას პრეტენზიებს გამართლებულად მიიჩნევენ, თუმცა, მისი ხელმძღვანელობით მოქმედი საბჭოს საქმიანობას არაკანონიერს უწოდებენ. ასეთი განცხადების საფუძველს ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტს საკუთარი დებულება და სტატუსი აძლევს. აქედან გამომდინარე, ვითარება, რომელიც "ველედას", ჰომეოპათიური საქმიანობის ექსპერტთა საბჭოსა და, საერთოდ, მედიცინის ტრადიციული დარგების ირგვლივ შეიქმნა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაიძაბება.





*ფარმაცევტებს ბევრი გასარკვევი ჰქონიათ*

## დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან!

### 10 ოქტომბერს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე აღინიშნა

გუშინ, 10 ოქტომბერს, კინოს სახლში არასამთავრობო ორგანიზაცია "ნდობამ", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაერო-ს ბავშვთა ფონდ UNICEF-ის მხარდაჭერით მოაწყო კონფერენცია ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღის მთავარ თემაზე: "ტრავმისა და ძალადობის ზეგავლენა ბავშვებსა და მოზარდებზე".

ლელა მარგიანი

UNICEF-ის ანგარიშში "ბავშვთა მდგომარეობა მსოფლიოში 2001 წელს" აღნიშნულია, რომ 2 მილიონი ბავშვი იქნა მოკლული, 6 მილიონი სერიოზულად დაშავდა და 12 მილიონი უსახლკაროდ დარჩა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, 40 მილიონი ბავშვი ყოველწლიურად განიცდის შეურაცხყოფას და ძალადობას.

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, საქართველოს საზოგადოება ტრავმირებული საზოგადოებაა. ტრავმას მკურნალობა სჭირდება, მკურნალობა კი პრობლემის ფართო და მრავალმხრივი შესწავლით იწყება. სწორედ ამიტომ კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს საპატრიარქო. ორგანიზაცია „ნდობის" პრეზიდენტმა ვეტა ლაზარაშვილმა დანანებით აღნიშნა, რომ, კონფერენციას განათლების სამინისტროს წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ „გარდამავალ პერიოდში საქართველოში მრავალი ფსიქო-სოციალური პრობლემა გამწვავდა, რამაც გავლენა იქონია ბავშვებსა და მოზარდებზე. 80-ანი წლების ბოლოდან საქართველოს მოსახლეობას უამრავი პრობლემა შეექმნა, რასაც შედეგად მოჰყვა ბავშვთა მდგომარეობის განსაკუთრებული გაუარესება". ორგანიზაციის მიერ თორმეტწლიანი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა 43 პროცენტი ცხოვრებით უკმაყოფილოა. ბავშვები თვლიან, რომ მათი უბედურების მიზეზია დასჯა, თავისუფლების შეზღუდვა, კამათი და უთანხმოება ოჯახის წევრებთან. გამოკითხულ ბავშვთა 53 პროცენტს ოჯახში თავს ატყდება ძალადობა და აგრესია. სწორედ ამიტომ „ნდობაში" შეიქმნა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის სხვადასხვა მოდელი:

გადაუდებელი სატელეფონო ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური „ბავშვი და ოჯახი", სხვადასხვა კლუბი, მობილური ბრიგადები, სარეაბილიტაციო საკვირაო სკოლა, მოზარდთა განვითარების ბანაკები და სხვა.

ეფექტიანი იყო 1992 წელს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს „ნდობის" ინიციატივით დაწყებული პოსტტრავმული, სტრესული დარღვევების პრევენციისა და კრიზისის დაძლევის პროგრამები.

„ნდობის "თანამშრომლებმა აპრილის მიწისძვრის შემდეგ ტრენინგები და კონსულტაციები ჩაატარეს დაშინებულ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით ბავშვებთან.

მუშაობის 12 წლის მანძილზე „ნდობამ" დახმარება გაუწია 60 ათასზე მეტ მოზრდილსა და ბავშვს.

საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდა ესაძე ბავშვთა პროსტიტუციას, ტრეფიკინგსა და პორნოგრაფიას შეეხო. აღნიშნა რეალობის სიმკაცრე და კანონის უსუსურობა ამ პრობლემების დაძლევაში. ერთადერთ ნუგეშად გაისმა ის, რომ, შსს-ს დახმარებით, დაიხურა ვებგვერდი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას პროსტიტუციით დაკავებული ქართველი და ჩეჩენი ბავშვების შესახებ და პორნოსაიტი, რომელშიც არასრულწლოვანთა ვიდეოკლიპები იყო განთავსებული.

კონფერენციაზე წაიკითხეს არაერთი საინტერესო მოხსენება ბავშვთა რთული მდგომარეობისა და მისი დაძლევის გზების შესახებ.

კონფერენციაზე შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის პირველი სხდომაც მომავალ კვირაში გაიმართება.

## მერია პარლამენტისგან "დამანგრეველ" კანონს ითხოვს, პოლიციისგან - "ჩაშვებას"

*პოლიციის შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, არქიტექტურული ზედამხედველობის გაძლიერება და არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილების გაზრდა, არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა თბილისში მომრავლებული უკანონო მშენებლობის აღმოსაფხვრელად. ასე ფიქრობენ ქალაქის მთავარი არქიტექტურისა და თბილისის არქმშენინსპექციის სამსახურებში.*

ეთერ მამულაშვილი

თბილისში უკანონო მშენებლობების თემაზე გუშინ მერიაში ქალაქის ვიცე-პრემიერმა სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო. მასთან ერთად, არქმშენინსპექციის უფროსი და ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილე პრობლემის არსებობას კანონმდებლობის ხარვეზებს მიაწერენ.

მოქმედი კანონმდებლობით, დღეს პოლიციელი ვალდებული არ არის, მის რაიონში უკანონო მშენებლობების ფაქტები გამოავლინოს და აღრიცხოს. შესაბამისად, ისინი ამ უკანონო ნაგებობებზე პასუხისმგებელნიც არ არიან, რაც არქმშენინსპექციის უფროსის სოსო ვაშაკიძის თქმით, უკანონო მშენებლობების დროულად გამოვლენას ართულებს. ის დარწმუნებულია, რომ პოლიციის მიერ უკანონო მშენებლობების ოპერატიული გამოვლენა არქმშენინსპექციის სამსახურს საქმეს გაუიოლებს და პრობლემის მოგვარებაშიც გარკვეულ წვლილს შეიტანს **"ყოფილა შემთხვევა, როცა უკანონო ნაგებობა მაშინ აღმოგვიჩენია, როცა ის, ფაქტობრივად, დასასრულს უახლოვდებოდა. რა უნდა ვქნათ ამ შემთხვევაში? კანონი მისი დანგრევის უფლებას არ გვაძლევს, რაც ისევ უკანონო მშენებელთა წისქვილზე ასხამს წყალს",** - გვითხრა სოსო ვაშაკიძემ.

სულ ცოტა ხნის წინ ქალაქის არქიტექტურის მთავარი სამსახური, არქმშენინსპექციასთან ერთად, პარლამენტში წინადადებით შევიდა და, საჯარიმო სანქციების ნაცვლად, უკანონო ნაგებობის დანგრევა მოითხოვა. იმ მოტივით, რომ მათი წინადადება ადამიანის, კერძოდ კი, საკუთრების უფლების უხეში დარღვევა იყო, პარლამენტმა არ დააკმაყოფილა.

საჯარიმო სანქცია უკანონო მშენებლობისთვის 3000 ლარს ითვალისწინებს. ქალაქის ვიცე-პრემიერის, დავით ღვინიაშვილის თქმით, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჯარიმების სახით ბიუჯეტში 22.000 ლარი შევიდა. **"მშენებლისთვის, რომელიც ათსართულიან საცხოვრებელ სახლს აგებს და რომელმაც მილიონობით ლარის შემოსავალი უნდა მოუტანოს, სამი ათასი ლარი ზღვაში წვეთია",** - გვითხრა ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოადგილემ გიორგი კურცხალიამ, რომელიც პრობლემიდან გამოსავალს უკანონო ნაგებობის დანგრევაში ხედავს. კურცხალიამ მოიტანა საბერძნეთის მაგალითი, სადაც არქიტექტურის სამსახურს, უკანონო მშენებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაციის სრული უფლება აქვს.



*დავით ღვინიაშვილი*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ვაშაკიძე ჟურნალისტებს დიდხანს უმტკიცებდა, რომ თბილისში მოქმედი ყველა ბენზინგასამართი სადგური კანონის სრული დაცვით აშენდა. მისი თქმით, ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობაზე 1998 წლის შემდეგ ნებართვა აღარ გაცემულა. თითოეულ მათგანს მხოლოდ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

ბოლო დროს მომრავლებული ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობის კანონიერებაში თავად დედაქალაქის მერს ვანო ზოდელავასაც ეჭვი ეპარება.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მან შესაბამის სამსახურებს მოსთხოვა, გაერკვიათ, თუ რამდენად კანონიერად შენდება თბილისში ბენზინგასამართი სადგურები.

# ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებული პატიმრობაში დატოვეს

## "AES თელასში" რევიზიის დასრულებამ, შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს

*თბილისის საოლქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის, მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატის პრეტენზიები და ძალაში დატოვა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილება დავით მჭედლიძისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ.*

სოფიკო ჩხაიძე

დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე გამოძიებამ ლომინაძის მკვლელობიდან თვენახევრის შემდეგ, 25 სექტემბერს დააკავა, როცა დაკითხვაზე გამოძახებული ნებით მივიდა თბილისის პროკურატურაში. 27 სექტემბერს მას უკვე ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობაში წაუყენეს ბრალი და მეორე დღესვე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მჭედლიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჯერ ჯერობით გამოძიებას მჭედლიძის ბრალეულობის დამადასტურებელი ერთადერთი, თუმცა - ძალზე წონიანი, სამხილი აქვს. კერძოდ, ერთადერთი ტყვია, რომელიც ნიკა ლომინაძეს თავში ესროლეს და რომელიც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა, არაერთი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მჭედლიძეზე განპიროვნებული მაკაროვის სისტემის იარაღიდანაა ნასროლი. ექსპერტიზის შედეგები კიდევ უფრო სარწმუნო გახდა მას შემდეგ, რაც გამოძიებაში ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს სპეციალისტები ჩაერთვნენ და ქართველი კოლეგების აზრი დაადასტურეს. თავიანთი დასკვნის უეჭველობა FBI-ს ექსპერტებმა წერილობითაც გაამყარეს – თბილისის პროკურატურაში ფაქსით გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, მოცემული ტყვიის გულის მიხედვით იარაღის იდენტიფიკაციაში ცდომილება შეუძლებელია.

საინტერესოა მოვლენათა მსვლელობა, რომელმაც გამოძიება დავით მჭედლიძის იარაღამდე მიიყვანა. ქართველმა ექსპერტებმა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ ტყვიის გულას ექსპერტიზა ჩაუტარეს, მაგრამ იარაღისთვის ექსპერტიზის შედეგების მიხედვით კი არ მიუკვლევიათ, არამედ მას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მიაგნეს. გამოძიებამ მკვლელობის ადგილის სიახლოვეს, იმ ადგილებში, სადაც ლომინაძეს ხშირად ხედავდნენ, იარაღიანი ხალხის ძებნა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ავტოსადგომს, რომელზეც მკვლელობის ღამეს ლომინაძემ მანქანა დააყენა, მისი მეპატრონის, რობერტ ოქუაშვილის, დაცვის სამი წევრი მეთვალყურეობდა; ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დავით მჭედლიძე. სამივეს ტაბელური იარაღი ჰქონდა. სამივე მათგანს, შემოწმების მიზნით, საკუთარი პისტოლეტებიდან ორ-ორი ტყვია ასროლინეს. ორი იარაღიდან გასროლილი ტყვიის გულები არაფრით ჰგავდა მკვლელობის ადგილზე ნაპოვნს. მჭედლიძის იარაღიდან ნასროლი კი – ძალიან. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ეჭვი დადასტურდა. სასამართლოს ბრძანების საფუძველზე გამოძიებამ მჭედლიძის იარაღი ნივთმტკიცების სახით დაურთო სისხლის სამართლის საქმეს. თვით მჭედლიძე მოწმედაც კი დაკითხეს. მან სწორედ ამ დაკითხვის დროს აღიარა, რომ იარაღი არავისთვის უთხოვებია და არც დაუკარგავს. მიუხედავად შეგროვებული მასალებისა, დავით მჭედლიძე გამოძიებას მანამ არ დაუკავებია, სანამ ამერიკელი ექსპერტების დასტური არ მიიღო.

მჭედლიძე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა სამართალდამცველებს. სხვათა შორის, გამოძიების მოთხოვნებს ის მანამდეც მორჩილად ასრულებდა: უყოყმანოდ მისცა ჩვენება მოწმის სახით დაკითხვისას და პირველი მოთხოვნისთანავე ჩააბარა სატაბელო იარაღი. მისი ამგვარი მორჩილება მაშინ, როცა იცოდა, რა დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი, თვით გამომძიებლებსაც აკვირვებთ, ბრალდებულის ადვოკატს ზურაბ ტაბიძეს კი იმის მტკიცების საფუძველს აძლევს, რომ მჭედლიძე არსად გაიქცევა და არც გამოძიების მსვლელობას შეუშლის ხელს. მან ასეთი არგუმენტაციით გაასაჩივრა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მჭედლიძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. თანაც, ადვოკატი მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველს იმაშიც ხედავს, რომ მჭედლიძის კმაყოფაზე არიან სულიერად ავადმყოფი და და მოხუცი, ასევე ავადმყოფი ბებია. თუმცა, მოსამართლე ჯორბენაძემ ცალსახად იხელმძღვანელა საპროცესო კოდექსის მითითებებით, რომლის მიხედვით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უფარდებენ წინასწარ პატიმრობას, თუ იგი ფეხმძიმედაა, ჰყავს ჩვილი ბავშვი, მძიმედაა ავად, ან 60 წელსაა გადაცილებული.

**"ეს საპროცესო კოდექსი გადასაგდებია",** — ამბობს ზურაბ ტაბიძე, რომელიც, მართალია, მოსამართლეს უკანონო ან უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანაში არ ადანაშაულებს, მაგრამ აცხადებს: **"მოსამართლეს უნდა ჰყოფნოდა გამბედაობა და სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოეტანა. მაგრამ, არა უშავს, მე ბრძოლას ახლა ვიწყებ."**


დავით მჭედლიძე კვლავ პატიმრობაში დატოვეს

უკვე დადგენილია, რომ მჭედლიძის ბებიის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები, ბრალდებულის მტკიცების თანახმად, ნამდვილად რქოსანი პირუტყვისაა. მაგრამ, გამოძიება ამერიკიდან ჯერ კიდევ ელის სხვადასხვაგვარი ექსპერტიზის დასკვნებს. კერძოდ, ექსპერტიზაზე გაგზავნილია სკოჩი, რომლითაც მოკლულ ლომინაძეს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი თმები და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ტყვიის გულას ბიოლოგიური ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს და დადგინდეს, ეს ნამდვილად იმ ტყვიის გულაა თუ არა, რომელიც ლომინაძის სიკვდილის მიზეზი გახდა. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის გიორგი ყაჯრიშვილის თქმით, **"ამ ექსპერტიზამ, შეიძლება, შედეგი არ გამოიღოს, რადგან ტყვიის გულამ უკვე ძალიან ბევრი ადამიანის ხელში გაიარა".**

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი: გამოძიებას ამდენი ხნის შემდეგაც კი არ აქვს გამოკვეთილი მკვლელობის მოტივი. მჭედლიძესთან მიმართებაში ეჭვი მხოლოდ გაძარცვაზე შეიძლება არსებობდეს. თუმცა, რობერტ ოქუაშვილი, რომელსაც ის იცავდა, ამბობს:

**"მას ისე არ უჭირდა, რომ ფულის გულისთვის კაცი მოეკლა; მით უმეტეს, ტაბელური იარაღით. ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდა. ჯერ ერთი, რომ მე მას საკმაოდ კარგად ვუხდიდი; მეორეც, უფრო წესიერი ადამიანი ძნელი საპოვნელია. მე ის შვილივით მყავდა".**

რაც შეეხება გამოძიებას, მას ბოლო ორი კვირის მანძილზე მჭედლიძის დაკითხვის საშუალება აღარ მისცემია, რადგანაც სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო ინსტანციებში დაატარებდნენ. თუმცა, გამომძიებლები დავით მჭედლიძის პიროვნებიდან და მისი ქცევიდან გამომდინარე არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, მჭედლიძე მართლაც არ იყოს მკვლელი და ის რაღაცას მალავდეს. გამოძიება არ გამორიცხავს იმასაც, რომ ბევრი რამ შეიძლება გაირკვეს და შეიცვალოს თვით "AES თელასში" მიმდინარე რევიზიის დასრულების შემდეგ.

# გიორგი სანაიას მეუღლე გენერალურ პროკურატურას უჩივის

გიორგი სანაიას მკვლელობიდან წელიწადზე მეტი გავიდა. მკვლელობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, სამართალდამცველებმა დააკავეს გიორგი გელაშვილი, რომელიც მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოცხადდა. მოგვიანებით, გელაშვილი უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის პასუხმა იხსნა და იგი მძიმე ბრალდებას გადაურჩა. სულ ცოტა ხანში კანონდამცველებმა შუაღამისას ახალი ეჭვმიტანილის დაკავება ამცნეს ჟურნალისტებს. დაკავებულმა გრიგოლ ხურცილავამ მკვლელობა აღიარა და იგი ბრალდებულადაც გამოცხადდა.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ივლისში დასრულდა. ბრალდებული და დაზარალებული ახლა პროკურატურის მიერ შექმნილი 10-ტომიანი საქმის მასალებს ეცნობიან.

გიორგი სანაიას მეუღლე, ხათუნა ჩხაიძე, გენერალური პროკურატურის მისამართით, სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამს. მისი განცხადებით, პროკურატურა მის უფლებებს ლახავს და მეუღლის მკვლელობის საქმის მასალების გაცნობის საშუალებას უზღუდავს. მას არც საქმეში არსებულ ნივთმტკიცებებს აცნობენ. ხათუნა ჩხაიძის თქმით, მას გამოძიებამ მხოლოდ ვიდეოკასეტის ნახვის უფლება მისცა, მაგრამ მხოლოდ ერთდღიანი ვადით. არადა, ერთ დღეში სერიოზული მასალის დამუშავება შეუძლებელია.

გენერალური პროკურატურა ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ, 11 აგვისტოს, დაზარალებულ მხარეს 10-ტომიანი საქმიდან 9 ტომის ქსეროასლი გადაეცა, ხოლო 3 სექტემბერს მას მე-10-ე ტომის ქსეროასლიც ჩაბარდა.

პროკურატურის განცხადებით, დაზარალებულმა მხარემ განაცხადა, რომ ნივთმტკიცებებს საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გაიცნობდა. გამოძიება ხათუნა ჩხაიძეს და მის ადვოკატს 10, 18, 25 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ტელეფონით დაუკავშირდა და საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად პროკურატურაში გამოცხადება სთხოვა.

გიორგი სანაიას მეუღლე ადრეც სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა გამოძიებას და ხშირად გამოთქვამდა პრეტენზიებს საქმის მასალების არასათანადოდ წარდგენის გამო. როგორც ხედავთ, გენერალური პროკურატურა ამჯერად სტატისტიკური ჩანაწერებით პასუხობს.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის მასალების გაცნობას ბრალდებული და დაზარალებული მხარეები ამთავრებენ, რის შემდეგაც გრიგოლ ხურცილავას საბრალდებო დასკვნას გენერალური პროკურორი ხელს მოაწერს და საქმეს განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნის.

# „არ ვარ მე ხულიგანი" -გივი თარგამაძის მტკიცების გამოძიებას არ სჯერა

თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთ ლიდერსა და ანტიკორუფციული ბიუროს წევრს, გივი თარგამაძეს, გამოძიებამ უარი უთხრა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე იმ პირების მიმართ, რომლებიც თავად სდებენ ბრალს თარგამაძეს ხულიგნობაში.

საქმე კვლავ იმ ჩხუბს ეხება, რომელიც გივი თარგამაძის ქორწილის დღეს მოხდა და რომლის გამოც ცნობილ ანტიკორუფციონერს პოლიციასა და სასამართლოებში სირბილი მოუწია.

მამა-შვილი დონაძეები, რომლებმაც ექსპერტს ჩხუბიდან ორი დღის შემდეგ მიმართეს, ირწმუნებიან, რომ გივი თარგამაძემ და მისმა მეგობრებმა სცემეს. ამის გამო სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული და თარგამაძეს სასამართლომ საქმის საბოლოოდ დასრულებამდე ქალაქიდან გაუსვლელობა შეუფარდა. როგორც შევიტყვეთ, გამოძიება უკვე ამთავრებს საბრალდებო დასკვნის წერას. შედეგად, გივი თარგამაძეს სასამართლოს წინაშე თავის გამართლება ბრალდებულის პოზიციებიდან მოუწევს. თუმცა, თარგამაძე თვლიდა, რომ ამ ჩხუბის საქმე კერძო ბრალდების კომპეტენციაში შედიოდა და თავად შეიტანა კიდეც ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საჩივარი მამა-შვილი დონაძეების მიმართ. ამ საჩივრის განხილვა დღემდე იწელება. ამასობაში გივი თარგამაძემ გამოძიებას განცხადებით მიმართა, რათა სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ დონაძეების წინააღმდეგ, რაც, პრინციპში, ლოგიკურია; რადგან, თუ ჩხუბის დროს დონაძეების მხრიდან ორი ადამიანი დაზიანდა, გივი თარგამაძის თქმით, მისი მეგობრებიდან ოთხი კაცია დაშავებული. გამოძიებამ ამ ლოგიკით არ იხელმძღვანელა და გივი თარგამაძეს მოთხოვნაზე უარით უპასუხა. არგუმენტი შეუვალია – უარი ეთქვას, რადგანაც ამ ჩხუბის ფაქტზე იგი თავად არის ბრალდებული.

# მშობლების მკვლელს საბოლოო განაჩენს რამდენიმე დღეში გამოუტანენ

*უზენაესი სასამართლოს მიერ ორი თვის წინ გამოტანილი 20-წლიანი პატიმრობის განაჩენი 19 წლის მსჯავრდებულმა, არჩილ ძეგველიშვილმა, საკასაციო პალატაში გაასაჩივრა. მშობლების განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებულმა პატიმარმა საკასაციო პალატას სასჯელის შემსუბუქება მოსთხოვა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

აი, ასეთია ძეგველიშვილის ხელით დაწერილი მოკლე საკასაციო საჩივარი, რომელსაც გუშინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა სამი საათის განმავლობაში განიხილავდა: **"რაც ჩავიდინე, იმაზე მეტი სასჯელი ჩემთვის არ არსებობს. მშობლები მართლაც მე დავხოცე, ოღონდ ამ დანაშაულის ჩადენის განზრახვა წინასწარ არ მქონია. მხოლოდ მკვდარი მშობლების ნახვის შემდეგ მივხვდი, რაც გამიკეთებია, ჩემთვის გონებას არ უკარნახია დედ-მამის მოკვლა."(სტილი დაცულია)**

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ არჩილ ძეგველიშვილმა მძინარე დედ-მამა სანადირო თოფიდან სამჯერ გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა. დანაშაულის კვალის დასაფარად, მშობლების ცხედრები ტახტის შიგთავსში მოათავსა, მეორე დღეს კი მაღაზია "წითელქუდასთან" ორი ტომარა ქვიშა იყიდა და ტახტი ქვიშით ამოავსო. სამართალდამცველებმა მკვლელობიდან მეოთხე დღეს იპოვეს ტახტში ჩამარხული ცოლ-ქმრის — ვაჟა ძეგველიშვილისა და მანანა ძიგურიშვილის გვამები.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დადგინდა, რომ არჩილ ძეგველიშვილი შერაცხადია და დანაშაულის ჩადენის მომენტში მას შეეძლო საკუთარი თავის კონტროლი.. **"ასთენიური პერსონოლოგიური აშლილობა; ასთენიური ფსიქოპატი",** – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს ფსიქიატრ-ექსპერტებმა მშობლების მკვლელს. ექსპერტიზის ამ დასკვნას გუშინ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ არჩილ ძეგველიშვილის ადვოკატები, რომლებიც სასამართლო განაჩენს არაობიექტურად მიიჩნევენ და მხარს უჭერენ პატიმრის საკასაციო საჩივარს.

პატიმრის ადვოკატები გუშინ საკასაციო პალატას უმტკიცებდნენ, რომ ძეგველიშვილი მშობლების სიმკაცრემ, მათი მხრიდან მუდმივმა ძალადობამ და აღზრდის არასწორმა მიდგომამ ჩამოაყალიბა დამნაშავედ. ადვოკატებმა გააკრიტიკეს ექსპერტის დასკვნა, რომელიც ასთენიურ სინდრომს დაავადებად არ თვლის და მას ხასიათისმიერ ნაკლს უწოდებს. გუშინ არჩილ ძეგველიშვილის დამცველი სევდია უგრეხელიძე ირწმუნებოდა: "ძეგველიშვილს ახასიათებს აფექტური სინდრომი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოვლინდეს და უფრო სერიოზულ დაავადებაში გადაიზარდოს. მას მშობლები ხშირად სცემდნენ, ამცირებდნენ, რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის დეპრესიული მდგომარეობა. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო მანიაკალური სინდრომის გამოვლენასთან, რისი მიზეზიც ქრონიკული ძალადობისგან ბუნებრივად გამოწვეული შიში, აგრესია, გაქცევის სურვილი და შურისძიება გახლავთ", - ამტკიცებდა სევდია უგრეხელიძე, რომელმაც მეცნიერული კლასიკური კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოსა და კიდევ სხვა ფსიქოლოგიურ-კრიმინალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს დეტალური ფსიქოანალიზი გაუკეთა.

ერთი სიტყვით, პატიმრის ადვოკატები სასამართლოსა და წინასწარ გამოძიებას ადანაშაულებენ არაობიექტურობაში, საქმის არასრულყოფილად გამოძიებაში და მოითხოვენ, რომ საკასაციო სასამართლომ განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულით შეცვალოს. ამ ყველაფერს კატეგორიულად ეწინააღმდეგება სახელმწიფო ბრალდების მხარე, რომლის მტკიცებითაც, არჩილ ძეგველიშვილმა მშობლები სწორედ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით გამოასალმა სიცოცხლეს.


არჩილ ძეგველიშვილი საბოლოო განაჩენს ელოდება

**"დანაშაული ჩადენილია მათემატიკური სიზუსტით, აზროვნებასა და ლოგიკაზე დაყრდნობით. მან შეგნებულად გააკეთა საკონტროლო გასროლაც, რათა დარწმუნებულიყო რომ, მშობლები ნამდვილად მკვდრები იყვნენ. არჩილ ძეგველიშვილმა კარგად იცოდა, რომ საზარელი მკვლელობის გამო მას კანონით დასჯიდნენ, სისასტიკით მოკლულ დედ-მამას ამიტომაც მოუწყო სამარე ქვიშით სავსე ტახტში. დანაშაულის კვალიც გაცნობიერებულად მოსპო – მეორე დღეს სისხლიანი თეთრეული სახლთან ახლოს მდებარე მინდორში დაწვა."** - განუცხადა საკასაციო სასამართლოს პროკურორმა, რომელიც პატიმრის საჩივარს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და მის განხილვაზე სასამართლოსგან უარის თქმას მოითხოვს.

საკასაციო პალატამ გუშინ კიდევ ერთხელ დაკითხა ძეგველიშვილის მამიდა, რომელმაც ძეგველიშვილების ოჯახური ტრაგედია ძმისა და რძლის მიერ არასწორი აღზრდის მეთოდს დააბრალა. "მე დაზარალებული ვარ, ძმა და რძალი ძმისშვილმა მომიკლა. ალბათ, გიკვირთ, როგორ შეიძლება დავიცვა აჩიკო; რადგან მან, ამ ყველაფრის შემდეგ, თავის მოკვლა ვერ შეძლო და ცოცხალია, მე მას ვერ მივატოვებ. მკვლელად ის საკუთარი მშობლების უნდობლობამ, სისასტიკემ და სიმკაცრემ ჩამოაყალიბა. მას არ შეიძლება, ჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდეს. გთხოვთ, დაინდოთ აჩიკო და, თუ შესაძლებელია, სასჯელი ოდნავ მაინც შეუმსუბუქოთ", – ასეთი თხოვნით მიმართა სასამართლოს მსჯავრდებულის მამიდამ.

თავად პატიმარი, რომელიც ორი თვის წინ გამოტანილ განაჩენს მშვიდად შეხვდა, გუშინ ისევ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა – **"არ ვიცი, არ მახსოვს".** თუმცა, საბოლოოდ აღიარა, რომ მშობლები ნამდვილად მან დახოცა.

უზენაესი სასამართლო საბოლოო განაჩენს პატიმარ ძეგველიშვილს ხუთ დღეში გამოუტანს.

# ბანკირმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

გუშინწინ, საღამოს, "საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალის ყოფილმა მმართველმა დავით ჯინჯიხაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მოკვლეული მასალები ასეთი განცხადების საფუძველს აძლევს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას.

დავით ჯინჯიხაძე მეუღლის სახლში, ლოჭინის ქუჩაზე იმყოფებოდა. იგი საღამოს აბაზანაში შევიდა და ცოტა ხანში ხმაურზე სააბაზანო ოთახში შესულმა ოჯახის წევრებმა იგი წაქცეული, უგონო მდგომარეობაში ნახეს. ბანკირმა თვითმკვლელობისთვის "ვოლტრას" მარკის გაზის პისტოლეტი გამოიყენა – ტყვია საფეთქელში ისროლა.

ბანკის მმართველის თვითმკვლელობის ფაქტზე მოკვლევას გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა ატარებს. პროკურატურა ამუშავებს თვითმკვლელობის რამდენიმე ვერსიას.

ერთ-ერთი ვერსიით, დავით ჯინჯიხაძის თვითმკვლელობა სამსახურში შექმნილ პრობლემებს უკავშირდება. პროკურატურის მონაცემებით, "საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალში ჩატარებულმა რევიზიამ ბანკირის საქმიანობაში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა და იგი თანამდებობიდან დაითხოვეს. პროკურატურას ინფორმაცია "საქართველოს ბანკშიც" დაუდასტურეს. თუმცა, ვერსია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და ამიტომაც გლდანი-ნაძალადევის პროკურორი ლენა კაპანაძე მას, ჯერჯერობით, სარწმუნოდ არ მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ დავით ჯინჯიხაძის ოჯახის წევრებმა, კონკრეტულად - ვაჟიშვილმა ირაკლი ჯინჯიხაძემ, პროკურატურის ერთ-ერთი ვერსია – სამსახურეობრივი პრობლემების საფუძველზე თვითმკვლელობა - კატეგორიულად გამორიცხა.

თუ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის მიერ ჩატარებული მოკვლევისას კანონდამცველები მოიპოვებენ მასალებს, რომელიც დაადასტურებს, რომ ბანკირის თვითმკვლელობა გამოიწვია იძულებამ, ან მასზე განხორციელებულმა სხვა სახის ზეწოლამ, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურატურა გირევის საგუშაგოზე დაკავებული რვა ჩეჩენი მოქალაქის რუსეთში ექსტრადაციისაგან თავს იკავებს. ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო იუსტიციის სამინისტროს გუშინდელი განცხადების საფუძველზე.

გენერალური პროკურატურის საერთაშორისო განყოფილების უფროსის პაატა მსხილაძის განცხადებით, პროკურატურას იუსტიციის სამინისტრომ ექსტრადიციის შეჩერება სთხოვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სამდივნოდან მიღებული განცხადების საფუძველზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შიდა ქართლში კრიმინალური ვითარების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას მაქსიმალურად უწყობს ხელს. შსს პრეს-სამსახურის უფროსის პაატა გომელაურის განცხადებით, სამინისტრო სამხარეო პოლიციას უზრუნველყოფს აუცილებელი საშუალებებით - ავტოტრანსპორტითა და საწვავით. მისი თქმით, შიდა ქართლში ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდება მხოლოდ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

პაატა გომელაურის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში დაბრუნდა ბოლო წლებში გატაცებული უცხოური მარკის ავტომანქანები. ვლადიკავკაზის მილიციასთან ერთობლივი ოპერაციის შედეგად, თბილისში ჩამოიყვანეს 3 ავტომანქანა, მათ შორის ერთი 2002 წელს იქნა გატაცებული.

პაატა გომელაური თქმით, შიდა ქართლში ღონისძიებებს ხელმძღვანელობს მხარის პოლიციის უფროსი, ნოდარ დალაქიშვილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლაში ოჯახური ტრაგედია დატრიალდა - შვილის დაჭრისთვის მამამ მეორე შვილი მოკლა. 9 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ თუძში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა როინ ქოჩაძემ ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით მხარსა და კისერში დაჭრა ძმა, 1985 წელს დაბადებული რამაზ ქოჩაძე. მამამ, 1954 წელს დაბადებულმა რეზო ქოჩაძემ, იმავე თოფიდან მუცელში დაჭრა უფროსი შვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რეზო ქოჩაძე დაკავებულია. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იმერეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს. **კავკას-პრესი**

# ნავთობის როლი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში

*თუ XIX საუკუნე ქვანახშირის საუკუნედ ითვლება, XX საუკუნე თამამად შეიძლება ნავთობის საუკუნედ ჩაითვალოს. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა ცხადყო ნავთობზე დამყარებული ტექნოლოგიებისა და სამხედრო ტექნიკის გადამწყვეტი მნიშვნელობა საომარი მოქმედებების წარმოების დროს. ეს სტატია ეძღვნება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომების მიმდინარეობისა და შედეგების ენერგეტიკულ ასპექტებს.*

ლიანა ჭერვალიძე

## პირველი მსოფლიო ომის ენერგეტიკული ასპექტები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შინაგანი წვის ძრავის გამოგონება ნამდვილი ტექნოლოგიური რევოლუცია იყო, ნავთზე დაფუძნებული რევოლუცია. შიდა წვის ძრავის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა საავტომობილო და საავიაციო წარმოებას ევროპასა და ამერიკაში. მანქანაც და თვითმფრინავიც - ორივე ნავთზე მუშაობდა და ორივე რომანტიკული და მიზანსწრაფული ადამიანების განუყოფელ ატრიბუტად იქცა.

მიუხედავად ქვანახშირთან დიდი უპირატესობისა, ნავთობი ძალზე ნელა, მაგრამ მაინც იკიდებდა ფეხს მრეწველობაში, კერძოდ, სამხედრო მრეწველობაში. ევროპაში ომის სუნი ტრიალებდა და არავინ იცოდა, როდის იფეთქებდა. დაპირისპირებული მხარეები გამალებული ემზადებოდნენ ომისათვის, მიმდინარეობდა სამხედრო ტექნოლოგიებისა და არსენალის გადახალისება. ასე გაჩნდა ველოსიპედებით, მოტოციკლეტებით, ტანკებითა და ჯავშან-მანქანებით აღჭურვილი მოტორიზებული ბრიგადები, რასაც თან დაერთო პირველი სამხედრო ავიაციის შექმნა.

იმ დროს დიდი ბრიტანეთის იმპერია ჯერ კიდევ შეურყეველი იყო, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და სიახლეთა სიო სწორედ იქიდან უბერავდა. ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მედროშეებად იმ დროის გამოჩენილი ადამიანები მოგვევლინენ. მათ შორის იყვნენ უინსტონ ჩერჩილი, მარკუს სამუელი და ერნესტ სვინსტონი.

მარკუს სამუელი ყველასგან პატივცემული ლონდონელი საქმოსანი იყო, რომლის კომპანია "Shell"–მა პირველმა დაიწყო ბაქოს ნავთობის ტანკერებით გადაზიდვა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, 1902 წელს, სუეცის არხის გავლით. მოგვიანებით, Shell-ისა და Royal Dutch-ის შერწყმის შემდეგ, 1907 წელს მარკუს სამუელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობკომპანიის ნახევრის მფლობელი გახდა. მარკუს სამუელი არა მარტო ჭკვიანი საქმოსანი, არამედ მხურვალე პატრიოტიც გახლდათ და კარგად ესმოდა, რომ დიდ ბრიტანეთ-გერმანიას შორის ინტერესთა კონფლიქტი უცილებლად სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. ამიტომ დაჟინებით ურჩევდა ბრიტანეთის ხელისუფლებას, საიმპერიო ფლოტი ქვანახშირიდან ნავთის საწვავზე გადაეყვანა.

მარკუს სამუელის ამ იდეამ განხორციელება ჰპოვა 1912 წელს, უინსტონ ჩერჩილის საზღვაო მინისტრად დანიშვნის შემდეგ. მოგვიანებით, პირველმა მსოფლიო ომმა ცხადყო, თუ რამდენად დროული იყო ჩერჩილის ზეწოლით მიღებული ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება. ნავთის საწვავზე გადაყვანის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა გემების მოძრაობის სიჩქარე, ამასთან ერთად გაადვილდა საწვავით მათი უზრუნველყოფა. ფლოტის საწვავით მომარაგება შეიძლებოდა ყველგან, დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლონიებშიც კი (კუნძულ ბორნეოსა და სუმატრაზე, სპარსეთის ყურეში), მაშინ, როდესაც, ქვანახშირის შემთხვევაში, საწვავით უზრუნველყოფა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ხდებოდა (ვინაიდან, მხოლოდ იქ იყო ქვანახშირი).

მეორე უმნიშვნელოვანესი სიახლე სამხედრო სფეროში ტანკის გამოგონება იყო. სამხედრო საქმის სპეციალისტები იმ დროს ბევრს ფიქრობდნენ, როგორ დაეცვათ ჯარისკაცები სანგრებიდან წამოსული ცეცხლისაგან. ინგლისელ პოლკოვნიკს სვინსტონს თავში აზრად მოუვიდა აშშ-ში ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორის ბაზაზე ბრონირებული სამხედრო მანქანის შექმნის იდეა.

ისევე, როგორც სხვა მრავალი, ეს იდეაც დასამარდებოდა, რომ არ უინსტონ ჩერჩილი. სწორედ მან მოიწონა ტანკის იდეა და მის დასაფინანსებლად მსხვილი თანხა გამოჰყო საიმპერიო ფლოტის ბიუჯეტიდან. ტანკი ბრძოლის ველზე პირველად 1916 წელს გამოჩნდა, ყველაზე დიდი წარმატებით კი მოკავშირეებმა იგი ამიენის ბრძოლის დროს გამოიყენეს, როდესაც 456 ტანკისაგან შემდგარმა კოლონამ გაარღვია გერმანელების დაცვის ხაზი და ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

ომის წინ და მისი მიმდინარეობის დროს დაპირისპირებულმა მხარეებმა აწარმოეს ათეულ ათასობით მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა, მოტოციკლეტი, ტანკი და თვითმფრინავი. და ეს ყველაფერი ნავთზე მუშაობდა. სატვირთო ავტომობილებმა განდევნეს ცხენი, როგორც მთავარი გამწევი ძალა სამხედრო ნაწილების მომარაგებისა და საბრძოლო გადაადგილების საქმეში. ერთი სიტყვით, როგორც ფრონტი, ისე ზურგი მოტორიზებული შენაერთებით შეივსო. ბუნებრივია, ნავთობზე მოთხოვნა ერთი-ათად გაიზარდა.


*უინსტონ ჩერჩილი*

მოკავშირეთა ნავთით მომარაგება მთლიანად დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლონიებიდან (ბრიტანულ-ჰოლანდიური კომპანია Royal Dutch Shell-ი) და აშშ-დან (Standard Oil of New Jersey ანუ დღევანდელი Exxson-ი) ხდებოდა. ამასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია შორს იყო, აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპირო კი - ახლოს. ამიტომ მოკავშირეთა საწვავით მომარაგება მთლიანად აშშ-ს დააწვა.

რაც შეეხება გერმანიას, მართალია, მას საკმაოდ გააჩნდა საკუთარი რკინა და ენერგორესურსები - ქვანახშირის სახით, მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდა თავის მოწინააღმდეგეებს როგორც ნავთზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიებით, ისე სამხედრო ტექნიკით. გერმანიის ძლიერ მხარეს ომის დროს ბრონირებული მატარებლები წარმოადგენდა, რომლებიც ქვანახშირზე მუშაობდნენ. ბრონირებული მატარებლების მოქმედების არეალი, მიუხედავად კარგად განვითარებული სარკინიგზო ქსელისა, ცხადია, ძალზე შეზღუდული იყო. გერმანიაც აწარმოებდა სამხედრო მანქანებს, თვითმფრინავებს და ტანკებს, ნავთზე კი ხელი არ მიუწვდებოდა.

გერმანიის ხელისუფლებამ კარგად იცოდა თავისი სუსტი მხარე და მისი სამხედრო მანქანა ომის დროს ორი მიმართულებით მუშაობდა:

1. არ დაეშვა მოკავშირეებამდე აშშ-დან წამოსული ნავთობით დატვირთული ტანკერები;

2. ხელში ჩაეგდო რუმინეთის, ბაქოსა და ირანის ნავთობი.

პირველ ამოცანას თავს წარმატებითართმევდა გერმანიის წყალქვეშა ფლოტი. გერმანული წყალქვეშა ნავები თავზარს სცემდნენ ატლანტის ოკეანეში მოკავშირეთა სავაჭრო ხომალდებსა და ნავთობტანკერებს (სხვათა შორის, აშშ-ს ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში 1916 წელს გერმანული წყალქვეშა ნავის მიერ ამერიკული სამგზავრო გემის ჩაძირვამ განაპირობა). მარტო 1917 წელს გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა Standard Oil of New Jersey-ს ექვსი ტანკერი ჩაძირეს, ასეთივე ბედი ეწია Royal Dutch Shell-ის ტანკერების ლამის მეოთხედს. მოკავშირეთა დანაკარგი ტვირთებისა და ტანკერების სახით იმდენად დიდი იყო, რომ ზოგს გამოსავლად საიმპერიო ფლოტის ისევ ქვანახშირზე გადაყვანა მიაჩნდა. თუმცა, ამ იდეას ბევრი მომხრე არ გასჩენია.

მოკავშირეებმა გამოსავალი მალე იპოვეს. ნავთობტანკერებისა და სავაჭრო ხომალდების დაცვის მიზნით, დიდი ბრიტანეთის სამხედრო ფლოტს დაეკისრა მათი მუდმივი ესკორტირება. აქ გამოჩნდა ნავთზე მომუშავე სწრაფმავალი ბრიტანული სამხედრო ხომალდების უპირატესობა, გერმანულ წყალქვეშა ნავებთან შედარებით. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გაიზარდა მოკავშირეთა მოთხოვნა ნავთზე და დიზელის საწვავზე. ვის უნდა დაეკმაყოფილებინა გაზრდილი მოთხოვნა, თუ არა აშშ-ს, რომელიც მსოფლიო ნავთობის სამ მეოთხედს აწარმოებდა. თუმცა, ნავთობზე დიდი მოთხოვნა იყო აშშ-ს შიდა ბაზარზეც. ცხადია, ამერიკის ნავთობმრეწველობას გაზრდილი შიდა და გარე მოთხოვნის დაკმაყოფილება გაუჭირდებოდა.

აშშ-ს ხელისუფლებამ, მოკავშირეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ერთის მხრივ, მაქსიმალურად გაზარდა ნავთობის წარმოება და, მეორეს მხრივ, ამერიკაში ნავთისა და ბენზინის მოხმარებაზე შეზღუდვები დააწესა. ცნობილია, რომ აშშ-ს ავტომფლობელებს ეკრძალებოდათ უქმე დღეებში ავტომობილების გამოყენება. შეუწყვეტლივ მხოლოდ სასიცოცხლო ობიექტები მარაგდებოდა. შეზღუდვები იმდენად მკაცრი და საყოველთაო ყოფილა, რომ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს ერთხელ უთქვამს, "ვგრძნობ, ეკლესიაში მეც ფეხით მომიწევს სიარულიო".

მართლაც, 1917 წელს აშშ-მ აწარმოა 335 მილიონი ბარელი ნავთობი (ანუ მსოფლიო წარმოების 67 პროცენტი). აქედან მეოთხედი საექსპორტოდ გავიდა, ძირითადად, ევროპაში. მთლიანობაში მოკავშირეთა მოთხოვნის 80 პროცენტს აშშ-ს წარმოების ნავთობი ფარავდა.

ამგვარად, გერმანიამ ვერ შეძლო მოკავშირეთა ნავთობმომარაგების ბლოკირება. წარუმატებელი აღმოჩნდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მცდელობა, თავიანთი კონტროლის ქვეშ მოექციათ რუმინეთის საბადოები ევროპაში (ანტანტის ბლოკმა ააფეთქა).

გერმანული არმია კი საწვავის ძლიერ დეფიციტს განიცდიდა. გერმანიამ მთელი თავისი ძალისხმევა ბაქოსაკენ მიმართა. კავკასიაში ბაქოს მიმართულებით გერმანიის მოკავშირე ოტომანთა იმპერია ამოქმედდა.

კავკასიის ახლადწარმოქმნილმა რესპუბლიკებმა ვერ შეძლეს გერმანიის მოკავშირის - თურქეთის შეტევის შეჩერება. მალე თითქმის მთელი კავკასია, ბაქოს ჩათვლით, თურქების ხელში აღმოჩნდებოდა, რომ არა ყოფილ მოწინააღმდეგეებს - რუსეთსა და გერმანიას შორის მიღწეული შეთანხმება. ამ შეთანხმების მიხედვით, რომელიც დაიდო ბოლშევიკურ რუსეთსა და კაიზერულ გერმანიას შორის, გერმანია შეაჩერებდა თურქეთის შეტევას ბაქოს მიმართულებით, თუ საბჭოთა მთავრობა ნებაყოფლობით უზრუნველყოფდა მის არმიას ნავთით დასავლეთის ფრონტზე სამხედრო მოქმედებების გასაგრძელებლად.

რასაკვირველია, რუსეთის ყოფილი მოკავშირეები ანტანტის ბლოკში ამას ვერ დაუშვებდნენ, ამიტომაც მოხდა ინტერესების კონფლიქტი ბაქოში. ქალაქი და მისი შემოგარენი ხელიდან ხელში გადადიოდა, თურქები და გერმანელები ირანიდან შემოსულმა დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტიგენტმა განდევნა, ეს უკანასკნელი კი - ბოლშევიკებმა.

1918 წლის ოქტომბერში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ქვეყანა ზამთრის წინ სრული ენერგეტიკული კატასტროფის წინაშე იდგა. არსებული საწვავის რაოდენობა საკმარისი გახლდათ საზღვაო ბრძოლის საწარმოებლად მხოლოდ ექვსი-რვა თვის განმავლობაში, სამრეწველო დანიშნულების ნავთის ორი თვის მარაგიღა იყო დარჩენილი, სამრეწველო საპოხი მასალების კი - ექვსისა. თანაც, გერმანიას გზა ჰქონდა მოჭრილი ნავთობით მდიდარი რეგიონებისაკენ. ქვეყანა უსაწვავოდ ბრძოლას ველარ გააგრძელებდა და 1918 წლის 11 ნოემბერს დანებდა კიდეც.

**ამგვარად, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პირველ მსოფლიო ომში გერმანული რკინა და ქვანახშირი დამარცხდა მოკავშირეთა ნავთობთან. პირველი მსოფლიო ომის ბედი გადაწყდა იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც მეტად მიუწვდებოდა ხელი ნავთობსა და ნავთზე დაფუძნებულ უახლეს ტექნოლოგიებზე.**

## მეორე მსოფლიო ომის ენერგეტიკული ასპექტები

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქვეყნებმა, გამარჯვებულებმაც და დამარცხებულებმაც, სათანადო დასკვნები გააკეთეს. გამარჯვებულებმა გააცნობიერეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო მრეწველობის დროულ გადახალისებას და ნავთობის უწყვეტ მიწოდებას ფრონტისათვის. დამარცხებულები კი მიხვდნენ, რომ ახალ ომში გასამარჯვებლად უნდა ეპოვათ ენერგეტიკული რესურსების საკუთარი წყაროები. ამასთან ერთად, ევროპა უნდა მოეწყვიტათ სასიცოცხლო ნავთობრესურსებისაგან, რომელიც ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ბაქოში, ირანსა და აშშ-ში იყო კონცენტრირებული. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ იგივე აქტიორები იმავე მიზნებისათვის, თითქმის იგივე ტაქტიკური მონახაზებით.

ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა ტემპებით მიდიოდა ორ მსოფლიო ომს შორის მომავალ დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო ძალების ტექნიკური აღჭურვა-გადაიარაღება. მათი სამხედრო არსენალი ომის წინ ათეულ ათასობით სამხედრო თვითმფრინავს, სამხედრო საზღვაო ხომალდსა და ტანკს ითვლიდა. მთლიანად მოტორიზებული იყო სახმელეთო ჯარების როგორც ზურგის მომსახურება, ისე მოქმედი სამხედრო ნაწილები.

მოკავშირეებს საწვავით მომარაგების საკითხი მოგვარებული ჰქონდათ, ბორნეოს, სუმატრის ნავთობი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ბაქოს ნავთობი კავკასიაში და, რაც მთავარია, აშშ-ს, მექსიკისა და ვენესუელის ნავთობი მათ განკარგულებაში გახლდათ. საჭირო იყო მხოლოდ უსაფრთხო მიწოდების უზრუნველყოფა.

გერმანია საკმაოდ კარგად მოემზადა ომისათვის ენერგორესურსების თვალსაზრისით. არა, გერმანიაში ნავთობის საბადოები არ აღმოუჩენიათ, უბრალოდ, გერმანელმა ქიმიკოსებმა ქვანახშირისაგან, რომელიც იქ უხვად არის, თხევადი სინთეზური საწვავის დამზადება დაიწყეს. მთელი ცენტრალური გერმანია დაქსელილი იყო სინთეზური საწვავის ქარხნებით, რომელთა სამყოფელი გასაიდუმლოებული გახლდათ და სადაც საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან დეპორტირებულ ტყვეებს მონურ პირობებში ამუშავებდნენ. ამ ქარხნების მიერ წარმოებული საწვავი უზრუნველყოფდა გერმანიის ავიაციის, ფლოტისა და სახმელეთო მოტორიზებული შენაერთების მოთხოვნის 50 პროცენტს ომის დროს.

გერმანიის მთავარსარდლობის ჩანაფიქრით, სინთეზური საწვავი საკმარისი იქნებოდა საომარი მოქმედებების საწარმოებლად თავიდან, შემდეგ, მოწინააღმდეგეთა დამარცხების შედეგად, ხელში ჩავარდნილი რესურსები უნდა გამოეყენებინათ. 1939 წელს გერმანიამ დაიპყრო მთელი ევროპა, რუსეთის გარდა და ხელში ჩაიგდო რუმინეთის საბადოები.

ასეთივე სქემით ემზადებოდა იაპონიაც. იაპონიასაც ჰქონდა სინთეზური საწვავის ქარხნები, თუმცა მათი ნახევარი მანჯურიაში იყო განლაგებული და 1944-45 წლებში, მოკავშირეთა მხრიდან წარმატებული ბლოკადის შემდეგ, მას ამ ქარხნების პროდუქციაზე ხელი აღარ მიუწვდებოდა.

მანამდე კი, 1939 წელს, იაპონიამაც დაიწყო სამხედრო მოქმედებები დასუსტებული დიდი ბრიტანეთის ნავთობმწარმოებელი კოლონიების წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ აგრესიული ქმედებების აღსაკვეთად, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მას 1941 წლის მაისში ნავთობის ემბარგო გამოუცხადეს. პასუხად იაპონიამ 1941 წლის 7 დეკემბერს მთლიანდ გაანადგურა აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტი ჰავაიზე, პერლ-ჰარბორთან. ერთი სიტყვით, მეორე მსოფლიო ომის ფრონტი ევროპიდან წყნარ ოკეანემდე გადაიჭიმა. 1942 წელს იაპონია მთლიანად აკონტროლებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბრიტანულ დომინიონებს.

**1941 წელს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ იაპონიის წინააღმდეგ გამოცხადებული ნავთობის ემბარგო იყო პირველი შემთხვევა ნავთობის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენებისა საერთაშორისო არენაზე. შემდგომში არა ერთხელ მიმართეს მას ჯერ ნავთობის ექსპორტიორმა არაბულმა ქვეყნებმა, შემდეგ კი - თავად იმპორტიორებმა, ერაყის მიერ კუვეიტის მიმართ განხორციელებული აგრესიის დროს, 1991 წელს.**

იაპონიის მიერ ბორნეოსა და სუმატრას დაპყრობის შემდეგ მოკავშირეებმა დაკარგეს ნავთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს, ახლაც მოკავშირეები მთლიანად ამერიკულ ნავთობზე აღმოჩნდნენ დამოკიდებული - ატლანტის ოკეანეში, ისევე, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს, თავისუფლად დათარეშობდა გერმანული წყალქვეშა ნავების ესკადრა და შიშის ზარს სცემდა ევროპისაკენ მიმავალ სავაჭრო გემებსა და ტანკერებს. აღმოსავლეთის ზღვებში კი იაპონიის ფლოტი დომინირებდა.

ფაშისტური გერმანიის შეტევის ძირითადი მიმართულება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მოსკოვისა და ლენინგრადის გარდა, ბაქოსა და გროზნოსაკენ იყო მიმართული. საბჭოთა არმიამ თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია გერმანელებს სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან, რითიც, ფაქტობრივად, გზა გადაუკეტა სასიცოცხლო მნიშვნელობის ენერგორესურსებისაკენ. გენერალი გუდერიანი ამაოდ ევედრებოდა გერმანიის მთავარსარდლობას, მოეხსნა კავკასიის მისადგომებთან მებრძოლი სამხედრო ნაწილები და სტალინგრადისკენ გადაესროლა.

მთავარსარდლობას მიაჩნდა, რომ, კავკასიის მისადგომებთან გამარჯვებისა და გროზნო-ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდების გარეშე, გერმანიის არმიის საწვავით მომარაგება სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, რის გამოც სტალინგრადისაკენ სამხედრო ნაწილები არ გადაუსროლია. გერმანიის არმია დამარცხდა სტალინგრადთანაც და კავკასიის მისადგომებთანაც, ისე, რომ გროზნოს აღება ვერ შეძლო. გერმანიის ტანკების დიდ ნაწილს მონაწილეობაც კი არ მიუღიათ კავკასიასთან ბრძოლებში, საწვავის უკმარისობის გამო.

გერმანიის ჩრდილოაფრიკული ექსპედიცია, გენერალ რომელის ხელმძღვანელობით, სინასთან უნდა შეხვედროდა იტალიის აბისინიურ კორპუსს და ერთობლივად ემოქმედათ შუამდინარეთის, ახლანდელი ერაყის, ნავთობის ხელში ჩასაგდებად, სადაც ნავთობმოპოვება 1931 წლიდან წარმოებდა დიდი ბრიტანეთის მიერ. რომელის კორპუსი ბაღდადიდან ირანსა და კასპიისპირეთში უნდა გასულიყო და შეერთებოდა კავკასიაში მებრძოლ სამხედრო ნაწილებს.

ეგვიპტის უდაბნოში, ელ-ალამაინთან, გენერალ მონტგომერის სამხედრო შენაერთთან შეტაკებამ შეაფერხა გენერალ რომელის სწრაფი სვლა ერაყისაკენ. ამ ბრძოლაში ფრანგული უცხოური ლეგიონის შემადგენლობაში იბრძოდა და გმირულად დაეცა დიმიტრი ამილახვარი. ბევრმა არ იცის, რომ გენერალ რომელის ექსპედიციის კრახის მიზეზი სამხედრო დამარცხება კი არა, საწვავის ნაკლებობა იყო.

მოკავშირეებმა შეძლეს ხმელთაშუა ზღვაში გერმანული გემებისა და წყალქვეშა ნავების ბლოკირება, რის შედეგადაც გენერალ რომელის კორპუსი საწვავისა და საკვების გარეშე აღმოჩნდა. გენერალ რომელის მოტორიზებული შენაერთის სამხედრო ტექნიკა, საწვავის უქონლობის გამო, უბრალო ჯართად იქცა.

იტალიაშიც საწვავის ნაკლებობამ გადაწყვიტა ომის ბედი. 1943 წლის სექტემბერში იტალიამ კაპიტუალცია გამოაცხადა. გერმანელი ქიმიკოსი და სინთეზური საწვავის ქარხნების მესვეური ალბერტ შპეერი თავის მოგონებებში იხსენებს გერმანიის მეათე არმიის ნარჩენების უკან დახევას იტალიიდან, რომელსაც იგი უშუალოდ შესწრებია. მას უნახავს არმიის კუთვნილი 150 სატვირთო მანქანა, რომელთაგან თითოეულს ოთხი ხარი ჰყავდა შებმული და ისე მიათრევდა.

ომის ბედი დასავლეთის ფრონტზე, მოკავშირეთა სასარგებლოდ, მას შემდეგ, გადაწყდა, რაც მათ შეძლეს:

1. გერმანიის წყალქვეშა ნავების გადამცემი სიგნალების გაშიფვრა და მათი განეიტრალება ატლანტის ოკეანეში 1943 წელს;

2. 1944 წელს მოკავშირეთა მიერ გერმანიის გულში განლაგებული სინთეზური საწვავის ქარხნების აღმოჩენა და განადგურება.

შორეული აღმოსავლეთის ფრონტზეც მოკავშირეებმა შეძლეს იაპონური ხომალდების გადამცემი სიგნალების გაშიფვრა და მათმა წყალქვეშა ნავებმა იაპონურ ტანკერებს ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადეს. 1944 წელს მოკავშირეთა მიერ ჩაძირული იაპონური ტანკერების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა იმავე წელს იაპონიის მიერ წარმოებული ტანკერების რაოდენობას. 1945 წელს იაპონიის ფლოტი და ავიაცია უსაწვავოდ აღმოჩნდა. საწვავისა და ამუნიციის გარეშე დარჩენილი იაპონელი კამიკაძე მფრინავები ამერიკული გემების წინააღმდეგ მხოლოდ ტარანზელა მიდიოდნენ. ომის დროს მოკავშირეებმა იაპონიის სავაჭრო ფლოტის 86 პროცენტი ჩაძირეს, ცხრა პროცენტი სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ომის შემდეგ.

ომის დროს საავტომობილო პარკი, სამხედრო ტექნიკა, ფლოტი თუ ავიაცია მთლიანად ბენზინსა და დიზელის საწვავზე მუშაობდა, რის გამოც ნავთობსა და ბენზინზე მოთხოვნა დრამატულად გაიზარდა (საზოგადოდ მრეწველობაში ქვანხშირის წილი ჯერ კიდევ მაღალი იყო). ომის ხუთი წლის განმავლობაში მოკავშირეებმა სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად მოიხმარეს 7 მილიარდი ბარელი ბენზინი და სხვა სახის საწვავი, საიდანაც 6 მილიარდი ბარელი აშშ-ს მიერ იყო წარმოებული.

**პირველმა მსოფლიო ომმა ცხადყო ნავთობის, როგორც სასიცოცხლო-სტრატეგიული რესურსის მნიშვნელობა. მეორე მსოფლიო ომმა ეს სიცხადე ნამდვილ რწმენად აქცია. როგორც ომი, ისე მშვიდობა, ნავთობისა და მისი უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის გარეშე, წარმოუდგენელი ჩანდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ნავთობისათვის ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა და ომისდროინდელი პარტნიორები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.**

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები
საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი
ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge



www.24hours.ge 24 B

# აუშვიცის სულის მედიუმი


REUTERS
იმრე კერტეში – ლიტერატურა


REUTERS
ვერნონ სმიტი – ეკონომიკა


REUTERS
დენიელ კანემანი – ეკონომიკა


REUTERS
ჯონ ფენი – ქიმია


REUTERS
კოიჩი ტანაკა – ქიმია


REUTERS
კურტ ვიტრიხი – ქიმია

*2002 წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში ("ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, რომელიც ცალკეული პიროვნების ისტორიის ბარბაროსულ სვლასთან დაპირისპირების ამბავს გადმოგვცემს") გუშინ, შვედეთის სამეფო აკადემიამ უნგრელ მწერალს, იმრე კერტეშს გადასცა. ხანგრძლივი ვნებათაღელვის ასეთ შედეგს ლიტერატურულ წრეებში არავინ მოელოდა. მართალია, კულუარულ წრეებში მას ერთ-ერთ კანდიდატად ყოველთვის ასახელებდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთ და, თანაც, მეორეხარისხოვან კანდიდატად.*

### ვარაუდები, ფსონები...

უკვე 50 წელია, ყველა შეეგუა იმ ფაქტს, რომ შვედეთის აკადემიის 18-კაციანი საბჭო პრიზზე წარდგენილი კანდიდატების ვინაობას საიდუმლოდ ინახავს. სელექციის პროცესი მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში მიმდინარეობს. საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე კომისია კვირაში ერთხელ იკრიბება და იმ კვირის შეხედულებებს აჯამებს. კონფიდენციალობის ბოლომდე დასაცავად გამარჯვებულის გამოვლენის თარიღსაც ორიოდე დღით ადრე აცხადებენ. ერთი სიტყვით, წინასწარ არავინ იცის, ვინ გახდება ლიტერატურული "ნობელის" მფლობელი. თუმცა, ეს აზარტულ ლიტერატორებს საკუთარი ფსონების დადებაში ხელს სულაც არ უშლის. და გამარჯვებულის გამოვლენამდე დარჩენილი პერიოდიც დაძაბულ მარათონს ემსგავსება.

წელს კომპეტენტური ექსპერტები მეტნაკლები ერთსულოვნებით აცხადებდნენ, რომ შვედეთის აკადემიის რჩეული ამერიკელი ავტორი იქნებოდა. იგივეს ამბობდა ცნობილი გერმანელი კრიტიკოსი ფელისიტას ფონ ლოვენბერგი. თუმცა, თავად ამერიკელის არჩევის მომხრე არ გახლდათ – ვაშინგტონის შესაძლო ანტი-ერაყული სამხედრო ოპერაციის გამო.

აღსანიშნავია, რომ 1993 წელს გამარჯვებული ტონი მორისონის შემდეგ ნობელის ლაურეატი არც ერთი ამერიკელი არ გამხდარა. ალბათ, ლიტერატურული ექსპერტები ამიტომაც ვარაუდობდნენ, რომ, ათწლიანი ინტერვალის შემდეგ, შვედეთის აკადემიას ამერიკული ლიტერატურისკენ გული კვლავაც მოუბრუნდებოდა. უფრო კონკრეტულად კი პულიცერის პრიზის მფლობელი მწერლის, ფილიპ როტის (ავტორი წიგნისა American Pastoral) კანდიდატურას გულისხმობდნენ. ასევე ბევრს საუბრობდნენ სხვა მწერლების კერძოდ, ჯონ აპდაიკის, ტომას პინჩონის, ჯონ ეშბერის, სიუზენ სონტაგისა და ნორმან მეილერის გამარჯვებაზეც.

განიხილებოდა სხვა ვარიანტებიც. ზოგის აზრით, დრო დადგა, ლიტერატურული "ნობელი" ქალი-ავტორისთვის მიენიჭებინათ (უკანასკნელად ნობელის ლიტერატურული პრემია პოლონელმა პოეტმა ქალბატონმა ვისლავა შიმბორსკამ 1996 წელს მოიპოვა). ასახელებდნენ კონკრეტულ კანდიდატურებსაც: ამერიკელი ჯოის კეროლ ოუტსი, ლატვიელი ვიზმა ბელსევიჩა, დანიელი ინგერ კრისტენსენი, ბრიტანელი დორის ლესინგი, კანადელები მარგარეტ ეტვუდი და ელის მანრო.

ლიტერატურულ კრიტიკოსთა ნაწილს კი მიაჩნდა, რომ შვედეთის აკადემია ვერაფრით აუვლიდა გვერდს ისეთ ფიგურებს, როგორებიც არიან: სალმან რუშდი, მილან კუნდერა, ჰუგო კლაუსი, მარიო ვარგას ლიოსა, ჩინუა აჩებე, ნურადინ ფარაჰი, უილიამ ტრევორი, **იმრე კერტეში** და იაან კროსი. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ 2002 წლის ნობელს ნაკლებად ცნობილ მწერალს ან პოეტს არგუნებდნენ. მაგალითად: სირიელ ადონისს, სამხრეთ კორეელ კო უნს, ჩინელ ბეი დაოს და შვედების ფავორიტ ტომას ტრანსტრომერს. თუმცა, როგორც გუშინ გაირკვა, ნობელი ლიტერატურულ წრეებში სულ შემთხვევით დასახელებულმა კანდიდატმა დაიმსახურა – კაცმა, რომლის გამარჯვებასაც ყველაზე ნაკლებად წარმოიდგენდნენ.

### გამარჯვებული კერტეში

კერტეში 1929 წლის 9 ნოემბერს ბუდაპეშტში დაიბადა. ისევე, როგორც მრავალი უნგრეთში მცხოვრები ებრაელის ბედი, მისი ცხოვრებაც ტრაგიკული იყო: 1944 წელს, ებრაელების დევნის ჟამს, ნაცისტების წყალობით აუშვიცში ამოყო თავი. მას გაუმართლა, გადარჩა და ომის ბოლოს ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოიხსნეს.

ომის შემდგომ წლებში რედაქტორად მუშაობდა, პიესებს წერდა, ნიცშესა და ვიტგენშტაინს თარგმნიდა, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში შემზარავ წარსულს ვერ ივიწყებდა. ცხადია, აუშვიცის გამოცდილება უკვალოდ ვერ ჩაივლიდა და მწერალი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთს. თუმცა, აუშვიცი მისთვის დასავლეთის ისტორიიდან არანაირ გამონაკლისს, არანაირ უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენს. "ეს თანამედროვე არსებობაში ადამიანების დეგრადაციის უკანასკნელი დასტურია."

1960 წლიდან იმრე კერტეში, ცამეტი წლის განმავლობაში, მუშაობდა რომანზე Sorstalansag - ჩემთვის ცნობილ ენებზე ითარგმნება როგორც "უბედისწერო ადამიანი" ან "უბედისწეროს ამბავი". ეს ერთგვარად ავტობიოგრაფიული რომანია,რომელიც ბანაკში მოხვედრილი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებისა და გადარჩენის შესახებ გვიამბობს.

კომუნისტურ უნგრეთში რომანის გამოქვეყნება მისი დასრულებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა.

საკონცენტრაციო ბანაკის თემა კერტეშის მთელ შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს. შემდგომი ნაწარმოებებიც - "ფიასკო" (1988) და "კადიში არდაბადებული ბავშვისთვის" (1990), ძირითადად, ამ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი რომანის კომენტარებსა და გაგრძელებას წარმოადგენს. " როცა სრულიად სხვა რამეზე ვლაპარაკობ, მაინც აუშვიცზე ვსაუბრობ. მე აუშვიცის სულის მედიუმი ვარ,"- ამბობს ავტორის alter ego რომანში "ფიასკო".

წლევანდელმა შემოდგომამ უნგრელ ავტორს დიდი გამარჯვებები მოუტანა: ოთხშაბათს, გერმანიაში იმრე კერეტეშს ჰანს ზალის ჯილდო და 10 ათასი ევროც გადაეცა, თუმცა ნობელის პრემიამ, ცხადია, ყველაფერი დაჩრდილა,.

ამჟამად მწერალი ახალ წიგნზე მუშაობს, რომელიც, ჯერ-ჯერობით, ანტისემიტიზმის პოპულარულ (თუ არ ვიტყვით, რომ სპეკულაციურ) თემას ნაკლებად ეხება: "ლიკვიდაცია" კომუნისტურ აღმოსავლეთ ბლოკში მომხდარ ცვლილებებს განიხილავს.

### მშვიდობა-ქიმია-ეკონომიკა

დღეს ნობელის ლაურეატების გარშემო ატეხილი ერთკვირიანი ვნებათაღელვის დასკვნითი ეტაპი გაიმართება. გამოვლინდება წლევანდელი ნობელის უკანასკნელი ლაურეატი – მშვიდობის პრიზის მფლობელი. ეს ერთადერთი ჯილდოა, რომელსაც შვედეთში კი არა, ნორვეგიაში, ოსლოში გამოაცხადებენ. მანამდე კი, გამარჯვებულ ლიტერატორებთან, ფიზიკოსებთან, ფსიქოლოგებთან ერთად, ზეიმობენ ქიმიკოსები და ეკონომისტებიც. გუშინწინ სტოკჰოლმში სწორედ ქიმიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროების რჩეულები გამოავლინეს.

შვედეთის ბანკმა პრიზი ეკონომიკურ მეცნიერებაში ამერიკელ დენიელ კანემანს (68 წლის) და ვერნონ სმიტს (75 წლის) გადასცა. პრინსტონის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმეთა პროფესორი კანემანი კომისიამ შემდეგი დამსახურებისთვის დააჯილდოვა: "მან ეკონომიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდი დანერგა. საუბარია გაურკვეველ სიტუაციებში ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე". არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და იურისპრუდენციის პროფესორის ვერნონ სმიტის (ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი) აღმოჩენა. მან "ემპირიული ეკონომიკური ანალიზის პროცესში ახალი იარაღი - ლაბორატორიული ცდები გამოიყენა", - ნათქვამია ნობელის ინსტიტუტის პრეს-რელიზში. ორივე გამარჯვებული ფულად ჯილდოს – 10 მილიონ შვედურ კრონს შუაზე გაიყოფს.

პრიზი ქიმიაში კი სამმა მეცნიერმა – ამერიკელმა ჯონ ფენმა (85 წლის), იაპონელმა კოიჩი ტანაკამ (43 წლის) და შვეიცარელმა კურტ ვიტრიხმა (64 წლის) გაინაწილეს. ვირჯინიას უნივერსიტეტის მკვლევარი-პროფესორი ჯონ ფენი და კორპორაცია "შიმაძუს" ინჟინერი კოიჩი ტანაკა ფულადი ჯილდოს მეოთხედს მიიღებენ, ციურიხის უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის პროფესორი კურტ ვუტრიხი კი – დარჩენილ ნახევარს.

დაჯილდოების ცერემონიალი ნობელის გარდაცვალების დღეს, 10 დეკემბერს გაიმართება. მანამდე ლაურეატები ვრცელ საზეიმო სიტყვებს მოამზადებენ.

სპორტი

# „მეტოქეს სავსე ტრიბუნების ეშინია„

## კავკასიური ნაგაზები და აფრიკელი ˝რუსები˝

*საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელებმა, კლოდ სორელმა და პატრიკ ფორემ, რუსეთთან მატჩის წინ ერთი ოცნება აისრულეს. საგურამოში გამართული ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ფრანგებს კავკასიური ნაგაზის ორი ლეკვი აჩუქეს. სორელმა და ფორემ დაძლიეს მეუღლეების მიერ აღმართული "შერკინება" და სულ მალე ლეკვები ახალ სამშობლოში, საფრანგეთში გაემგზავრებიან. გუშინ, დილით, "რუსთავი-2"-ს პირდაპირ ეთერში გამოჩნდა რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე, რომელმაც მაყურებლის შეკითხვებს უპასუხა.*

დიმიტრი ოზოლაძე

### უკანა ხაზის თამაშის შესახებ

"ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი გაცილებით სუსტია, ვიდრე შერკინება. მინდა, შეგახსენოთ, რომ სწორედ ფეხით ცუდი თამაშის გამო წავაგეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი. რუსებსაც სწორედ ამის გამო ვერ მოვუგეთ. ხელით თამაშში კი აშკარა პროგრესია. სპეციალურად ჩამოვიყვანეთ კიდევ ერთი ფრანგი მწვრთნელი პატრიკ ფორე. მას დიდი ხნის განმავლობაში, საგანგებოდ ვაკვირდებოდით. სწორედ ფორემ დახვეწა ჩვენი უკანახაზელების თამაში. ამაში რუსეთის ნაკრებთან მომავალი შეხვედრის დროს დარწმუნდებით."

### ბილეთები

"უმორჩილესად ვთხოვ გულშემატკივარს, ბილეთები დღეს და ხვალ შეიძინოს, რომ თამაშის დღეს სერიოზული პრობლემები თავიდან ავიცილოთ. ბილეთის ფასი, ჩემი აზრით, სავსებით მისაღებია – 3-5 ლარი. ბიჭებს, პირველ რიგში, გულშემატკივრის იმედი აქვთ. მეტოქეს კი სავსე ტრიბუნების ეშინია. თითოეული ქართველი მორაგბე ბედნიერია იმით, რომ მსოფლიო თასისთვის საკუთარი გულშემატკივრის წინაშე იბრძოლებს."

### ირლანდიასთან შეხვედრის შესახებ

"იმ თამაშში ცოტა მეტის მიღწევა გვინდოდა. არ ვამბობ, რომ დღეს ირლანდიის დამარცხება შეგვიძლია, მაგრამ არც ისე შორსა ვართ, როგორც ბევრს ეჩვენება. ცუდად ნათამაშები პირველი ტაიმის შემდეგ მწვრთნელებმა კორექტივები შეიტანეს. თამაში შეიცვალა. მეორე ლელო კი სარაგბო ხელოვნების ნიმუში გამოდგა. იმ წუთებში ვამაყობდი კიდეც. ამ ორ ლელოს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მორაგბეებმა დაამტკიცეს, რომ ელიტურ გუნდებთანაც შეიძლება თამაში. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი ჩვენი საფიქრალი მხოლოდ რუსეთის გუნდია."

### რუსთა ˝აფრიკელები˝

"ეს საინტერესო საკითხია. ჩვენ ოფიციალურად, წერილობით მივმართეთ რაგბის საერთაშორისო საბჭოს. გვაინტერესებს, აქვთ თუ არა სამხრეთაფრიკელებს რუსეთის ნაკრებში თამაშის უფლება. პასუხს დღესაც ველოდებით. მაგრამ მინდა, განვაცხადო. ჩვენთვის არავითარი პრობლემა არ არის ამ "აფრიკელების" თამაში. კი ბატონო, ჩამოვიდნენ და ითამაშონ. ეს ბევრს არაფერს ცვლის."

### რუსები ˝სიმპათიაში˝ დაბინავდებიან

"რუსეთის დელეგაცია დღეს, 11 ოქტომბერს ჩამოდის თბილისში. არ ვიცი, თავიდან რატომ დამალეს სასტუმროს დასახელება, მაგრამ დღეს ვიცით, რომ "სიმპათიაში" დაბინავდებიან. ეს "დამალობანა" წინასამატჩო თამაშის ნაწილია. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ გეტყვით, რას ემსახურებოდა საცხოვრებელი ადგილის გასაიდუმლოება. სატელეფონო საუბარში მითხრეს, რომ რუსეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას პირადად ჩემთან სურს შეხვედრა. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა შედგება."

*მოკლედ, საქართველოს რაგბის კავშირის, მორაგბეებისა და სხვების მრავალწლიანი გარჯა კონკრეტულად ერთ, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა. კვირას საქართველომ უნდა დაამარცხოს რუსეთი. ამ შეხვედრას სრული შემადგენლობით დაესწრება საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები. ასევე მოიქცევიან მორაგბეებიც. "ლოკომოტივისა" და ეროვნული სტადიონის სავარძლებზე დაგხვდებათ საქართველოს ჰიმნის ტექსტი...*


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ბიძინა გეგიძე

# ლანოვოი, აბდულოვი, ბუინოვი და სხვები - მოფრინავენ მტრედები!

*დღეს, თბილისის დროით 14 საათზე, დედაქალაქის აეროპორტში რუსული ლეგიონი ჩამოფრინდება. სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში, ფეხბურთელებთან ერთად, არიან ცნობილი სპორტსმენები, კინოს, თეატრისა და ესტრადის მსახიობები. ცნობილმა ადამიანებმა ესოდენ დიდი პატივი დასდეს საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩს. ეს თამაში 12 ოქტომბერს "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება.*

კახა ფარუაშვილი

ჩვენი რუსი კოლეგების თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა რუსეთის სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველმა დმიტრი ტუგარინმა.

ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტი 12 ოქტომბრის საფეხბურთო მატჩს უკავშირდება. როგორც ჩანს, რუსეთის საინფორმაციო და სპეციალურმა სამსახურებმა იმდენი მოახერხეს, რომ საკუთარი თავიც შეაშინეს და საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებაც სერიოზულად დაფიქრდნენ.

სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ რუსეთის სპორტული დელეგაცია დახუნძლულია ესტრადის ცნობილი მომღერლებითა და მსახიობებით, რომლებმაც საქართველოს დედაქალაქში მშვიდობის მტრედის ფუნქცია უნდა შეასრულონ და ქართველებს ძველი, მეგობრული ურთიერთობები გაგვახსენონ?

დელეგაციის შემადგენლობაში არიან მსახიობები: ვასილი ლანოვოი, ალექსეი ბულდაკოვი, ალექსანდრ აბდულოვი, მომღერალი ალექსანდრ ბუინოვი, კოსმონავტი ანატოლი სოლოვიოვი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ კარელინი, ცნობილი მოკრივე ბორის ლაგუტინი, კალათბურთელები სერგეი ტარაკანოვი და მაქსიმ კროპაჩევი, ვეტერანი მოჭიდავეები სერგეი ელისეევი, მიხაილ მამიაშვილი და ვლადიმირ პოგოდინი, ჩოგბურთელები ალექსანდრე მეტრეველი, შამილ ტარპიშჩევი და ალექსანდრ ვოლკოვი. მათ გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში არიან ვეტერანი ფეხბურთელები, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და ქვეყნის ფედერაციის საბჭოს წევრები.

რუსი ჟურნალისტები დელეგაციის შემადგენლობით გაოცებულნი დარჩნენ. მათ როგორღაც ვერ გაიხსენეს, რომ საქართველოში წასვლის სურვილი ოდესმე ერთბაშად ამდენ ცნობილ ადამიანს გამოეთქვას. არადა, ჩვენი ქვეყნების ნაკრები გუნდები ადრეც დაპირისპირებიან ერთმანეთს. რუსი კოლეგების ვარაუდით, ამ საქმეში მთავრობა და სახელმწიფო სათათბიროც უნდა იყვნენ გარეულნი. როგორც ჩანს, რუს ხელოვანთა ამალა საქართველოში, სწორედ, მათი თხოვნის საფუძველზე ჩამოდის და ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ერთგვარი მედიატორის ფუნქცია აკისრია.

მსახიობები ამ ჟესტს მეგობრულ ურთიერთობებს უკავშირებენ. მათ სურთ, ორი ქვეყნის მთავრობებს დაუმტკიცონ, რომ საქართველოში ყველაფერი რიგზეა.

ვიზიტის ფარგლებში, უშუალოდ საფეხბურთო მატჩის გარდა, დაგეგმილია ვეტერან ჩოგბურთელთა შეხვედრა და კიდევ ერთი საფეხბურთო მატჩი ქართველ და რუს ვეტერანთა შორის, რომელიც ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის 80 წლისთავს მიეძღვნება.

# მალხაზ ასათიანი გლაზგოში მიდის

გუშინ "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ მომავალ კვირაში ქუთაისის "ტორპედოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი გლაზგოში გაემგზავრება და "რეინჯერსის" შემადგენლობაში გასინჯავენ. როგორც გაირკვა, ეს ფაქტი შოთა არველაძის რეკომენდაციით ხორციელდება.

შოთა არველაძე "გლაზგო რეინჯერსის" ერთ-ერთი ლიდერია და მის სიტყვას სკოტების მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში ენდობა. "ამ ბიჭის გასინჯვაზე მოწვევა შოთა არველაძემ შემოგვთავაზა. ის გლაზგოში მომავალ კვირას გამოცხადდება. ცოტა ხნით ჩვენთან ივარჯიშებს და შემდეგ ყველაფერს გადავწყვეტთ. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და საქმეში არ გვინახავს, მაგრამ არველაძის სიტყვა რაღაცას ნიშნავს", - განაცხადა ალექს მაკლიშმა.

შეგახსენებთ, რომ თებერვალ-მარტში მალხაზ ასათიანს კიევის "დინამოში" სინჯავდნენ. მალხაზმა 5-6 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობამ ეს არასაკმარისად მიიჩნია და ფეხბურთელი შინ გამოისტუმრა.

აკა მორჩილაძის სვეტი

# ავთო და ზორო



შეუძლებელია ისე დაიკლაკნო, როგორც ელექტრიკოსი სახელად ავთო იკლაკნება ხოლმე. ასეთი მოძრაობების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ გუდიაშვილის გმირებისთვის. საერთოდ კი, ავთო ძალიან კეთილი კაცია, ძველებურ დიპლომატში უწყვია ნაირგვარი ხელსაწყოები და გალოთებული რომ არ იყოს, ტელევიზორის გაკეთებაც შეეძლებოდა.

ავთოს, რაც არ უნდა აჩუქო, ყველაფერს კოცნის და კლაკნვაც მადლობის ნიშანია. იმგვარი პატიოსნებითა და სიხარულით გამოხატავს მადლიერებას, რომ ძნელია ამის ყურებას გაუძლო. თუ არ შეაჩერე, მხარზე არ მოხვიე ხელი და ნელ-ნელა არ წაიყვანე მაღაზიის მხარეს, შეიძლება ამ კლაკნვაში წაიქცეს და ხასიათიც წაუხდეს. იმ დღეს ჯიბეც კი ჩამოიხია მოზღვავებულ გრძნობათა გამო, რადგან ჩვენი სამსახურის ოფის-მენეჯერმა სკამის საზურგე აჩუქა.

გუშინწინ ავთომ კვლავ შემოიარა, თავისი წილი იმდღევანდელი გაზეთი აიღო, დაღლილი და განადგურებული თვალები ისრისა და მერე ძალიან დარდიანად, მტკიცედ და ლოთობისაგან მაინც შეუცვლელი ხმით მკითხა:

- მითხარი, რატო ლოთდებიან ძველი სპორტსმენები?

ამ უბანში ყველას - გამყიდველებს, დარაჯებს, ტაქსისტებს, შანხაელ უსაქმურებს, იმათ, ვინც ადრე ახლომდებარე სამინისტროში მსახურობდა და ახლაც დაიარება საოფისედ გაცემულ ძველ შენობაში, ახსოვთ სხვანაირი ავთო, რომელიც აქვე, ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა. ეს იყო ალბათ ოცი წლის წინ. ახლა კი ავთო ას კვადრატულ მეტრზე ტრიალებს, თითქმის არასოდეს სცდება ეზოს და ეს კუთხე წარმოუდგენელია მის გარეშე.

ამბობენ, ჯო ლუისი ერთი რესტორნის ვიტრინაში იჯდა და საკუთარ თავს ასახიერებდა სიბერეში. სანაცვლოდ მუქთ სადილს გამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, ავთო არ ყოფილა ჯო ლუისი, მაგრამ რაგვარადაც არ უნდა დალიოს, ძალიან ზუსტად აფასებს საფეხბურთო ეპიზოდებს.

არ ვიცი, ფეხბურთში უკეთ ერკვევა, თუ ელექტროობაში. დარაჯები ხშირად ამბობენ, რომ ერთხელაც იქნება და დენი დაჰკრავს, რადგან ძალიან ხიფათიანად იცის შიშველ მავთულზე მისვლა, მაგრამ არა მგონია, დენმა იმაზე ძლიერად დაჰკრას, ვიდრე ცხოვრებამ დაჰკრა. შესაძლებელია, ის ფეხბურთელობამ დაამარცხა. ანუ იმან, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი ვერ გახდა. თუმცა, ვიცნობ ერთ ტაქსისტს, რომელიც ფეხბურთელი ვერ გახდა და მის სახეს ღიმილი არ მოშორებია. ზის მანქანაში ჩვენი სახლის წინ და უწყვეტად ღიღინებს. რას გაუგებ.

ავთო დადის და იხდის მადლობას. ისე იხდის, რომ შეგრცხვება, იმიტომ, რომ ერთი შეხედვით, ავთოსთან შედარებით, უკეთესად ხარ. შედარებით, თორე, რა იცი, რა იქნება ოცი წლის შემდეგ. ღვინოს რაღაც მიაქვს და რაღაც მოაქვს. ეგება სულაც არა ხარ ავთოზე უკეთ. რა იცი? ეგებ მას ზუსტად იმდენი ცხადი აქვს, რამდენიც უნდა და ზუსტად იმდენი სიზმარი, რამდენიც ეგემრიელება. ამიტომ "ჩანჩურა," "მარადი ძმის თვალები" და ასეთი იგავები არაფერშუაშია. ეს დიდი ქალაქის კუთხეა, სადაც ავთო თავისას მისდევს. უკეთესია ასე იფიქრო, რადგან ჩანს, რომ ავთოს თამაშისა საკმაოდ გაეგება. შეუძლებელია ასე მოიხადო მადლობა. მადლობაა თუ თავდაცვა, ვერ გაიგებ. ამ ცრუ ფილოსოფიას რომ შევეშვათ, ღამღამობით ჩვენს ქუჩას ღრიალი შეძრავს ხოლმე. ძალიან მსახიობური ღრიალია და არავის ეშინია, ბებიებს და პატარა გოგოებსაც კი, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ღრიალი გათამაშებულია. ისედაც ყველამ იცის, რომ ეს ზორო მოვიდა თაიგულით ხელში.

ორი წლის წინათ, მეორე სადარბაზოს წინ, დილით ერთი უცნობი მოკლეს, სადარბაზოდან გამოდიოდა. ადრე ზორო მისი ძმაკაცი ყოფილა და ამ ადგილს ყვავილებს არ აკლებს, ზოგჯერ მთელი ღამითაც კი რჩება იქ. ზორომ ზოროდ გაგვაცნო თავი და მადლობას არასოდეს იხდის, კოხტად აცვია და ყოველთვის აქეთ გეპატიჟება ხოლმე დასალევად. ავთოსი არ იყოს, ცხადი და სიზმარი მასაც არეული უჩანს, მაგრამ მისმა ღრიალმა კუთხე შექმნა ამ ქალაქში, სადაც ბევრად უფრო დალხინებულ, მონდომებულ, აქტიურ ადამიანებს უჭირთ თავიანთი კუთხეების შექმნა.

და აუცილებლად ფიქრობ, რომ თვით ყველაზე გაუბედურებულ კაცსაც კი აღმოაჩნდება ხოლმე ისეთი რამ, რასაც შეიძლება ათი სიცოცხლის განმავლობაში ეძებდეს და ვერ მიაგნოს. ნამდვილ, ადამიანურ თეატრზე ვლაპარაკობ, რომელსაც რეპეტიციები არ სჭირდება და თავისით იბადება იქ, სადაც აუცილებლად უნდა დაიბადოს.

კალენდარი

## 11 ოქტომბერი

"სიყვარულის უდაბნომ", "ღამის დასასრულმა" და ფრანსუა მორიაკის სხვა ე.წ. "რელიგიურმა" რომანებმა, რომლებიც ღრმა ფსიქოლოგიზმით გამოირჩევა და რომლებშიც ცოდვისა და ცდუნების თემა დომინირებს, თავის დროზე კრიტიკოსები საგონებელში ჩააგდო. "ცოდვა მწერლის ელემენტია," – წერდა ფრანსუა მორიაკი. მის ნაწარმოებებს ახასიათებს მძაფრი ინტუიცია. წარმატება მორიაკმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე მოიპოვა. 24 წლის იყო, ლექსების პირველი კრებული რომ გამოაქვეყნა და მაშინვე მიიქცია ლიტერატურის მოყვარულთა ყურადღება. ამას მოჰყვა სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდი... მკითხველს იზიდავდა ფრანგი ესეისტისა და ნოველისტის უტყუარი ინტუიცია, შემოქმედებითი ძალა და ადამიანური ყოფის ტრაგიზმის შეგრძნება. 1952 წელს მორიაკი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.



მძაფრი ინტუიციისა და შემოქმედებითი ძალისათვის, რომელითაც მისმა რომანებმა შეიგრძნეს ადამიანური ცხოვრების ტრაგიზმი.

**ფრანსუა მორიაკი** 1885 წლის 11 ოქტომბერს დაიბადა.

# ტრიუმფალური ფინალი "შემოდგომის თბილისათვის"

## ლადო ათანელმა ვერდის იუბილე თბილისში "მაკბეტის" პირველი შესრულებით აღნიშნა

